


# ԱՅԵՆ ՅԱԺՄԱՆ

ՀԱՌՈՂՈ №4  
ԳԱՍԻ 5 ԸՆԴՈ

ԽԱԶԱԳԵԱԼՈ



Ա.Վ. Կալաթռնիշվիլი  
համա ամառանալու  
ճանապարհական  
լուսաց եպահովություն  
հուն դասընթաց

ՏՐԵՅ-ԱՐԹՈՒՐԻԵՑ:  
Բառ կալապու  
ՅԵՆ  
ԿԱՐՈՒՑԱԼՈ ԾԱՇՈՂԵ



ISSN 1512-2220  
9 7 7 1 5 1 2 2 2 2 0 0 6

# GITANES

## ქითანი

LE CHARME  
ET LE CHOIX

შარმი  
და ძრჩევანი



ქითანი

რბილი  
გაწონასწორებულობა



ქითანი

მსახური  
სიმშევიდე

სიახლე



ქითანი

უღრია მსუბუქი  
სიმსუბუქე

სიმსუბუქე

კანდაცის სამინისტრო გაფრთხილები:  
მოწვანი მავნეგალია თქვენი ჯანმრთელობისათვის.  
მოწვანი იწვევს გულის დაავადებებს.



-10%

ფასდაკლება Flying Dutchman-ის ბარათებით  
KLM -ის და NW-ის ფრენებზე

AIR FRANCE KLM



ან.კა.

6




„თუ“ და „ან“

22



ჩიტო ქალაქი

32




აპრილი

04

## სახელი მოწოდები

აპრილი  
ფაზი 5 სარი

გაზაფხული



სახ-აროეპტი ვენა

82



რეზაპტორი შორენა შავერდაშვილი  
რეზაპტორის თანამემდევ ნატა ფედოსეევა  
ართ რეზაპტორი ლევან ნუცუბიძე  
ვოტო დავით მესხი  
ლევან ხერხეულიძე  
სტილისტი გაგა ლომიძე  
ილუსტრატორი სოფიო რეხვიაშვილი  
გიორგი სუმბაძე  
ლიზაბენი დავით თეთრაძე  
მიხეილ დგებუაძე  
დისტრიბუტორი კონა სვანიძე

<b>მაგისტრი, რომელიც ნორას განიზიდავს</b>	<b>54</b>	<b>ნინო კასრაძე</b>	<b>68</b>	<b>ფოტომომთხოვბა</b>	<b>78</b>
					
<b>ნოვალა</b>	<b>123</b>	<b>ჯაზში მხოლოდ პიჭაბი არიან</b>	<b>132</b>	<b>ლაფილი</b>	<b>152</b>
					

<b>ცოდნული მუშაობები:</b>
<p>ნესტან კვინიკაძე ანა კორძაია-სამადაშვილი თამარ ბაბუაძე თამარ სუხიშვილი სალომე კიკალეიშვილი დათო ტურაშვილი აკა მორჩილაძე ლევან ნუცუბიძე</p>

<b>M publishing</b>
<b>გამომცემელი</b> შპს „ემ ფაბლაშინგი“ მისამართი: თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108 ტელ./ფაქსი: 23 37 31 ელ-ფოსტა: <a href="mailto:mpublishing@caucasus.net">mpublishing@caucasus.net</a> © "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია

<b>MSA Tbilisi</b>
<b>რეკლამის განთავსება</b> შპს „მსა თბილისი“ მისამართი: ფალიაშვილის ქ. 108 ტელ./ფაქსი: 23 37 31 ელ-ფოსტა: <a href="mailto:msa@msa.ge">msa@msa.ge</a>
<b>სტამბა</b> <b>სტამბანი</b> მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140 ტელ.: 35 70 02 ელ-ფოსტა: <a href="mailto:shorena@cezanne-web.com">shorena@cezanne-web.com</a>

**CEZANNE**  
PRINTING HOUSE




# ა6.კპ.

## ა6უ მოქლელ კალატოზიშვილები

ავტორი: სალომე კიკალეიშვილი



ბედნიერია, როცა გარშემო ყველა ჯანმრთელადაა და ბე-  
ვრი სამუშაო აქვს. არ სჯერა ცრურწმენების; თვლის, რომ  
ზოდიაქოს ნიშანმა – ტყუპებმა გარკვეული ზეგავლენა იქო-  
ნია მის ხასიათზე – “არა, მერყევი ხსიათი არ მაქვს, უბრა-  
ლოდ როცა ერთ ანკას იქით უნდა, მეორე აქეთ იქაჩება”.  
საინტერესო მოსაუბრეა. საკმაოდ ბევრს ეწევა. მეგობრებთან  
ერთად მსუბუქ ალკოჰოლურ სასმელსაც ხშირად მიირთმევს.  
არ ჰგავს თავისი ასაკის ქალბატონს, და საერთოდ, სიტყვა  
ქალბატონი სკამზე ფეხებით შემოსკუპებულს სრულებითაც  
არ უხდება. სამაგიეროდ უხდება კი არა, არის კიდეც შემო-  
ქმედი ადამიანი, საოცარი ფანტაზიის მქონე ნიჭიერი მხა-  
ტვარი. ერთადერთი, რაზეც გული წყდება, სახელოსნოს არ  
ქონაა, რის გამოც დიდი ხანია ველარ ხატავს ზეთში. სამაგიე-  
როდ, ქმნის შესაძურად ლამაზ აპლიკაციებს და კიდევ უფრო  
ლამაზ სასცენო კოსტიუმებს. ბევრჯერ იმეორებს, რომ თბი-  
ლისი, მოსკოვი და ვენა – ყველა მისია. რატომ?



ფოტო: გილა მირზავალი. 2004 წელი

### თბილისი. აეროპორტი.

საბჭოთა კავშირის საპარკო სიცრციდან „დიდი“ თვით-მფრინავი ნელა ეშვება მიწაზე. მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი, შუახნის ჭალარაშერეული მამაკაცი დინჯად მიუყვება ტრაპს.

— მიხეილ კალატოზოვი? — კითხულობს პასპორტის საკონტროლო პუნქტიდან გამოყოფილი თავი.

— დიახ.

ეს ხომ პატარა ანკასთვის მთელი რიტუალია. მამასთან ერთად, მანქანით წასვლა იქ, სადაც „დიდი“ თვითმფრინავიდან ერთი „დიდი“ კაცი ჩამოდის. დიდია აპა რა, ტან-მაღალი, მოსული ძალიან „დიდი“ ქუდით და ასევე „დიდი“ პალტოთი. ისე, შეიძლება სულაც არ იყო ასეთი დიდი, მა-გრამ მაშინ ასე ეწვენებოდა. მაშინ, როცა ჯერ კიდევ ხუთი წლის იყო. აეროპორტის მოსაცდელისთვის ჩვეულ ჩოჩქოლ-ში, ცოტა ხანს მამასთან ერთად იცდის, მერე კი... მერე კი

ჩამომსვლელთა ნაკადში გამოჩენდება „დიდი“ კაცი და რიტუალიც მთავრდება.

### „ხუთი წლის რომ ვიყავი“

ხუთი წლის რომ იყო, კარგად ახსოვს როგორ ხვდებოდა ზემოთ მოხსენიებულ რიტუალში ბაბუას — გამოჩენილ კანო-რეჟისორს, მიხეილ კალატოზოვს (კალატოზიშვილს), როგორ თამაშობდა უშანები ჩეხიძის ქუჩაზე აშენებულ ერთ-ერთ პირველ კინომუშავთა სახლის ეზოში და როგორ ხიბლავდა შუა ეზოში აღმართული საოცრად ლამაზი ტირიფი. ლამაზი, მაღალი და რატომდაც სევდიანი ხე, რომელსაც დიდხანს უყურებდა. მაშინაც კი, როცა გაიზარდა და თბილისიდან მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ბებიასთან სტუმრად ჩამოსულს კი ნალვლიანი ტირიფი ისევ იქ, ეზოს შუაგულში ხვდებოდა.

სახლი, სადაც ყველა ერთი დიდი ოჯახივით ცხოვრობდა. ალბათ ისეთი, მხიარულ იტალიურ ფილმებში რომ გვინახავს — „მე ჩემი მეგობრებით, ჩემი ძმა მიშა თავისი მეგობრებით და დედა და მამა საკუთარი მეგობრებით“. მოკლედ, დღესაც ხალისით იხსენებს ბავშვობის მხიარულ წლებს. თუმცა არა, ვიტყუები. ბედნიერ ბავშვობას ერთი ფაქტი აქარნებულებდა — ყველაზე მეტად როცა გინდა ანცობა და ყირაზე დგომა, ამ დროს კი დედის ხმა კომუნისტური „Время“-ს მუსიკა-სავით, რიხინ-რიხინით უსიამოვნოდ რომ ჩაგესმის ყურში — „აპა ძვირფასო, შენი ძილის დროა“. სხვა რა გზა აქვს,

**საცოლეში ჩაცოლის, ჩაპინებამდე  
კიდევ დიდებას ესმოდა მიორი  
ოთახიდან გამომავალი სიცილ-  
ხარხარი, გაუთავებელი ნაბიჯები და  
ოდნავ ხადაბალი მუსიკა.**

ემორჩილება ბედს და საზიზლარ, ბნელ ოთახში წვება. ამ დროს კი სახლში იწყება დროს ტარება და თავდავიწყება — სტუმრიანობა, რომელიც კალატოზიშვილებთან ყოველ-დღიური ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი იყო. საწოლ-ში ჩანოლილს, ჩაძინებამდე კიდევ დიდხანს ესმოდა მეორე ოთახიდან გამომავალი სიცილ-ხარხარი, გაუთავებელი ნაბიჯები და ოდნავ ხმადაბალი მუსიკა. იწვა და მთელი გულით იქ იყო, იმ ოთახში, თითქოს სათითაოდ ხედავდა ყველას: დედას, სტუმრებს, მამას, რომელიც მეგობარს რაღაც ძალიან საინტერესოს უყვება... და საერთოდაც, იქ ხომ ყველაფერი გასაოცარი ხდება — ფიქრობდა თავისითვის — გასაოცარ ამბებს ყვებიან, გასაოცარ მუსიკას უსმენენ... მეორე დღეს გაიღვიძებდა თუ არა, პატარა თითებით სასწრაფოდ იწყებდა ფირფიტების გადალაგ-გადმოლაგებას. აბა ხომ უნდა ეპოვა ის განსაკუთრებული, რასაც მის გარეშე გუშინ ამ ოთახში უსმენდნენ?! მორიგი ძიებები ყოველთვის უნაყოფოდ მთავრდებოდა, არაფერი განსაკუთრებული, ისევ ის ფირფიტები, რაც გუშინ და იმის წინათაც ნახა. უბრალოდ იქ, ბნელ ოთახში განმარტობულს ყველაფერი ასე — განსაკუთრებულად ეჩვენებოდა.

### „ბაბუა“

მიშა კალატოზიშვილი 1903 წლის 28 დეკემბერს დაიბადა თბილისში, გაიზარდა მთაწმინდაზე... მოკლედ, ყველაფერი ისე მიდის, როგორც ნებისმიერი თბილისელის ბიოგრაფიაში, თუმცა...

ტექნიკუმის სტუდენტი მალევე ანებებს ყველაფერს თავს და ხდება მძღოლი, ფირის შემწებებელი, მექანიკოსი, მემონტაჟე, შემდეგ უკვე კინომძერატორი და ბოლოს რეჟისორი. მუშაობდა გამოჩენილ ქართველ რეჟისორთან, ნიკოლოზ შენგელაიასთან, მერე კი უკვე მასთან მუშაობდნენ: შონ კონერი, კლაუდია კარდინალე... მეგობრების რიცხვს კი ისეთი სახელები შეემატა როგორიცაა ჩარლი ჩაპლინი, უან გაბენი, უან კოქტო, აკირა კუროსავა, უორე სადული... თუმცა მათვის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსათვის ის კალატოზიშვილი კი არა — მიხეილ კალატოზოვი იყო. ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში, დამწყები რეჟისორი აიძულეს,

**მეგობრების რიცხვს კი ისეთი**

**სახელები შეემატა როგორისაა**

**ჩარლი ჩაპლინი, უან გაბენი, უან**

**კოქტო, აკირა კუროსავა, უორე**

**სალული... თუმცა მათთვის, ისევე**

**როგორს მთელი მსოფლიოსათვის, ის**

**კალატოზიშვილი კი არა — მიხეილ**


**კალატოზოვი იყო.**



ან.კა. ბალაზისისიათი. 1974 წელი.



ჩანა ეამანი დალალოვასა - ვალაში



მიშა კალატოზოვი „გაუგზავნელი ბარსათის“ გადაცემაზე

სასწრაფოდ დაეტოვებინა თბილისი და საცხოვრებლად მოსკოვში გადასულიყო. საბჭოთა კავშირის სივრცეში კალატოზოვს არასდროს აღიარებენ დიდ რეჟისორად, თუმცა „ჯიმ შვანთე“, „მე-კუბა“, „მიფრინავენ წეროების“ კადრები თავად ამბობენ სათქმელს და ერთხელ ნანანი, სამუდამოდ იდებენ ბინას ტვინის სულ პატარა, მიმალულ კუთხე-კუნჭულში.

„იჩალიური საზრაფოდან“ საბჭოთა „კომუნალკამლე“  
– „როგორ, ჩემი ქალიშვილი ვიღაც ფოტოგრაფს უნდა გაჰყვეს ცოლად?!“ – წამოიყვირა ტიტო მამიანი დელალოვერა-ვალაციმ, როდესაც ქალიშვილის – უანას და ვიღაც დამწყები „კინოშინიკის“ – მიშა კალატოზიშვილის სიყვარულის შესახებ შეიტყო. უანა მამიანი დელალოვერა-ვალაცი საემაოდ შეძლებული, იტალიელ გრაფთა ერთ-ერთი თვალსაჩინო გვარის წარმომადგენელი იყო. რომელთა წინაპრება-დაც თავად როსინი და მიქელაჯელოს მფარველი პაპი ლეო სახელდება. უმდიდრესი, საუკუნეების მანძილზე ხელოვნების მეცენატებად ცნობილი ოჯახი, მე-20-ე საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდა ბათუმში. ჩამოთვლილი საგვარეულო ლირსებების გარდა, უანა ყველას აოცებდა თავისი გასაოცარი სილამაზით, კოლორიტული ხასიათით და ერთი უწივეულო, საკმაოდ პიკანტური ჩვევით – ფეხის თხელ კოჭთან გაკეთებული თხელი საათით. ქალიშვილის დროებითი სასიყვარულო თავგადასავლის (როგორც ფიქრობდა მამა) დროული და რაც მთავარია უმტკივნეულო დასასრულისთვის, უანას სამოგზაუროდ უშევებენ. თუმცა ევროპიდან დაბრუნებული იტალიელი გრაფის ასული მალევე მიჰყება მიშას ცოლად.

ცხოვრება ერთი დიდი, დაუსრულებელი ბანალური ისტორიაა; აյ არც თეთრ ცხენზე ამხედრებული უფლისწულები და არც ფსევდო-მელანქოლიური მზერით მომზირალი მეფის ასულები არსებობენ; უბრალოდ ზოგჯერ, რაღაც უზარმაზარი მეტეორიტით ჩაიქროლებს ხოლმე და გიხალისებს არსებობას... ასე იყო აქაც, თუმცა მიშას და უანას ზღაპრულ დასაწყისს ზემოთ ხსნებული ბანალურობა შეეპარა და ცოლქმარი ერთმანეთს დაშორდა. „ვერ შეეწყვენონ“, თქვეს. მაშინ ანკამ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა – ვერ შეეწყვენონ.

– „ბებია მეორედ გათხოვდა და იტალიელ გრაფთა შთამომავალმა, ჯორჯიაშვილის ქუჩის ერთ-ერთ „კომუნალკაში“ გაატარა დარჩენილი ცხოვრება. დედა მიყვება, რომ უანა იტალიიდან შემოტანილ პირველ ფილმებს თარგმნიდა. ზოგჯერ თუ ფილმში ძალიან სენტიმენტალური სცენა იყო, ტირილს იწყებდა და მთელ დარბაზში უანას ღრიალი ისმოდაო.“

მიუხედავად ბანალურობისა, ანკამ იცის, რომ უანა კიდევ დიდხანს, დიდხანს წერდა მიშას გასაოცარ, დაცრემლილ წერილებს.

ამ ისტორიას კი ერთი დაუჯერებლად საინტერესო ლეგენდა აგვირგვინებს:

უზარმაზარი გემი ღრმად მიაპობს ოკეანის გარინდულ ტალღებს, ხოლო მოკამპამე ცას, ხელის ერთი პეშვით მიმოყრილი ძვირფასი თვლებივით მოკაშაშე ვარსკვლავები ამშვენებს. მიმზიდველი გარეგნობის ქალიშვილი სევდიანად გაჰყურებს აქაფებულ ტალღებს და ფიქრობს მასზე... ვისთანაც დააშორეს, ვისთან ერთადაც ყველაზე მეტად ისურვებდა აქ და ამ წუთას ყოფნას. ამ ფიქრებში იყო, როცა სიცილიური აქცენტით, მიმზიდველმა მამაკაცმა საცეკვაოდ გაიწვია. სა-



თითო და მაშა კალატოზიშვილები. 1966 წელი

ლამოს სამოსში გამოწყობილ რჩეულ საზოგადოებაში, ისინი გამოირჩევიან: მჩქეფარე ახალგაზრდული სულით, საოცარი მომხიპლელობით. მთელი ლამის მანძილზე კი ვალსის ნაზი ჰანგები რაღაც გაურკვეველ ბურუსში ახვევს გემბანზე მოცეკვავებს... უანა მხოლოდ მერე იგებს უცნობი კავალერის სახელს; ის ისევე სიცილიურად ჟღერს, როგორც თავად მისი აქცენტი – ალ კაპონე.

– „დღესაც არავინ იცის მართალია ეს ამბავი თუ არა. მაგრამ ბებია თურმე ამას ხშირად იხსენებდა“.

უანა ავტო-კატასტროფაში დაიღუპა, შვილთან მიდიოდა. გადაღებებზე.

### „ოჯახის დაუცერები ტრადიცია“

ყველა ოჯახს ხომ თავისი წესები და დაუწერელი ტრადიცია აქვს. ასეა აქაც, სადაც:

1) ოჯახის ყველა მამაკაცს მამის სახელი ჰქვია. ამიტომაა, რომ ტიტოსა და მიშას გარდა, სხვა სახელს ვერ გაიგებთ;

2) ყველი მათგანის პროფესია – რეჟისორი. ასე იყო – მიშა და მისი შვილი ტიტო;

ასე არის – ტიტოს შვილი მიშა;

და ასე იქნება – მიშას შვილი ტიტოც.

3) ერთი ნაწილი ყოველთვის მოსკოვშია, მეორე კი თბილისში. ასეა ახლაც, ანკა თბილისშია და აქ ხატავს, ძმა მიშა კი მოსკოვშია – იღებს ფილმებს.

ძვირფასო კალატოზოვ, პიკასომ, უან კოქტომ, უორუ ორიკმა ნახეს თქვენი ფილმი, მათ ის სიგიუმდე მოეწონათ, როგორც ჩემს ცოლს და მე. დიდი უსამართლობა იქნება, თუ თქვენ სამ დღეში კანის „გრან-პრი“-ს არ აიღებთ.

უბრალო თვალებიც იტირებენ, როდესაც ნახავენ თქვენს ფილმს, იტირებენ, რადგანაც მიიჩნევენ, რომ თქვენი ფილმი არის ლამაზი და მართალი.

სერუ ურუსევსკიმ გვითხრა, რომ თქვენ ავად იყავით, რის გამოც ვერ შეძელით კანში ჩამოსვლა და ეს ძალიან სამწუხაროა.

საუკეთესო სურვილები და მადლობა „მიფრინავენ წეროებისათვის“.

უორუ სადული





ა.კა. თოვლილი



### „ნაგავში მოსროლილი ლეგენდა“

ვინაიდან და რადგანაც ბაბუა მიშას ძალიან უყვარდა ტექნიკა, (კანის კინოფესტივალის „ოქროს პალმის რტოს“ მფლობელი რეჟისორის პოპი ხომ რადიო აპარატურის შეკეთება იყო) კალატოზიშვილებთან ყოველთვის საუცხოო ტექნიკა, საკონცერტო დინამიკები და რასაც ანკა სიამაყით აღნიშნავს – ერთ-ერთი პირველი ჩანაწერები არსებობდა: ბარბარა სტრეიზანდის, ლუი არმსტრონგის, „The Beatles“-ის... უი, მთავარი დამავიწყდა. აი ის, ნაგავში მოსროლილ ლეგენდას რომ შეეხება:

ანკას ბაბუის ნაცნობობის წრე სიტყვა საინტერესოსაც და ფართოსაც რომ სცილდებოდა, ამაში მგონი, თქვენც დაგარწმუნეთ. და იმასაც მიხვდებოდით, რომ სახლში ბევრი საინტერესო ნივთი ინახებოდა; მაგალითად, ჩაპლინის ჯოხი (რომელიც დღესაც ამშვენებს სასატუმრო ოთახის კედელს), პიკასოს ფოტო – „To Misha Kalatozov.“

### 19.5.56 Picasso“ და ა.შ.

**„თქვენ, ყველას ლენინი გყავთ, ჩემი  
კი კუჭინიაო“. კუჭინიორო? – ანკას  
ფედა დირექტორთან დაიბარეს და  
უმორჩილესად თხოვეს – „ასე არ  
შეიძლება, თქვენს ჰვილს მიხელოთო“.**

ჰოდა, ასეთ უჩვეულო ნივთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ზემოთ ხსენებული ჯგუფ „The Beatles“-ის ფირფიტა, რომელსაც რეჟისორისადმი ლეგენდარულ შემსრულებელთა მინანერი და ავტოგრაფები ამშვენებდა. ერთხელაც, სახლში საინტერესო ნივთების მორიგი დათვალიერებისას, ანკას ძმა ამ ფირფიტას გადააწყდა და მისი კარგად შესწავლა მოინდომა, რაც ამ უკანასკნელისთვის სავალალოდ დასრულდა – გადატყდა. აბა, ახლა მითხარით, რა უნდა ექნა პატარა შეშინებულ ბიჭს, რომელიც მიხვდა, რომ რაღაც ძალიან, ძალიან ცუდი ჩაიდონა? აიღო და არამარტო გატეხილი ფირფიტა, არამედ საღსაღამათ მინანერებიან ჩასადებსაც თავი უკრასანავეში. ანუ – მთლიანად მოსპონ ფაქტები.

არ ჰქეირა ახლა ამას ნაგავში მოსროლილი ლეგენდა?!

### “СОВЕТСКИЙ РЕБЁНОК ДРУЖИТ С МЕКСИКАНЦЕМ?”

ანკა ხუთი წლის იყო, როდესაც ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ახსოვს გრძელი, დამლელი ფრენა. მერე ავტომანქანით შორი გზა ახალ სახლამდე და ახალი ცხოვრება უცნობი სახელწოდების ქალაქში — მოსკოვი. „იქ ჩემი ბავშვობაა, ამ ქალაქში 15 წელი მაქვს გატარებული. ძველი მეგობრების და საოცრად ლამაზი ტირიფის გარეშე. „უეცარი გადასახლება ისევ იმ „დიდ“ კაცთან იყო დაკავშირებული; ბაბუა გარდაიცვალა, მამამ კი მისი დაწყებული ფილმის დამთავრება გადაწყვიტა. თქვენ ხომ უკვე იცით, რომ ეს ამ გვარის დაუწერელი ტრადიციაა?!

საბჭოთა კავშირის ეპიცენტრში მოხვედრილი, თვლის, რომ სწავლობდა საშინლად ჩაკეტილ, აკადემიურ, კომუნისტურ სკოლაში, სადაც სიტყვა „შატალო“ ფანტასტიკის სფეროდან

უფრო იყო, ვიდრე სკოლის ყოველდღიური რუტინიდან. აქ ხომ ერთიათად იგრძნობოდა კომუნავშირლების ომახიანი შეძახილები და პატარა ოქტომბრელთა მწყობრი ნაბიჯის ხმა. ამიტომ უკვე კარგად იცოდა, რა უნდა მოეყოლა სკოლაში და რა – არა; რა წიგნებს კითხულობენ, რას უსმენენ და საერთოდ, რა ანეგდოტებს ყვებიან სახლში.

როდესაც მთელ კლასს ნორჩი ოქტომბრელის გულსაბნევები დაუზიგეს, ქართველმა მოსწავლემ პატარა ლენინის გამოსახულებაზე აიჩემა — „თქვენ, ყველას ლენინი გყავთ, ჩემი კი პუშკინია“. პუშკინორ? — ანკას დედა დირექტორთან დაიბარეს და უმორჩილესად თხოვეს — „ასე არ შეიძლება, თქვენს შვილს მიხედეთო“. არადა, წყნარი ბავშვი იყო, თანაც კარგად სწავლობდა... მაგრამ ამით ჯინას სტუმრობა დირექტორის კაბინეტში, არ აღმოჩნდება პირველი და უკანასკნელი. — „Советский ребёнок дружит с мексиканцем? На что это похоже?“ — გაისმა დირექტორთან მორიგ დაბარებაზე. საქმე კი ის იყო, რომ ამ დახურულ, ჩაკეტილ, კომუნისტურ სკოლაში დიპლომატის შვილები სწავლობდნენ. ჰოდა აბა რა ანკას ბრალი იყო, რომ სიმბათიური მექსიკელი ბიჭი ექტარ კარდენასი მოუსვეს გვერდზე, და რომ ქართველ კალატოზიშვილს და მექსიკელ კარდენასს ერთმანეთი მოეწონათ? თუმცა ამ ისტორიას არანაირი გაგრძელება არ მოჰყოლია. ყოველ შემთხვევაში ისეთი, წინა ფურცლებზე რომ არის. მშობლები მექსიკაში დაბრუნდნენ და პატარა მექსიკელიც თან წაიყვანეს. ეს იყო და ეს.


ერთი, რაც სევდით ახსენდება, მოსკოვის სახლია, რომელიც მათ აღარ ეკუთვნის. მოსკოვში ჩასული ხშირად სტუმრობს გვერდზე სადარბაზოელ ბალელ მეგობარს. და როცა საყვარელ ფანჯრებქვეშ უწევს გავლა... რა კარგი იქ-

ნებოდა, ერთი წუთით მაინც იქ დაბრუნება. შენ შენი თოვეინით ხელში, ცნობისმოყვარეობისგან გაფართოებული თვალებით რომ ითვისებ ახალ ბინას, მიშა იქვე დგას და ჩრუმად ხევს „The Beatles“-ის ფირფიტის ჩასადებს, დედა და მამა კი სტუმრების მოსასვლელად ემზადებიან – „მადლობა ლმერის, რომ ეს არასდროს გვაკლდა – ბერენი კარგი მეგობარი“ – მეტყვის ანკა 33 წლის შემდეგ. ალბათ ესეც მათი ოჯახის დაუწერელი ტრადიციაა.

### „თბილისის ბავშთა მუზეუმის ლოდონის ნარჩინის კოლექცია“

ანკას არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი. მით უმეტეს ახლა, როდესაც მის შემოქმედებაზე ვეკითხები – „ნიჭი, ბავშვობაში? არა, ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამი იქნებოდა. უბრალოდ სულ ვხატავდი. მაგის გარეშე არ მიცხოვრია“. ჯერ კიდევ ნორჩი მხატვრის ნამუშევრები, ნახატები და ფერადი ქაღალდისგან შექმნილი აპლიკციები, თბილისის ბავშთა მუზეუმში იყო გამოფენილი. ხატავდა ყოველთვის, თუმცა...

დასაწყისში იმაზე მოგახსენებდით, რომ ამ ოჯახში თითქმის ყველა რეჟისორია-მეთქი. ჰოდა, აბსოლუტურად ლოგიკური იყო ჩემი მხრიდან შეკითხვა, უფიქრია თუ არა ამ პროფესიაზე ოდესმე თავად ანკას. — „არა, არასდროს“ — გაისმა მტკიცედ — „უბრალოდ, სულ მინდოდა მსახიობი გამოვსულიყვავი, ოლონდ არა კანოსა. სცენაზე გავსულიყვავი. მაშინ მახსოვს, მამა რომ მეუბნებოდა – „იცი, ანკა, შენი ხასიათით





მსახიობი ვერ გამოხვალ“. ახლა იცის, რომ მამა მართალი იყო, – “არ ვარ ისეთი ადამიანი, ამ პროფესიას რომ სჭირდება. ძალიან დიდი დოზით მაკლია, თუნდაც გამტანობა... მით უმეტეს, რომ ყოველთვის მეშინოდა კამერის. ისე ვიბნევი და ვიბოჭები, რომ... ძალიან უნდა შევეცადო, არ დავიკარგო, ისევ ანკად დავრჩე. არც სცენაზე მიყვარს გასვლა, აუდიტორიის წინაშე. ასე რომ... მამა მართალი იყო“.

1984 წელს ანკა სამხატვრო აკადემიაში, თეატრის ფერწერის ფაკულტეტზე აპარებს. პედაგოგები – გოგი მესხიშვილი და ფარნა ლაპიაშვილი. რა ახსოვს ამ პერიოდიდან ყველაზე კარგად? – სტუდენტური გაცვლის პროგრამით აღმოჩენილი – პრალა და ლონდონი.

„ეს პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერია ჩემს ცხოვრებაში იმიტომ, რომ პირველი გასვლა იყო საზღვარგარეთ. ეს იყო საოცრად ლამაზი პრალა, თან საინტერესო პრაქტიკები ბატონ კოკა იგნატოვთან.“ შემდეგ კი მსოფლიოში განთქმული წმ. მარტინის კოლეჯი. როცა ლონდონსა და ამ კოლეჯში გატარებულ დროზე საუბრობს, ყველაზე ხშირად იყენებს სიტყვებს – „ნუ, რა ვთქვა“, „აი, რა გითხრა“, „იცი რა იყო“ და ა.შ. მოკლედ, ძალიან მაგარი იყო. აბა, არ იქნებოდა მაგარი პიტერ გრინუეის ლექციებზე დასწრება?! მსოფლიო მნიშვნელობის კოლეჯში გამოფენის მოწყობა?! ოქსფორდში სტუმრობა და დღესაც გახმაურებული მიუზიკლის „Cats“-ის ნახვა?! როდესაც ახალგამომცხვარ დამწყებ მხატვარს ცნობილი ბალერინა ნატალია მაკაროვა და პიტერ უსტინოვი მოგიწყობენ შეხვედრას?! ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ცოტა გართობაც ხომ გინდება ადამიანს, მით უმეტეს ახალგაზრდას, და თანაც ევროპაში?! არადა, ჯიბეში ფული კი



ქოსტიუმი ბალეტიდან „Гадкий утёнок“. 2004 წელი



ქოსტიუმები გალერეაზ „ლურჯი ფინვალი“. 2003 წელი



ანა, ბიორჩი და ელინ. ვენა. 1993 წელი.

არა, ცარიელი გროშები გიყრია! ამ დროს თითქოს ღმერთის საჩუქარიაო, ვიღაც ნამუშევრების შესყიდვას სთავაზობს და ანკა... უკვე წარმოიდგენს, როგორ ზის ქინგს როუდის ყველაზე მაგარ კაფეში, და აღებული ფულით ნელ-ნელა წრუპავს ლონდონურ... ნუ, არა აქვს მნიშვნელობა – რას, თუნდაც ყავას და უცებ: „არა! ეგ არც იფიქრო! რამდენი ნამუშევარიც გაიტანე, იმდენი უნდა შემოიტანო ქვეყანაში. გასაგებია?!“.

მიუხედავად ოცნებადქცეული ყავის დალევისა, დღესაც მიაჩნია, რომ ლონდონისმხავსი ქალაქი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. ამბობს – „რაღაც განსაკუთრებული აურა აქვსო“.

**– „ახლა თბილისში იჩყვიან, ანა  
და გოგი უსხოთში არიან“ –  
ხალისობრივი გაგობრები გოგი  
ოქროპირიძის ნახვისალ სარდაფ  
სახელოსნოში.**

### „რაც შევეხა სიზმრებს“

სიზმარში ხშირად ხედავს ჩხეიძის ქუჩის ეზოს, მოსკოვის მოყინულ ქუჩებს. მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც უკოსტიუმო მსახიობებს. რატომ?

მისი ნამუშევრების ქება-დიდება სულაც არაა საჭირო; ამაში თავად დარწმუნდები, როცა თვალს გადაავლებ არაჩვეულებრივ აპლიკაციებს; ზღაპრულ კოსტიუმებს ბალეტებიდან „ლურჯი ფრინველი“, „კოპელია“, „მძინარე მზეთუნახავი“... ნახულობ ფოტოებს, რომელზეც ზეთში შექმნილი ნახატებია აღმოჩნდილი. ნახატები, რომელებიც დღეს სხვადასხვა კერძო კოლექციებშია მიმოფანტული — „მათთან გაშორება კი მიჭირს. მაგრამ რა ვქნა – „Надо же на что-то жить“ – აი, ასე იჭრება კიდევ ერთხელ აუტანელი ბანალურობა.

ჰო, სიზმრებზე დავიწყე:

– „ვხედავ, რომ იწყება წარმოდგენა. დარბაზი გადავსებულა. დღეს პრემიერაა. მძიმედ იწევა გრძელი ფარდა და, ღმერთო ჩემო! ეს რა არის?! იქ ხომ ყველა შიშველი, უკოსტიუმოდ დგას?! რას ჰგავს ეს?! ეს ხომ მხატვრის ბრალია! ვერ მოასწრო კოსტიუმების შეკერვა – ანკაააააა – ისმის აქა-იქ დარბაზში. ის კი ამ დროს გზაშია და წარმოდგენაზე აგვიანდება — მე, სპექტაკლი ჩავაგდეეეეე...“ ამას მხოლოდ მაშინ ხედავს, როცა ახალ სპექტაკლზე იწყებს მუშაობას; როცა ღამებს ათევს ახალ-ახალი იდეების მოლოდინში, და საერთოდ, დაკავებულია პროცესით, რომლის გარეშეც ცხოვრება წარმოუდგენელია. – „იცი რა“ — წყვეტს უცებ — „ეს უფრო მშობიარობას ჰგავს. როცა შექმნი, ჩუქნი ახალ სიცოცხლეს და შენში უცებ რაღაც აუტანელი სიცარიელე დგება; მთლიანად გამოშიგნული ხარ, და თან სევდიანი. შემდეგ კი ისევ იწყება რაღაც ახალი ეტაპი, პროცესი...“ თუ ასე დავითვლით, მაშინ ანკას ერთი ნამდვილი და 40-მდე შემოქმედებითი მშობიარობა ჰქონია. რა, ცოტა?

### „რა საერთო აქვს კინოში ნანას ნეორეალიზმს ანკას ავსტრიასთან?“

ავსტრია. ვენა. ექვსი წელი უცხო ქვეყანაში. მანამდე კი ანკას ცხოვრებაში იყო თუშეთი და ... გიორგი.

ისე დაიწყო, როგორც საერთოდ იწყება ხოლმე. არაფერი გახსაკუთრებული. მეგობრები დაქორწინდნენ და გადაწყვიტეს კარვებით თუშეთის მთებში გასეირნება. თან რამდენიმე ახლო მეგობარიც დაპატიჟეს. ანკა სიამოვნებით დათანხმდა. დიდ ზურგჩანთამოკეიდებულები, ხან სად ჩერდებიან და ხან სად, ხან სად დაპობლავენ და ხან სად... მოკლედ, სერიოზული ლაშქრობაა. ახლო სამეგობრო წრეში ერთი ახალი ბიჭია — ვიღაც გიორგი. – „რა არის, ვინ ნამოიყვანა ეს ტიპი“ — ფიქრობდა თავისთვის ანკა — „ცოდნო არ არის ჩემი მეგობარი, ამხელა ჩანთას რომ ათრევს, ეს ვიღაც გიორგი კი უფრო ძლიერი ჩანს და ნახე?! რა პატარა რაღაცას მოათრევს?!“ გზადაგზა დასასვენებლად შეჩერებული გიორგის ზურგჩანთა ნელ-ნელა მძიმდება — ანკა ჩუმად უყრის მეგობრების ნივთებს — „ძლიერია, იმან ათრიოსო...“ გიორგი ყველაფერს ხვდება, მაგრამ როცა უკვე გიყვარს? ანკა კი მხოლოდ მაშინ მიხვდება, როცა ბერლინიდან ჩამოსულს, გიორგი დაურეკავს — „იცი, ბიძა გარდამეცვალა. პაუზა. შენ ერთადერთი ხარ, ვისი ნახვაც მინდოდა“. ეს დღესაც კარგად ახსოვს „На всю жизнь“.

1991 წლის 4 ივნისს თბილისში, ერთი სიმპათიური ადამიანი დაიბადა — ელენე. ერთ წელიწადში ახლადშექმნილი ოჯახი

ვენაში გადადის საცხოვრებლად. ისე, ცხოვრების ასაწყობად, სამუშაოდ.

ავსტრია დიდი გამოცდა იყო. –“საერთოდ იქ გამოვფხიზლდი. იქ მოვედი ცხოვრების აზრზე. აქ, იცი... ვიღაცის შვილი, შვილიშვილი ხარ... რაღაც სულ კომპლიმენტებს ვიღებდი აკადემიაში... მეგონა, რაღაცას უკვე წარმოვადგენ-მეტები, იქ კი... არავის აინტერესებს არც შენი დედა, არც მამა. საერთოდ არაფერი. ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყო. სულ რაღაც უნდა ამტკიცო”. ვენაზე ნოსტალგიურად, და ამავე დროს, სიყვარულით საუბრობს. ის მისთვის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი და, სამწუხაროდ, უკვე წარსულია.

პირველი წელი ძალიან რთული იყო. ფიქრობდა, რომ მხოლოდ ინგლისურითაც გაიტანდა თავს, მაგრამ ბოლოს მიხვდა – როცა მოგწონს ქვეყანა და იქ ცხოვრობ, ენა აუცილებლად უნდა იცოდე. ამიტომ ისნავლა გერმანული. კარგად ლაპარაკობს, თორებ გრამატიკა – „არ მკითხო“.

საერთო ცხოვრების პირველი ნაბიჯები უცხო ქვეყანაში, მოცუცქნული ოთახი დერეფანში მოწყობილი სამზარეულოთი. ღამე, ოდნავ განათებულ ოთახში ზეთით ხატვა; ჩუმად, უხმაუროდ; ელენეს სძინავს. დღისით კი რუსული ენის კერძო გაკვეთილები დერეფანში. ბავშვი ხომ ჯერ კიდევ პატარაა. ორად-ორი რამ იცის – ძილი და ჭამა; ძილი და ჭამა. ამას გარდა, პატარ-პატარა საქმეები: “LEICA”-ს ფოტოატელიეში, სპეც. სკოლაში ხელოვნების თერაპია...

– ეგ რაღა?

– აი, იცი რა... ხომ არიან ადამიანები რომელთაც ბავშვობაში უნდოდათ გამოსულიყვნენ მხატვრები, ფერმწერები, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო, ასე არ მოხდა. ზოგს კი ძალიან გადატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს. ჰოდა, რომ არ იგრძნონ თავი მარტოდ, მოახდინონ ბავშვობის აუხდენელი ოცნებების რეალიზება და დეპრესიამ არ შეაძყროს, სახელმწიფო ასეთ სასწავლებლებს ხსნის. აი ასე. მერე თვითონვე ეცინება – “ისე ვლაპარაკობ ვენაზე, როგორც ბებიები – ომის

**აა ფიქრიზე იყო ანკა, რომ უცემ  
მის ქმარს, უფრო სწორად, გიორგის  
ფახებს და მაგილას უამრავი მეძავი  
შემოხვევია: მაღალყალიანი ტყავის  
ჩექმებით, ბანტეპიანი თეთრიალით  
და ზედ თამოსურული ქუჩებით – ასე  
ერთად ათრის მაგილა სახლამლე. რა  
კარგი ქალები ყოფილან! ნახეთ?**



ანკა და ელენე. 336ა.1994 წელი.



ან.კა. და ელევ. ფოტო: გიკა მირზაშვილი. 2004 წლი.

დღოზეო ”და ისევ „ნეორეალიზმის“ ხანას უბრუნდება – „არა. პირველი წელი საშინლად რთული იყო. ბედნირების ტოლფასი იყო თოვლის მოსვლა“ – ესე იგი ცოტა ფულს იშოვიდნენ, აბა ვინმეს ხომ უნდა გაეწმინდა ტრამვაის დათოვლილი რელსები? აიღებდა გიორგი ხელში ნიჩაბს და ჩამოუყვებოდა ვერის დათოვლილ ქუჩებს. არ არის ახლა ეს ნეორეალიზმი? ვისკონტის „როკო და მისი ძმები“?

– „ახლა თბილისში იტყვიან, ანკა და გოგი უცხოეთში არიანო“ – ხალისობდნენ მეგობრები გოგი ოქროპირიძის ნახევრად სარდაფ სახელოსნოში. იქ, რატუშის პირდაპირ, სრულიად გაყინულ-გათომილ სარდაფში, რომელსაც ერთად-

- „ანკა, წავალ რა ნინკასთან და მერა მომაკითხე“ – ისმის უახრალ, ოდნავ შელეგული კარილან. პასუხი აგვიანებს**
- „კაი, ჰო. ოლონდ არ ვიცი როდის გამოგივლი“. კარი იხურება და ორ წამში ისევ იღება – „ანკა, ბარემ იქ დავრჩები, რა?“**

ერთი გამათბობელი ძლივსძლივობით ათბობს. იმასთანაც ანკა დგას მოლბერტით. მას ხომ ასე ძალიან უყვარს ზეთში ხატვა. მეგობრები ხშირად დაძვრებიან მშენებლობებზე, რომ რამეს – ძველ ავეჯს ან დამტვრეულ ხეებს გამოჰკრან ხელი – აბა რითი გაათბონ ხვალ გაყინული სახელოსნო?!

დღეები ნელა მიზოზინობენ; ერთმანეთს ჰგვანან. თბილისში ხშირად ვერ რეკავენ. არადა, იქ ომი და უბედურებაა. სალამონობით მაინც ახერხებენ რადიო „თავისუფლების“ მოსმენას. რა იცი, რას იტყვიან თბილისზე. ნეტა ყველაფერი კარგად დამთავრდეს! ახალ წელს მეგობრის სახელოსნოში ხვდებიან, საკუთარი ხელით შექმნილი ნაძვის ხის სათამამოებით. მოკლედ ნამდვილი hand made-ია, რა!

„ვენა ლამაზია“ – ამ თემის განვრცობა ანკას უსასრულობამდე შეუძლია. მას ხომ ძალიან, რაღაც განსაკუთრებულად უყვარს იგი. შეიძლება იმიტომაც, რომ ის უკვე წარსულია. თავისი პატარ-პატარა ქუჩებით, უამრავი მეგობრით – „აქ, ევროპაში უძველესი ბაზარია. იცი რა ლამაზია?! მე-13 და მე-14 უბნებში შედარებით ღარიბი ფენა, თურქები, მუშები ცხოვრობენ. ბევრი საროსკიპოა, გარეთ გამომდგარი ქალებით, ყველა ამვლელ-ჩამვლელს რომ ათვალიერებენ; აქვე მოედანია, საიდანაც აბსოლუტურ კონტრასტში, სუფთა ვენურ სიტუაციაში გადადიხარ, თავისი კაფეებით, მაღაზიებით“ – განაგრძობს თხრობას.

ჩევნ კი, მოდით, აქ ერთი წუთით შევჩერდეთ და ვერის იქეთა მხარეს, აი ბევრი უძველესი პროფესიის მანდილოსანი რომ დგას, იქ დავბრუნდეთ. ახალგაზრდა გოგონას საბავშ-



ან.კა. ლინენგრადი 1998 წელი.

ვო ეტლი მოჰყავს, უკან კი წელში ცხრად მოკეცილი კაცი მოჰყვება. არა, კაცი არ სჩანს. მარტო ფეხები და ზემოდან წამოხურული დიდი, უზარმაზი მაგიდა, რომელსაც "Как панцирь", ზუსტად ისე მოათრევს. აქ უკვე აღარ ფიქრობს – „არა უშავს ათრიოსო“, უკვე ძანაც ეცოდება, მაგრამ რა ქნას, ნაჩუქარ მაგიდას გზაში ხომ არ დატოვებენ?! ამ ფიქრებში იყო ანკა, რომ უცებ მის ქმარს, უფრო სწორად, გიორგის ფეხებს და მაგიდას უამრავი მეძავი შემოეხვია: მაღალყელიანი ტყავის ჩექმებით, ბანტებიანი თეთრეულით და ზედ წამოხურული ქურქებით – ასე ერთად ათრიეს მაგიდა სახლამდე. რა კარგი ქალები ყოფილან! ნახეთ?

ნეორეალიზმიდან წორმალურ ყოფამდე გზა წელ-წელა, რაც მთავარია, ერთად გაიარეს. ანკა მაინც ახერხებდა ხატვას და გამოფენების მოწყობას. თუმცა ძლივსძლივობით აწყობილი ცხოვრება მალევე დაიშალა – გიორგი თბილისში დაბრუნდა. მერე ანკაც გამოჰყავა — არ ლირდა კარიერის-თვის ცხოვრების დანგრევა. თუმცა ამით ხელი მაინც ვერ შეუშალა იმას, რაც თავისთავად, მაგრამ მაინც მოხდა.

## ТЁТЯ ЛЯЛЯ

არ ვიცი, იცის თუ არა თეტა ლალა-მ, რომ ანკა სწორედ მას უკავშირებს საოცარი აპლიკაციების შექმნას. როცა გოგი ალექსი მესხიშვილი „ბალ-მასკარადს“ დგამდა, ანკას კი ბედ-მა გაულიმა და მის სტუდენტ ასისტენტებს შორის მოხვდა, ეს საოცარი ქალბატონი გაიცნო და სწორედ აქ, ოპერის სამკერვალოში ნახა პირველად კოლაჟური, უზომოდ ლამაზი წამუშევრები. ავსტრიიდან სრულ წყვდიადში ჩამოსულს, როცა თბილისში ჯერ კიდევ იშვიათობა იყო განათებული

ნათურის დანახვა, რითი უნდა გაეყვანა დრო? იჯდა და მე-გობართან ერთად დიდ ნაჭერზე პატარ-პატარა აპლიკაციებს აკეთებდა; ისე, უბრალოდ. სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ხარისხის ნაჭრით. მერე თეფშებზეც გადავიდა და დღეს ყველამ იცის, რაიმე ლამაზი ჭურჭელი თუ გაგიტყდა, არ უნდა გადააგდო, რა იცი, რას შექმნის მისგან ანკა? დიდ ჩიტს, სასაცილო იხვს თუ...

## ЖЕНСКОЕ СЧАСТЬЕ

– „ანკა, წავალ რა ნინკასთან და მერე მომაკითხე“ – ისმის უეცრად, ოდნავ შეღებული კარიდან. პასუხი აგვიანებს – „კაი, ჰო. ოღონდ არ ვიცი, როდის გამოგივლი“. კარი იხურება და ორ წამში ისევ იღება – „ანკა, ბარემ იქ დავრჩებირა?“

– „ბედნიერი ვარ, როცა ჩემი შვილი თვითონ მიყვება ყველაფერს. მაქსიმალურად ვცდილობ, არ ჩავერიო მის ცხოვრებაში. ერთადერთი, რაშიც მყაცრი ვარ – განათლებაა. მინდა, კარგად ვასწავლო ენები, მომაგალში თუ საშუალება მექნება სამოგზაუროდ გავუშვა, რომ თვითონ ნახოს ცხოვრება, გამოფხიზლდეს. და რაც მთავარია, ბედნიერი ვიქნები, თუ ის **По-женски будет счастлива;**

– „ზუსტად არ ვიცი, რა არის. პატარა რომ ვიყავი, ბებია სულ ამბობდა, რომ ეს იშვიათობაა, იყო **По-женски счастлива.** ვერაფრით ვერ ვიგებდი, რა სისულელეა? ქალური ბედნიერება, არა... მეგონა, რომ ყველგან ყველაფერი ბედნიერად იყო, ისე როგორც ჩემს ოჯახში, დედასთან და მამასთან. დღეს კი ვხვდები, რომ ეს მართლაც იშვიათობაა“...



# PANTENE



## ძლიერი თმის ძირითადი ელემენტი



სერტიფიცირებული



ამინო + Pro-V კომპლექსი



# „თუ“ და „ან“

LoveStory / SuccessStory / **SadStory** / Our Story

ავტორი: ნესტან კვინიკაძე

„უცხო ადამიანი გეპითხება: ლექსებს ადარ წერ? ვითომ განიცდის. ეს საში-  
ნილებაა. ვისაც არაფერი ისაქმება,  
ხილს აფათურებს ჩვენ სულში. მა  
მას შევუთანხეო, რომ ყოველდღე  
დავნიდო? ეს აუზილებლობაა,  
რომელიც მასთან დადებული  
მაჲვე? ცული დალაზვილური  
დამოკიდებულებაა,—  
როცა საზოგადოება  
მიხრიდილი დადაა,  
რომელსაც უდეა, რომ  
კარგზახვალაგაყენოს,  
სრულყოფილებას  
გრძნობელი, გაგრძე  
სულ რჩებოდე  
განუვითარებელ,  
კატარა ნიჭირ  
გავავალ, რომელიაც  
გამულებით რაღაც  
უდეა უკეთოს ამ  
საზოგადოებას. ამას  
უდეა მოვერიოთ,  
და ამისთვის დირს,  
ალგათ, არღავია! მათ  
გამო! რომ ეს არ იყოს  
მათი დაკვითა, ეს არ იყოს  
მათი სურვილი! არავის  
არ ვეჯიბრები, რადგან  
რეალურად მკითხველი გქმნის,  
ოლოდი თავისუფალი მკითხველი,  
და არა ის, რომელიაც იცის, რომ  
სოციალურად მნიშვნელი გქვია და ასეთი  
კითხვა უდეა დაგისვას“.

რატი ამაღლობელი





ლაშა ბულაძე, რატი ახალლოგაძე, გოგლა საბარები. 1988 წელი

ასოციაციას ვერ იოკებ. ამიტომაც „საძინებლის ფარდა ხან დრაკონად იქცევა, ხანაც მოჩვენებად“. იფიქრებ, თოვლის კაცი შემოვიდა ოთახშიო. ამ დროს „მერსედესის“ ფარების შუქი ვიდეო-იმიჯად წარმოგიდგება. და რადგან მე თვითონ ვარ ჩემი ფანტაზიის და ასოციაციების ავტორი, ალბათ ამიტომაც მახსენდება ვიზ ვენდერსი, როდესაც ნაცრისფერში გადაწყვეტილ რკინიგზის ცენტრალურ სადგურს მოვერავ თვალს.

ასე მოხდა იმ დღესაც. 1998 წლის მაისი იყო. მატარებელი თბილისიდან ბათუმისკენ მიდიოდა. არაფერია უჩვეულო, არა? ჩვენც ისეთივე მგზავრები ვიყავით, როგორიც სხვა, მილიონი ჩვენამდე და მილიარდი ჩვენს შემდეგ. და სანამ

ვიტყვი, რომ „ყველა მოგზაურობა ერთნაირად მთავრდება, როცა საკუთარ ლოგინს უბრუნდები“, მანამადე მაინც მგონია, რომ მაშინ რაღაც მოხდა, ძალიან მნიშვნელოვანი. და არა მხოლოდ ჩემს ცხოვრებაში. ჩემს გარდა იქ ორმოცამდე ადამიანი იყო და მიუხედავად დაუკავებელი ასოციაციების მთელი ბასტიონებისა, ამ შემთხვევაში ყველას ერთი რამ აკავშირებდა – გარდატეხა, შემოქმედებითი გარდატეხა.

„ახალგაზრდა შემოქმედთა სემინარი“ – ასე ერქვა მიზანს. შემთხვევის **თუ** დამთხვევის წყალობით, 18 წლის ასაკში მეც იქ აღმოვჩნდი. ორმოცი მგზავრიდან მხოლოდ სამს ვიცნობდი: ლაშა ბულაძეს, გუგა კოტეტიშვილს და ნიაზ დიასამიძეს (მას მხოლოდ სახით ვცნობდი). ჩემს კუპეში ფეხმოროთხმით მოკალათებული, ხულიო კორტასას ვკითხულობდი. ხომ გაგიგიათ, არგენტინელი, რომელიც ფრანგული „ლ“ – თი მეტყველებდა: „სელიამ ჩაირბინა ქუჩა, რომელსაც პურის, რძიანი ყავის და დილის ცხრის ნახევრის სურნელი ასდიოდა.“

ვაგონი შემოქმედი ადამიანებით იყო სავსე. საღამოსკენ ალკოჰოლმა მოგვთენთა და ზოგმა სიმღერა, ზოგმაც კი ლექსის კითხვა დაიწყო. მე ყველაფერი მომნონდა, ვიხიბლებოდი თვალებში განსხვავებული ნაპერწკალის ხილვით და კიდევ იმით, რომ ბათუმში ზღვისპირა სასტუმრო გველოდა, სადაც კონცერტებს, ლიტერატურულ საღამოებს და სპექტაკლებს ერთობლივი დილის საუზმები დაემატებოდა. ჩვენ შევეჩვენდით ერთმანეთს და რაღაც ახალი დაიბადებოდა.

მატარებლის დინამიკა ხომ ყველასთვის ნაცნობია. მეც გა-

**ორი კუპას იქით შემიყვანა, იქვე  
ჩამოვავეპი. მეუზნება: შეიძლება არ  
დაიჯორო, გაგრამ დანახვისთანავე  
შემიყვარდი, გიზი არ გეგონო. აი,  
ამ სიმღერას მოუსმითო, ყველაფერს  
მისვლებით.**

ვყევი რითმებს, ჯაზისმაგვარს... კუპეს კარზე კაკუნი გაის-  
მა. ერთ-ერთი მგზავრი, სემინარის მონაწილე შემოვიდა, ჩემს  
კუპ-mate-ებს გაულიმა და მითხრა, ერთი წუთით წამოდი,  
საქმე მაქვსო. მე მორჩილად გავყევი. ორი კუპეს იქით შე-  
მიყვანა, იქვე ჩამოვჯექი. მეუბნება: შეიძლება არ დაიჯერო,  
მაგრამ დანახვისთანავე შემიყვარდი, გიუი არ გეგონო. აი,  
ამ სიმღერას მოუსმინე, ყველაფერს მიხვდებიო, და ყურში  
ყურსასმენი გამიკეთა. მგონი თომ უეითსი იყო...ან... გამე-  
ცინა. წამოვდექი და ჩემს კუპეში დავბრუნდი. მერე ლამე არ  
დამეძინა და გასასვლელში მუსიკის სმენით იქამდე ვიდექი,  
სანამ რიურაუზე ზღვა არ გამოჩნდა. მოულოდნელად ის კარი  
გაილო, სადაც რამდენიმე საათის წინ სიყვარული ამიხსნეს,  
მაგრამ კუპედან სულ სხვა ყმაწვილები გამოვიდნენ. ურუან-  
ტელმა დამიარა... მივხვდი, რომ მაშინ, სიბნელეში ისინი ვერ  
შევამჩნიე, ზედა სართულზე იწვენ... ყველაფერი გაიგეს! რა  
სირცხვილა!

ვუყურებ. ზურგით დგას და ვერ ვცნობ. ახ, აკა მორჩი-  
ლაძე! ვაიმე, **თუ** დანერა ეს ამბავი! მეორე ვინდაა?! არა,  
ვერ ვცნობ. კიდევ კარგი, უცნობია. მერე ერთდროულად  
გამომხედეს, გამიღიმეს და ის უცნობი თვალებით მეუბნე-  
ბოდა, გუშინ მთელი ლამე არ მეძინა, უბრალოდ ვიწექი და  
ვფიქრობდიო.

ჯერ ის შევიტყვე, რომ უცნობს რატი ერქვა, მერე გვარი –  
ამაღლობელი. ლექსების კითხვა რომ დაინყო, ეჭვი აღარ  
შემპარვია – 22 წლის პოეტი!

იმ პერიოდში ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ შვიდი  
წლის შემდეგ, ერთ დღესაც მე და რატი პირისპირ ვისხდე-

ბოდით, ჩვენს შორის დიქტოფონი იქნებოდა და ჩვენს „დიდ  
იმედებს“ ერთ პატარა კასეტაზე დავატევდით: „ბათუმის  
სემინარი ხომ გახსოვს? გარდამტეხი იყო შენთვისაც და  
ჩემთვისაც, სულ სხვა ცხოვრება დაინყო. წესით, არ უნდა  
თქვა ასეთი რამ და უფრო ღირსეულად დაიჭირო თავი, მაგ-  
რამ მართლა სულ სხვანაირად წავიდა... წერა სხვანაირად  
დავიწყე. მე ახლა ისეთ რაღაცებებს გიყვები, რაც ჩემთვის  
მნიშვნელოვანია, ჩემთვის და არა მკითხველისთვის. იქ შემი-  
ყვარდა სიცოცხლე. ამან 24 წლამდე გასტანა. ორი წელინადი  
მოზღვავებული ენერგიის ხანა იყო, უმანკოების განცდა რომ  
გაქვს: ღმერთს უყვარხარ, დაცული ხარ. ყველაფერი შეგიძ-  
ლია და მთელს დედამიწაზე ყველაზე მეტად შენ გიყვარს.  
იმდენი ძალა და ენერგია გაქვს, რომ არც უსიყვარულობის  
გეშინია“.

აქამდე კი უფრო მძაფრი განცდებია, დღეს უკვე სურნელე-  
ბად, არომატებად და გამჭვირვალობებად ქცეული. პირველ-  
განცდები, ემოციების დედნები: როგორ იკვლევდა თოვლიან  
გზას „კუკუშკა“, სადაც პატარა ბიჭი იჯდა, დედასთან ერთად.

## ორი წლის ასაკში, ახსოვს ერთი

**უსნაური დღე, როდესაც დაღა შინ**

**სულ სხვანაირი დაბრუნდა, თმა**

**მოკლე შევაზრა – უსეო იყო თითქოს.**



კოდა ყაჲანიშვილი და რატი. 2002 წლი.

დედას ჯინსის ქურთუკი ეცვა... ორი წლის ასაკში, ახსოვს ერთი უცნაური დღე, როდესაც დედა შინ სულ სხვანაირი დაბრუნდა, თმა მოკლედ შეეჭრა – უცხო იყო თითქოს. ახსოვს ბების სახლის სამფეხა სკამი, რომელიც მისთვის მუზარადიც იყო, ავტომატიც, ტანკიც, კალათბურთის ფარიც, ანუ ბავშვობისდროინდელი შემოქმედება. ერთი და იგივე საგანი რამდენ რამედ შეგიძლია აქციო და რა პირობითია ეს ყველა-ფერი! ნივთის და საგნის მრავალფეროვნებას საზღვარი არ აქვს. შენ ქმნი, შენ ხედავ და თავისუფალი ხარ... აქ ყველა-ფერი შეიძლება მოხდეს. ფანტაზიის უნარი ისეთი გამძაფრებული გაქვს, რომ ფარდა შეიძლება დრაკონად მოგეჩვენოს **ან** მოჩვენებად, რომლისაც გეშინია... და სავსე ხარ ამ შიშით და განცდებით. ამიტომ ალვიძებ დედას, ამიტომ ეხმიანები სხვას, რომ შენივე ფანტაზიისგან დაგიცვას.

„ბავშვობაში ერთ მხარეს ბებია იწვა, მეორე მხარეს – ბაბუა. კედელზე სამოცაინი წლების შპალერი იყო გაკრული, მწვანე ფერის... ჭავჭავაძის პროსპექტიდან მანქანების ჩრდილები ფანჯრიდან კედელზე ადიოდა და ამ შუქს გამჭვირვალე ფარდების ფაქტურები ირეკლავდა. არ მინდა, რომ ეს დავივინყო. ახლა ეს მგონია პოეზია.“

მაშინ კი, ათი წლის ასაკში, არტისტულს და თამამს, პოეზია თამაში ეგონა. პირველი ლექსი იუმორით შეუფასეს, რადგან თვითონაც ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა. მის პოეზიას თამაშის ელემენტები ახლდა და მათში პოეტის მტანჯველი განცდები არ ერია – გალაკტიონის „ქარი ქრის“ ხომ გახსოვთ? რატის თავისებური ინტერპრეტაცია ჰქონდა:

**ქარი ქროდა, ქარი ქროდა...**  
...**მე ვიდექი ფანჯარასთან**  
**და თვალებზე ცრემლი მქონდა.**  
...**მე ვიყავი მხოლოდ მასთან,**  
**ფანჯარასთან, ფანჯარასთან...**  
**ქარი ქროდა, ქარი ქროდა.**

„პოეტობას ვთამაშობდი“. აქედან იბადება პოეტური ხილვები და ზმანებები, პოეტური ლანდშაფტები. რატი, თავის-თავად, პოეტური ნატურა. უბრალოდ, იმას არ წერს, რა-საც მოზრდილი ადამიანი. ერიდება. ამიტომაც თამაშობს. რასაკვირველია, მერე გინდა, რომ გალიარონ, თქვან – რა მაგარი ყოფილა!

რატი მოძრაობს, დიქტოფონი ყანყალებს. ახლა იმ პერიოდს იხსენებს, როცა პედაგოგიური გამოცდილების გარეშე, მე-6 სკოლაში რელიგიის ისტორიას ასწავლიდა. „ენერგიული ვი-ყავი. მეცინება. არა იმიტომ, რომ რისიც წინათ მჯეროდა, ახლა აღარ მჯერა. იმაზე მეცინება, **თუ** რა ენერგიას ქარ-ჯავდი და როგორი რწმენა მქონდა! დაჯერება ერთია, მა-გრამ რწმენის ინტენსივობა – სხვა. იმ დროს ყოფა არ მაინ-ტერესებდა. სკოლაში სწავლების არანაირი გამოცდილება არ მქონია. მხოლოდ სურვილები, ემოციები და განცდები მამო-ძრავებდა. რაც ვიცოდი, ყველაფერს ბავშვებს გადავცემდი. ყველაფერზე ვლაპარაკობდით. ამაზე საუბარი ახლა უფრო მიჭირს. აზრს კი არ ვახვევდი თავს, უბრალოდ ვეებერთელა ენთუზიაზმით ვიყავი სავსე.



რატი, ლელაკო და დაჩი. 2004 წელი

სკოლაში სოციალური მოდელის პირისპირ აღმოვჩნდი და გამოვიქეცი. მართალია, ისევ აქ მოვხვდი, მაგრამ... კარიერის დინამიური და ვერტიკალური განვითარება დავინახე და ეს შემზიზლდა. მთლიანად საკუთარ თავში და ლიტერატურაში ჩავიკეტე. სწორედ ამ დროს მიყვარდა... მაგრად და აჩემებით.

—რატი, მოყევი!

—სიყვარული?... ნალდი ამბები გინდა? ერთხელ მქონდა მა-გარი რაღაც... იცი რა იყო!... არ მინდა, რა! დავიძაბე.

—აბა რაზე ვილაპარაკოთ?

—კარგი საუზმე აუცილებელია... მიყვარს თხილამურები, თხილამურებზე ვგიუდები. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ჰი-პოდინამიური ვარ. ამაში მოძრაობის და ფრენის იმიტაციას ვხედავ... ნაკლები მოძრაობა მიწევს და ალბათ ამით ვახდენ კომპენსაციას. ექვსი დღე ვმუშაობ და ერთი დღე სასრია-ლოდ დავდივარ. ეს არ არის სოციალური პრივილეგია. პირი-ქით, ბუნებაში ყოფნის სურვილია. აქ, ჩვენს მიერ შექმნილ სამყაროში უამრავი პრობლემაა. როცა ამას ზემოდან უყუ-რებ, ყველაფერი უმნიშვნელო გეჩენება. თხილამურებს სხვა სამყაროში გადავყავარ და ეს რიტუალია, მარტო ყოფნის და თავშექცევის... თან, რაღაც რომ გამოგდის, გსიამოვნებს.

24 წლის რომ გავხდი, ჩემს ცხოვრებაში კრიზისი დაიწყო. როგორც ჩანს, მართალი ყოფილა აბსტრაქტული ფრაზა და გაფრთხილება: ცხოვრება ძალიან რთულია. ცხოვრება თურმე სულაც არ ჰგავს სიზმარს. ეს ძალიან მძაფრი, კონკრეტული, რთული და მრავალმხრივი პარტიაა. თითოეული დღეც ამის

მაგალითია, რადგან არცერთი არ ჰგავს ერთმანეთს. გინ-და, რომ მომავალში ყველაფერი ისე წარიმართოს, როგორც დაახლოებით წარმოგიდგენია. ჯერ ყველაფერი ისე მიდის, როგორც არ წარმომედგინა. წერ იმას, რაც განგიცდია, რაც გადაგხდენია. ორ-ორ წლიანი ეტაპებია, რადიკალურად რომ იცვლება მსოფლმხედველობა. მხოლოდ პრინციპებია უცვლე-ლი. ჭვრეტის და ხედვის კუთხე იცვლება. ერთსა და იმავე საგანს მეტ-ნაკლები სიშორიდან ვუყურებთ. ამ დროს ერთი და იგივე საგანი იმდენად იცვლება, რომ საერთო ერთმა-ნეთთან აღარაფერი აქვთ. მინდა, რომ ამ ფანტაზიის ინიცია-ტორი ვიყო და ეს სურათები ცხოვრებამ კი არ შეცვალოს, არამედ ამ ცვლილებათა სადავვე თვითონვე დავიმორჩილო.

## „24 წლის რომ გავხდი, ჩემს

**ცხოვრებაში კრიზისი დაიწყო.**

**როგორც ჩანს, მართალი ყოფილა**

**აბსტრაქტული ფრაზა და**

**გაფრთხილება: ცხოვრება ძალიან**

**რთულია“.**

ნებათში ზღვა არის,  
ზღვაში ნები.

რ.ა.



„ერთხელ ჩვით დიდი სალამო  
გაიმართა. როცა სალამო  
დამთავრდა, უამრავი სალხი  
მოღირდა; ყველა სალდაც  
მიკაციშვილდა. იყო ერთი ამბავი.  
ვიღაცხები თავიდ-თამოვიდნო. ერთი  
სიცყვით, ისე მოხდა, რომ ყველა  
თავიდა და მარტო დავრჩი.“

— შენი თვალით, როგორი ვარ? — კითხვას მიბრუნებს. — ალბათ, ძალიან პრანქია ადამიანი გვიმოარ, რომელსაც ხან გამოდის რაღაც, ხან — არა.

იქ არ მითქვამს, მაგრამ ბოლოს ასეთი რატი მახსოვს: ჩემი ტექსტის ფინალისთვის ლექსი უნდა დაეწერა; უფრო სწორად, შეღლოცვა. ტაო-კლარჯეთიდან დაბრუნებულს, სახეზე რაღაც დიდი საიდუმლო ეტყობოდა. ოდნავ გარუჯული იყო და ცოცხალი იერი ჰქონდა. ჩემს პირდაპირ, სკამზე მოკალათდა და კითხვა დაიწყო:

ტანი თითქოს ტაძარია —  
მობრძანდებით ბატონებო.  
ტაძარს შიგნით ხანძარია —  
მობრძანდებით ბატონებო...



რათი გაუვალავში

მერე აღარ მახსოვს... ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სადლაც წავიდა, – უცხოეთში, იქ, სადაც ყველაზე მეტად გაუჭირდებოდა ყოფნა... ვთქვათ, ინგლისში. მაგრამ რატი არსად არ წასულა. ამწუთას ჩემს პირისპირ ზის და მარტო-ობაზე მესაუბრება:

„ერთხელ ჩემი დიდი საღამო გაიმართა. როცა საღამო და-მთავრდა, უამრავი ხალხი მოდიოდა; მათ შორის ისინიც, ვისი აზრიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, **ან** ვისი აღიარებაც, სო-ციალური თვალსაზრისით, რაღაცას ნიშნავდა. რასაკეირ-ველია, ასეთი ადამიანები მხოლოდ ბავშვობაში არსებობენ, მერე „კუდებიან“. ამ ადამიანების მთელი გალერეა სადლაც ქრება... ყველა სადლაც მეპატიუქებოდა. იყო ერთი ამბავი. ვიღაცები წავიდ-ნამოვიდნენ. ერთი სიტყვით, ისე მოხდა, რომ ყველა წავიდა და მარტო დავრჩი, სახლში წასასვლე-ლი ფულის გარეშე. და ღმერთს იმწამსვე მადლობა ვუთხა-

რი, რომ ის ერთი წუთითაც არ მაძლევს თავის მოტყუების საშუალებას.”

მოხდა ისე, როგორც დასავლეთში, სადაც ბუნებრივი მო-ვლენაა: პოეზიის საღამოს შემდეგ, ავტორი ლექსების წიგ-ნებს ჩანთაში აწყობს, მატარებელის ვაგონში მარტო ჯდება... და თლილი თითქოთ კრიალისანს ათამაშებს. თითქოს არც მშობლები ჰყავს, არც შვილები. მხოლოდ კალმიდან გადმოლ-ვრილი ცხოვრებით სულდგმულობს.

„იგივე მოხდა... (ამას ახლა პირველად ვამბობ და ვერა-სოდეს ველარ გავიმეორებ) დედაჩემის გასვენებისას. უამრა-ვი ხალხი ტრიალებდა. გარეთ გამოსული, ფეხით გავუყევი გზას, ვერცერთ მანქანაში ვერ ჩავჯერი. ტაქსი გავაჩერე და სასაფლაოზე ისე წავედი. იმის მიუხედავად, რომ ჩემს გვერ-დით უამრავი ხალხი იყო, მაინც მარტო ვიყავი. ეს არ არის პოზა. ეს სინამდვილეა. ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტი-ლებებს ადამიანი მარტობისას იღებს. ქმედებას წინ სურ-ვილი უნდა უძლოდეს. სამყაროს პირისპირ ჩვენ მარტონი ვართ. ეს მძიმეა, მაგრამ თან, ძალიან დიდი ძალაა... შიში მიძყრობს, როცა ვხედავ, რომ ბავშვობის გმირები ნელ-ნელა ხელიდან მეცლება. ვრჩები მარტო, კაცი ვხდები, და იმ ადამიანად ვიქცევი, რომელმაც ახლა უკვე სხვის ბავშ-ვობაზე უნდა იზრუნოს. მე აღარ მაქვს შემოქმედებითი თა-ვისუფლება.”

შუადღეა, მაგრამ დიალოგს საღამოს ეფექტი ედება, რო-გორც სტეფანწმინდას ნისლი. ყველაფერი ლექსის წერის დაწყებას ჰყავს, როცა არ იცი ფინალი. რატი **ან** გაიცინებს, გულზე ხელს დაიდებს და იტყვის: მარტო მამუკას ვუყვარ-ვარ (რატის აკვიატებული ფრაზა. მამუკა ერთ-ერთი კაფეს მიმტანია)! **ან** ვინმე დაურეკავს და შეხვედრას ხვალისთვის გადავდებთ. მე არ მინდა ხვალ შეხვედრა. ისედაც ყველა-ფერი გასაგებია. თან, რომ დავთიქრდი, მივხვდი: ის კი არ მაინტერესებს, რაც იყო, არამედ – რა შეიძლებოდა ყოფილი-ყო, როგორც ნამდვილ ხელვნებაში, როგორც არისტოტე-ლესთან. ამიტომ თავიდან ვიწყებ: „ასოციაციას ვერ იოკებ. ამიტომაც „საძინებლის ფარდა ხან დრაკონად იქცევა, ხანაც მოჩვენებად“. იფიქრებ, თოვლის კაცი შემოვიდა ოთახშიო. ამ დროს ვიდეო იმიჯის ასოციაციას „მერსედესის“ ფარების შუქი აღძრავს. და რადგან მე თვითონ ვარ ჩემი ფანტაზიის და ასოციაციების ავტორი, აღბათ ამიტომაც მახსენდება ვინ ვენდერსი, როდესაც ალტერნატიულ ნაცრისფერში გა-დაწყვეტილ რეინიგზის ცენტრალურ სადგურს მოვკრავ თვალს.

ასე მოხდა იმ დღესაც. 1998 წლის მაისი იყო... მატარებე-ლი თბილისიდან...

თქვენც ხომ თავად გიჭირავთ ფანტაზიის სადავები? პოდა, ნარმოიდგინეთ, რაც გნებავთ – ვიმ ვენდერსისეული სახლის სახურავები; შემოდგომის წაბლისფერი სახეები; **ან** ცეცხლი, რომელსაც ყველაზე უკეთ ესმის ზამთრის... ნარ-მოიდგინეთ, რადგან ნებისმიერი „**თუ**“ „განუწყვეტლივ გა-მოხატავს თავის მზაობას რეალობად ქცევისა“.

ვზივარ ფალიაშვილის 108-ში, კარი იღება და ოთახში ჩემი კოლეგა შემოდის, დიქტოფონით ხელში: კასეტები ხომ არ გაქვს, ინტერვიუზე მივდივარო. ჩანთიდან პატარა კასეტას ვიღებ და ვაწვდი. ამ პატარა კასეტაზე რატის „დიდი იმედე-ბია“... იმედები???

ՈՐԾԱԳԾԵՎԱԿԱՑՄԱՆ -



კარგი ტექსტი,



სივრცე აღმოჩენა!





# სპეც-პროექტი ჩემი ქალაქი

ავტორი: სოფიო კირვალიძე


ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ერთ დროს ტფილისი კავკასიის რომი ყოფილა, ყველა გზა მის აღმოსავლური ხალიჩებით მორთულ, ერთკაციან ქუჩაბანდებში შემობოდიალდებოდა, სადაც სამი მუშკეტერის აღტაცებული ავტორის თქმით, დილის მეეზოვეები სულ ცინცხალ ევროპულ არიებს ლილინებდნენ, შინაურულად, თბილად. ქალაქის სახელწოდებაც, ეტიმოლოგიის გარდა, ალბათ სურვილით იყო ნაკარნახევი – თბილისი.

სითბოს კრატერი ჭრელ აბანოებში თუხთუხებს. ლეგენდაც ხომ ამ ადგილიდან იწყება. თბილ, ნესტიან კედლებში ეპოქა უცვლელია, მდუღარე გოგირდის წყალში, ზენარშემოხვეულ,

სიამოვნებისაგან მოკრუტუნე დედიშობილა ხალხს მექისე ელჩინა ფარდაგიანი ქისით სიქას აძრობს. მისი წინაპარიც ასე ხეხავდა ერეკლეს, საათნავას, ალექსანდრე დიუმას, ტოლსტოის და ვის ალარ – მეფეს, პოეტს, ყარაბილელს, დღეს კი პრეზიდენტს, პრემიერს, უბრალო კომპიუტერის პროგრამისტს, სტუმარს და მასპინძელს. საღოლ, – გულთბილად ამბობს მენეჯერი გულო და ყველას თავის წილ სითბოს თან ატანს, მაგრამ უაზროდ გაზრდილი ქალაქის ახალ უსახურ უბნებს ეს თერმული ენერგია აღარ ჰყოფნის...


მამუკა ხერხეულიძე




## ლავით ჯავახიშვილი

მორალი

ორბელიანების ბალი. პატარა როცა ვიყავი, ყველაზე  
დიდ ვაჟკაცობად ის მიმაჩნდა, თუ ბალს ღამე სირბილით  
დავარტყამდი წრეს.  
ახლა ეს ბალი პატარა კუნძულილაა, ალბათ ბოლოს ვიღაც  
იყიდის და შიგ რესტორანს ჩადგამს...








## ინგრილ ლეხერავი

ნიღერლანდური კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი

მაშინ, როცა თბილისი ჩემთვის ჯოჯოხეთად იქცევა  
ხოლმე და ეს ქალაქი აღარ მიყვარს, ზემოთ ავდივარ,  
მთაწმინდაზე. იქიდან თბილისის სიყვარულს კვლავ  
ვგრძნობ. ეს ამფითეატრი, მიტოვებული და უკაცრიელი,  
ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადგილია. ლექსივითაა: იწყება,  
სრულდება, მაგრამ არასოდეს მთავრდება. აქ წარმოდგენა  
არასოდეს წყდება, მოქმედი გმირები – დრო და ადგილი  
არიან.





## გოგი გვახარის

კინომსოდენი

ყველაზე მეტად თბილისში აეროპორტი და გერმანიის საელჩო მიყვარს – დასტური იმისა, რომ სადღაც მივდივარ. ჩემი აივნიდან კი მდინარეს გადავცქერი ხოლმე და ვფიქრობ, რომ მტკვრის სანაპირო თემზის სანაპიროს ჰგავს.





## ნისტან ნიზარაძე

ფოტოგრაფი

გიორგი წერეთლის ქუჩა, რვა ნომერი. ეს ეზო შემთხვევით აღმოვაჩინე, როცა რეპორტაჟისთვის ქალაქში დავდიოდი. ტიპიური თბილისური ეზოა. ირგვლივ ყველაფერი დაინგრა, ჩემთვის კი იქ დარჩა თბილისი და თბილისური ყოფა, სადაც ადამიანებს ერთად ცხოვრების სიხარული არა აქვთ დაკარგული.







## გიორგი მარიაშვილი

რეაქტორი

ჩემი თბილისი გუდიაშვილის სახლთანაა, კეცხოველზე: იქ გავატარე შვიდი წელი, იქ რემკა ფილმს იღებდა და თეონაც იქ გავიცანი.








## თორნიკე აზულაძე

არქიტექტორი

უბრალოდ, მომწონს შარდენი. ეს ის ადგილია, სადაც სეირნობა  
მიყვარს და თან, ბევრ ნაცნობ სახეებსაც ვხვდები.







## ლავით გალაქაძე

პოეტი

უკრაინა -  
საქართველოს 1318-ის მიმდევ  
ყაზბეგის თავის-სა-შავ.  
მის დღი-სა-ხმა ხმა ის სა-და-სა-ხ  
ვის-მი-შა შა შა შა.

ლავით გალაქაძე





## ლიქა ნალარჯა

სოციოლოგი

ჩემი ქალაქი ჩემი სახლია.







## გელა კუპრაშვილი

ვიზიონერი

ჩემი საყვარელი ადგილი აერობორტის გზაა იმიტომ,  
რომ ყველაზე ძალიან თბილისიდან გამგზავრება და მერე  
თბილისში დაბრუნება მიყვარს.








## გიორგი სუმაბაძე

მუსიკოსი მომღერალი პრეზიდენტი

ქალაქში, სადაც ბავშობაში „ტარტალეტკებსა“ და ფერადი კუბიკებით თამაშს მოკლებული არქიტექტორები დაგვიანებით იხდენენ ოცნებებს, მიწევს დანახული შენობების დეფრაგმენტაცია, რამაც განაპრობა ჩემში მწერის კალეიდოსკოპური თვალის ჩამოყალიბება. booyakasha. respect all insects in da house.



# გაგნიში, რომელიც ნორმას განიზიდავს



ავტორი: თამარ ბაბუაძე

ფოტო: დავით მესხი



### კომფორტი

მახსოვეს ძალიან კარგად: დედამ გააყოლა თვალი ჩემს მზერას – ქუჩაში ვიდექი და სხვის ფანჯარაში ვიყურებოდი – და მითხრა: „ეს უზრდელობაა, მაგრამ მეც ვიხედები ხოლმე, ლამაზი ჭალები მიყვარს“.

ფსიქოლოგს რჩევისთვის არ მივმართავ. უყვარს დედაჩემს ლამაზი ჭალები და ეს ვისაც როგორ უნდა, ისე ახსნას: როგორც შური ელექტრონით გამთბარი სხვისი ოჯახური იდილიის მიმართ, ან, თუ უნდა, უფრო მარტივად – როგორც უზრდელობა.

მე კი დედასთან ერთად ჩადენილი ბავშვობის „კრიმინალი“ ყველაზე აზარტულ ჰობიში გადამეზარდა: სხვის სახლებში ჭვრეტა — ადამიანებში „ჩახედვად“, მათი დამუღამების სურვილად.

დღეს ორ ადამიანს ვამუღამებ. ლევან ნუცუბიძეს – ფოტოგრაფს და ნანიკო ხაზარაძეს – ტელეწამყვანს. პროცესს ნაჩვევი ხერხით – სახლში შეჭვრეტით ვიწყებ.

ერთი შეხედვით, უჩვეულო არაფერობით:

სახლი: მთლიანი ფიცრებით შეკრული გრძელი მაგიდა. შეულებავი. ფიცრისფერი. წესით, პროვანსულ სამზარეულოში უნდა იდგეს. მაგრამ მინიმალისტებმა „პაი-თექის“ სიცივის ასე მოტეხვა გადაწყვიტეს და მსგავს მაგიდებსაც ბევრმა მიუჩინა ადგილი მბზინვარე ალუმინითა და შუშით გაყინულ ოფისებში.

მოკლედ, ფიცრის მაგიდა, კაბინეტის ფუნქციით. კარგია.

ორი კიბე. თაღს იქით სამზარეულო.

გრძელი და ვიწრო ფარდები. თბილი დეტალი.

განათება: აქა-იქ. რბილი. ფავორიტი კუთხე-კუნჭულების ხიბლს ზუსტად ამოჰყოფს.



ნანიკო: ჯინსი. თეთრი ზედა. ჭურჭელს რეცხავს.

ლევანიკო: შავი ზედა. მოკლე თმა. კომპიუტერთან ზის სიგარეტს ეწევა.

„ეს ფოტო კარგი. ისე, ორივე არაფოტოგენურები ვართ მეჩვენად შენიშვნა, არა?“ – გასძახის.

„რაა? არ მესმის“ – წყლის ხმა ფარავს დაბალ ხმაზე ნათევამს.

ლილუ: გოგოა. უფრო სწორად, მაგარი ბავშვი, ნლის და შვიდი თვის, რომელიც თანდათან ნამდვილი გოგო ხდება იპრანჭება. მამას სულ სხვანაირად ეკონტაქტება. დედას ლოყაზე ეფერება.

Հայոց: Խըսու ցըցք, կաթի. Սպառալող, Տառպրագ ամարտ-  
լոցի Տառելու. Խըս, կարցի Տառսուտուս պողովուն. Գանձակուտրը-  
ծուտ, Ռուդա ար դցաս մարդու და Ռուդա Պորագու Կեռացրեցաւ  
մօռնեսրուցըշուլու այցէս. Ճկաց կո մարդուա. Լուլուս գամռնեացաւ-  
կալաւաթիւ Ենց და Անմաններիւ. Հենցաւս. Շուշուզըննեածու...

- სად ერთობით თბილისში?

სამზარეულოს მაგიდასთან, ყავისა და სიგარეტის გვერდით, რბილი განათების ფონზე მშვიდად დევს ლევანიკოს და ნანი ვას საკრიტიკირები.

„უკვე ყველაზე კარგად სახლში ვერდნობთ თაგა. ვხდებით, რომ ყველაზე კარგად აქ ვერთობით. ერთმანეთან, ლილუსთან და ჯოჯოსთან ერთად. გაქცევას აზრი არ აქვს. დისკომფორტი თბილისშიც არის, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე დიდი კომფორტია, სახლი და ერთმანეთი“.

ვრწმუნდები: ნაჩვევმა ხერხმა გამიმართლა. ჯერ სახლში შემოჭყეტა ყოველთვის ღირს. თუ სახლი ციხე-სიმაგრე კი არა, კომფორტია, მაშინ ხო – მით უძეტეს.

სიგიზუს ანონსი

და რა არის კომფორტი? ბევრი რამე. ამ შემთხვევაში ის, როცა ერთ სივრცეში ჰარმონიულად თანაცხოვრობენ „პლუს-მინუსები“:

**ნანიკო – „რეალისტი ვარ. ხშირად ვყოფმანობ. ლევანი მქა- ჩავს“;**

**ლევანიკო** – „მეუბნებიან, რომ ცაში დავფრინავ, მაგრამ ყველაზე დიდი ტრაგედია ის არის, რომ მე თავს მიწაზე ვგრძნობ“.

**ლოლუ** – ზუსტად არ ვიცით, რას ფიქრობს. სავარაუდოდ:  
„რატომ წევს ჯოჯო ჩემს კალათში?“.

**ჭოფვო – „როდის მოვა რვა საათი, როდის წამიყვანენ ქმართან?“** – მარტია.

„ეკვე ყველაზე კარგად სახლში  
ვგრძნობთ თავს. ვხვდებით, რომ  
ყველაზე კარგად აქ ვერთობით.  
ერთმანეთთან, ლილუსთან და  
ჯოჯოსთან ერთად“.

და კომფორტია ისიც, როცა ადამიანებთან ერთად, იმავე სივრცეში, ჰარმონიულად თანაცხოვრობენ მათივე:

### სიყვარული

ნანიკო: „სიყვარულის ახსნა არ ყოფილა. პირველი პერიოდი მახსოვს, როგორც დიდი, კარგი ენერგია“.

### ერთად ჩადენილი სიგიურები

ნანიკო: „ქორნილი პირდაპირ ეთერში გვქონდა“.

### გადაფასებული ფასეულობები

ლევანიკო: „ბრძოლის მეთოდი შევცვალე. დავშვიდდი, რადგან მივხვდი, რადიკალიზმი სრულ იგნორს იწვევს“.

### იუმორი

ნანიკო: „დალვინდა ჩემი ლევანი“.

### მოჩვენებითი გაუცხოება

ლევანიკო: „ურიზისი გვქონდა. შეიძლება გარემოს ბრალი იყო, შეიძლება – ჩვენი, მინაგანი. ინდოეთში მივხვდი, რომ არ არსებობდა ჩვენ – ცალ-ცალკე. დავბრუნდი. კარგიც კია, რომ ასე მოხდა“.

### ნიშნები

ლევანიკო: „სულ გახსნილი ვარ, ვამჩნევ და ვკითხულობ ნიშნები ჩვენს ურთიერთობას თავიდანვე მოჰყვება“.

### უცნაურობები

ლევანიკო: „მიკი მაუსად ვმუშაობდი დისნეი ლენდში“. ნანიკო: „სიგარეტ „ვესტს“ ვარიგებდი ღრმალელეში“.

### იდეები

ლევანიკო: „მინდა, რომ ტორტივით სახლები ავაფეთქო ტროტილით“.

ნანიკო: „მინდა, რომ კაფე მქონდეს, დიდი სივრცით, კომფორტული ბალიშებით, შეზღლონგებით, დიდი ჭერით და ჭერზე ეკრანით“.

### ოცნებები

ლევანიკო: „ეგეთი „კრუტოც“ არ ვარ, რომ არ ვიოცნებო. მაგრამ ზომიერების ფარგლებში“.

ვგიუდები სიგიურებზე, უტოპიებზე, ექსტრემიზმზე და მერე მოულოდნელ დამშვიდებაზე, ემოციებით გადაღლაზე და უკან – ისევ რუტინაში დაბრუნებაზე.

ვის უნდა, რომ ავყოლიო? კალაპოტიდან ამოვაგდო? კარგი გაგებით, მშვიდი გაგიუებით, მკითხველის სტატუსით, სასიამოენოდ; ბოლოს და ბოლოს, საინტერესოდ მაინც. წავე-დით!

მინიშნება: ნუ დაიბნევით, თუ მოხდება ცნებების, კომფორტი-დისკომფორტის, იდილია-ქაოსის, სიმშვიდე-პროტესტის და ა.შ. აღრევა. ყველანაირი განმარტება პირობითია. ისე-დაც.





## -სტაბილიზაცია დე-

ნანიკო ხაზარაძეს საკუთარი რეალისტობის დასადასტურებლად აქვს ერთი საბუთი, პირობა – სტაბილურობა: „ერთ ბაბში დავდიოდი, ძირითადად, ჩუმად ვიყავი. ჩემთვის ვიდექი და არავის ვეკონტაქტებოდი. ერთი სკოლა დაგამთავრე, ერთი კლასი“.

მაგრამ საბუთს ვიწუნებთ. ამ პერიოდში ცხოვრება ისედაც სტაბილურია ხოლმე. ურვე მერე, მაშინ, როცა შინაგანად იხსნები და არევისთვის საჭირო ჭუუა მოგეითხება. „სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი ფერწერას. თან ექიმობა მინდოდა, შატალოზე მორგში ვიპარებოდით ხოლმე მე და ჩემი მეგობარი. ერთ დღესაც თეატრალურ ინსტიტუტთან გავიარე, განცხადება წავიკითხე მისალები გამოცდების შესახებ და ის იყო, დიპლომი უნდა ამეღო აკადემიაში, რომ ყველაფერი მივატოვე და თეატრალურში ჩავაბარე. ათ წელს გაგრძელდა სტუდენტობა“.

ლევანიკო თავიდანვე ასეთია. ცხრა თვის ბავშვი დედის მეგობარს ეუბნება: „ასპირინი აიღე, ბორჯომში გახსენი და მიიღე“. მავნეა. ჭურჭელს არ ლენავს. სამაგიეროდ, დიდებს სკაშს უწევს და ძირს ყრის. მისი მარტო დატოვება არ ღირს. დედას ქამარი უკეთია, ქამარზე ლევანიკოა გამობმული, ყურადღების მოდუნების შემთხვევაში, ქამრის სიგრძეზე რომ შეძლოს მხოლოდ მოძრაობა, იგივე: მავნებლობა.

ნანიკო მუშაობას ადრე იწყებს. მეთერთმეტე კლასშია. უშუქო, უგაზო და უტრანსპორტო 90-იანების თბილისში ფუნქციონირებს ქარხანა „მეგატა სტანდარტი“. ნანიკო ყოველ დილას მეტროთი დადის დიდუბებში, ასწორებს სარეკლამო ტექსტებს და აკეთებს წისქვილის დიზაინს. ერთი თვის თავზე აძლევენ ხელფასს – 3 ათას კუპონს. ეს იგივეა, რაც სამი ლარი და ასანთის კოლოფი ხურდაში.

**„მე არ ვარ რადიკალი. უბრალო, რატანა გადასცაირად გახსნილი ვარ და სულ ასეთ სიტუაციებში ვხვდები. თითქოს, მივიზიდები ასეთი გარემოსაკენ“.**

ნანიკო მოდის.

მიდის ტელევიზიაში, მეორე არხზე, გადაცემაში „დუბლი 2“. თითქოს სინჯები უნდა იყოს. ნანიკოს შინდისფერი ჟაკეტი აცვია, ოდნავ ამოჭმული – ძველი. მას კი ეუბნებიან, ხუთ წუთში ეთერში ხარ. სარეკლამო პაუზების დროს უარესად ნერვიულობს და ტირის, პირდაპირ ეთერში ლოტოტრონს ატრიალებს, გამარჯვებული ტელეფონის ნომრებს ასახელებს და პრიზებს თვლის.

მესამე სამსახური: სიგარეტი „ვესტის“ სარეკლამო აქცია. თუ ცენტრალურ უბნებში დაარიგებ „ვესტის“, საათში 50 დოლარს გადაგიხდიან, გარეუბნებში – ნაკლებს. ნანიკო ფიქრობს, რომ არ ღირს რუსთაველზე გამოჩენა. ღრმალელები მიდის და 25 დოლარს იღებს.

მეოთხე ჯერზე, ისევ ტელევიზიაში ბრუნდება. გასართობი გადაცემა „ტერმინალი 72“. ცოტა ხანში „ტოტო ლოტო“. მერე „მასტრო“ – „ტოროლების“ ეპოპეა; კონტრაქტი ჯეოსელთან; სავტორო გადაცემა რადიო „უცნობზე“; „ჯეოსტარი“ და „ფორტი ბოიარდი“. ცხოვრების სტაბილურობა მთელი ამ წლების განმავლობაში სტაბილურად, თანმიმდევრულად ირლევება. გადამწყვეტ როლს, ცხადია, ლევანიკოს გამოჩენა თამაშობს.

**ლევანიკო:** „მე რომ გაგიცანი, საკმაოდ ჩაკეტილი იყავი“  
**ნანიკო:** „ხო, შენ ძალიან დამეხმარე. მერე გავიხსენი“.

და უფ, უცნაური სამსახურების მეტი რა არის.

**ლევანიკო:** „ფლორიდაში ვსწავლობდი. დისნეილენდში ნავედით. ვაკანსია იყო მიკი მაუსის ადგილზე და დავრჩი. მიკი მაუსს შემცვლელი ჰყავდა, მინი მაუსს – არა. ერთხელ მინი მაუსი ავად გახდა და მე ჩამაცვეს მისი ფორმა, ქალის თეთრი „კოლგოტკებიდან“ ბიჭის ფეხები და თმა ჩანდა“. ბაზევებს ეშინოდათ. ერთი პერიოდი დინოზავრადაც ვმუშაობდი. იქვე“.

**თვითშეფასება:** „მე არ ვარ რადიკალი. უბრალოდ, რატანა გადასცაირად გახსნილი ვარ და სულ ასეთ სიტუაციებში ვხვდები. თითქოს, მივიზიდები ასეთი გარემოსაკენ“.

მართლაც, ლევანის ბრალი ხომ არაფრით არ იქნებოდა ის, რომ ამერიკულ სკოლაში სწავლის დროს სამი ოჯახი გამოიცვალა. პირველი ოჯახი ტრაილერში ცხოვრობდა, უმცროსი ძმა ფსიქიურად აშლილი იყო. ლევანის იქ ყოფნის პერიოდში ბიჭმა თავისი და ველოსიპედით აუზში ჩააგდო.

„აუზში ნიანგები ცხოვრობდნენ. მე სუპერმენი გავხდი“ – ხელს მაღლა სწევს ლევანი – „წყლიდან ამოვიყვანე. გადავარჩინე. პატარა გოგო იყო, ქერათმიანი და გამხდარი. ტიროდა“. მეორე ოჯახში მამა შვილს იარაღით გაეკიდა მოსაკლავად. მესამე ოჯახში – ლოთები იყვნენ. „გამიჭირდა, ვერ გავძელი“.

შემდეგი გაჩერება მოსკოვი იყო. ლევანიკოს თავიდან სამედიცინო ინსტიტუტში უნდა ესწავლა. ექიმობა უნდოდა. მაგრამ გამოცდაზე შევიდა და იქ მიხვდა, რომ – არა. მაგრამ არ წამოსულა. სამედიცინო ინსტიტუტის კიბეები ჩამოიარა და სუფთა ჰაერზე გაიაზრა, რაც უნდოდა. „აღმოჩენა იმ წუთში არ გამიკეთებია. პარალელურად, ფოტოგრაფია ყოველთვის მაინტერესებდა“. გარეთ გამოვიდა და მოსკოვში კიდევ შვიდი წლით დარჩა. ფოტოაკადემია დაამთავრა და სარეჟისორო.

„ძველი შავ-თეთრი ფოტო მივიტანე აკადემიაში. მეგობარი ზის უნიტაზზე, სახეზე ტუალეტის ქალალდი აქვს აფარებული. მოეწონათ“.

რა მოეწონათ?

კადრი უპრეტენზიო იყო, თან სიახლისა და თავხედობის პრეტენზით. მოკლედ, Contemporary Art – თანამედროვე ხელოვნება, რომელსაც ლევანიკო ყველგან და ყველაფერში დაეძებს, მაგრამ თბილისში იშვიათად პოულობს. „თბილის ყველაზე მეტად აკლია ეს კავშირი ახალ დროსთან“.

## დე-სტაბილიზაცია

მაგრამ აქ პაუზა. მერე Stop-ი და Eject-ი. ოლონდ არ დაგავიწყდეთ, სად გავჩერდით — იმ მომენტზე, როცა ლევანიკოს ცხოვრება სრულიად ახლებურ გეზს იღებს; რაც უფრო მეტს ფიქრობს, სულ უფრო ვერ ხვდება, რატომ არის ნორმა ის, რაც არის.

მოკლედ, თითო Eject-ზე და კასეტა, რომელზეც მარკერით მივაწერეთ: „-სტაბილიზაცია დე-“ უკვე გარეთ არის. დროებით მას გვერდზე ვდებთ. სამაგიეროდ, ვიდეოფლერს შევად დალებულ პირში მეორე კასეტას ვტენით, წარწერით „დე-სტაბილიზაცია“. ვგულისხმობთ რას:

ნამდვილ დესტაბილიზაციას — ორი ადამიანის სამყაროში.

დიალოგი, რომელიც ზევით შედგა, ხომ გვაუწყებდა:

ლ: „მე რომ გაგიცანი, საკმაოდ ჩაკეტილი იყავი“. ნ: „ხო, შენ ძალიან დამეხმარე. მერე გავიხსენი“.



## ერთმანეთის ნახვა ქალიან

გაეხარდათ. იზრდნას, რომ ერთად

პივრ რამეს გააფუზებდნენ.

დაქმობილდნენ ☺. ოთახილან არ

გამოღიოდნენ. ისხლენ და ერთმანეთს

ახბებს უყვებოდნენ, მუსიკას

ასევეინებდნენ.

## ნაიპოს ჩვენება:

„ყველგან, სადაც მივდივარ, სამსახური იხურება ხოლმე. ტოტო-ლოტოც მალე გაუქმდა. უმუშევარი დავრჩი. ამ პერიოდში გავიცანი ლევანიკო“.

ლევანიკო მოსკოვში უნდა წასულიყო. წინა ღამით გამოსამშვიდობებელი საღამო ჰქონდა. ნანიკო მასთან მეგობარმა მიიყვანა: „ლევანიკოს ხომ იცნობ? წამოდი, გავაცილოთ“. „მივედი და იმ საღამოს ძალიან ახლოს გავიცანი. გავიფიქრე და ვთქვა კიდეც, რა კარგი ბიჭია ეს ლევანიკო-მეთქი, მაგრამ მითხრეს, დავიწყე, ხვალ მიდისონ“.

დაივიწყა, უფრო სწორად, პასიურ მეხსიერებაში გადაიყვანა, ოლონდ მხოლოდ ერთი წლით.


მეორე წელს, ერთმანეთს ქობულეთში შეხვდნენ.

თითქოს, ძველ შავ-თეთრ ფოტოზე გაკეთებულ წარწერას კითხულობდეს, ლევანიკო გამოთქმით ამბობს:

კინულეთი. იიოლ, 1998.

## ნანიკო აგრძელებს:

მოლრუბლული ამინდი იყო. ტენტის ქვეშ იჯდა. ადიდასის შორტით და პირსახოცით მხარზე. მოწყენილი იყო. სახეზე ეწერა: „რა ვქნა, რა გავაფუჭონ?“





ერთმანეთის ნახვა ძალიან გაეხარდათ. იგრძნეს, რომ ერთად ბევრ რამეს გააფუჭებდნენ. დაძმობილდნენ ☺. ოთახიდან არ გამოდიოდნენ. ისხდენ და ერთმანეთს ამბებს უყვებოდნენ, მუსიკას ასმენინებდნენ.

მოკლედ, შეუფერხებელ რეჟიმში მიდიოდა ძალიან მაგარი პროცესი – ერთმანეთის გაცნობა.

ეს ურთიერთობის პირველი სტადიის ძალიან ტკბილი ვნება და ხიბლია, რომელსაც თუ აყევი, ბოლომდე გაგიყვანს. ნანიკოც ამბობს: „მთელი ეს პერიოდი მახსოვს, როგორც დიდი, კარგი ენერგია. მაშინ არც მქონია დრო, დავფიქრებულიყავი იმაზე, თუ რა იქნებოდა მერე. არ ვიცოდი, თუ ეს ურთიერთობა რამეში გადაიზრდებოდა“.

ქობულეთშივე გაირკვა ერთი ყველაზე მთავარი და ამ დროს ძალიან მარტივი რამ: ლევანიკოსაც და ნანიკოსაც შეეძლოთ აყოლა ზედმეტი, წვრილმანი კითხვების გარეშე.

– და მართლა, რამდენი წლის ხარ? – ეს კითხვაც კი უკვე გახურებული ურთიერთობის დროს გაჩნდა.

„რომ მიპასუხა 19-ისო, დიდი სტრესი მივიღე. მე 26 წლის ვიყავი. არადა, არც დამიშვია, თუ ჩემზე ოდნავ პატარა იყო“.

„ასაკით არც მე არ დავინტერესებულვარ. ეს ძალიან მეორეხარისხოვანი იყო“.



## ანურგილი ურთიერთობა = თამაში

მათ ერთად ყოფნაში არის რაღაც ბონი და კლაიდური. ისინი უვნებელ პროვოკაციებს აგებენ და ერთობიან.

თავიდან ეს ხდებოდა ასე:

„ბულვარში, ტროტუარზე ვისხედით და ვმათხოვრობდით. მართლა გვიყრიდნენ ხურდებს“.

მერე:

„მაშინ „რუსთავი-2-ში“ ვმუშაობდი. 15 აპრილს დილის გადაცემის ეთერში დავქორწინდით. მმაჩის ბიუროთი და მთელი ამბით“.

„ქორწილი მაისში გვქონდა. არა, განგებ არ აგვირჩევია მაისი — თითქოს ცრურნებულის დასარღვევად. უბრალოდ დაემთხვა. ცოტაც რომ გადაგვეწია თარიღი, მერე მშობიარობა მინევდა. კაბაზე ექისკოპის ფოტო გადავიტანე. ყველა ჩვენს ჩაცმულობაზე ლაპარაკობდა. არადა, ლილუც ხომ უნდა დასწრებოდა ქორწილს? კარგი გამოვიდა“.

„მოსკოვში ცხოვრების დროს მეგობართან წავედით. მარტო იყო სახლში. ნანიკოს ტოქსიკოზი ჰქონდა, იწვა. სამზარეულოში „სელიოდება“ ვნახე. ვიფიქრე, წავიღებ, ლოგინში ჩავუწვენ და კარგად გახდება-მეთქი. მეგონა, პაკეტში იყო, არადა, პარკი გახეული ყოფილა. და სანამ თევზი საწოლამდე მივიტანე, იატაკი ზეთითა და წვენით დაისვარა. იქვე დამთავრდა ნანიკოს ტოქსიკოზი“.

„მაესტროს ეთერში სამიგეს ერთად – მე, ლევანიკოს და ლილუს – მიგვყავდა დილის გადაცემა. ლილუ ხელფასსაც იღებდა, გადაცემაში ათ ლარს. მის ნაცვლად, უწყისში ხელს მე ვაწერდი. შენახულიც მაქვს ის ფურცლები, სადაც აწერია: ლილუ ნუცუბიძეს“.

„ლევანიკო ერთი პერიოდი სულ თმას იღებავდა. ჯართან დაკავშირებით ჰქონდა პრობლემები და ყოველ წელს ახალ-ახალი იმიჯით მიჰქონდა ფოტოები კომისარიატში – ხან შინდისფერი თმა ჰქონდა, ხან თეთრი, ხან „ნაჩოსით“ იყო. გიუდებოდნენ“.

ამ ციტატებს ზღვარი არ უჩანს. ხომ გახსოვთ? – „მე არ ვარ რადიკალი, უბრალოდ მივიზებოდები...“


მოსკოვი-თბილისი. ვის არ სჯერა ცრემლების?

სანამ ლილუ გაჩნდებოდა, ლევანიკოს და ნანიკოს ერთი ხანგრძლივი პერიოდის გადატანა მოუხდათ. ქობულეთის მერე, ლევანი ისევ მოსკოვში დაბრუნდა. ურთიერთობას თავდაპირველი მუხტი ტელეფონმა შეუნარჩუნა. ნანიკო „ჯეო-





„ნავიკითხე, რომ ლილუ ლაზვარდს ნიშნავს“, – ამბობს ლევანი ლა სიცყვებით მართლა ვერ გადონსევას იმას, თუ როგორ შესვალა ლილუმ ყველაფერი მათ სხვოვრებაში. „ეს სულ სხვანაირად მეკონტაქტება. ჩაღას სხვანაირი სითბოთი. რომ მხალავს, ხდა ეცვლება ხოლო“.





სელში“ მუშაობდა და, როგორც კომპანიის თანამშრომელი, უფასოდ რეკავდა. „საათობით ვლაპარაკობდით. მგონი, ყველაზე დიდი სატელეფონო ანგარიში მთელ „ჯეოსელში“ მე მქონდა“.

იმავე პერიოდში ნანიკოს ცხოვრებაში ერთი, თითქოს, სასიამოვნო რუტინა გაჩნდა – გადაცემა „ტოროლა“ „მაესტროს“ ეთერში. ეკრანზე ყველაფერი დიდ გართობად ჩანდა. თბილისელმა თინეიჯერებმა მიიღეს ის, რაც არასდროს არ ჰქონდათ — მუსიკალურ-თინეიჯერული სიხარული; რაღაც, რაც თან სამამულო იყო, თან „ემტივურიც“. მოზარდებმა ეს ყველაფერი კი მიიღეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ნანიკოს პირადი ცხოვრება და სამსახური გაითქვითა ერთმანეთში. „სახლი სასტუმროსავით გახდა. ყოველი დღე ერთმანეთს დაემსგავსა“. ლევანიკო ისევ მოსკოვში იყო და ნანიკოს ჩასვლას ითხოვდა. ნანიკო კიდევ ცოტა მშიბარა იყო და გადაწყვეტილების მიღება უჭირდა.

„ლევანიკოს დაუინებული თხოვნა რომ არა, შეიძლება, მე დღესაც მაესტროში ვყოფილყავი“.

ბოლოს დედამაც ურჩია: „თუ ეს ყველაფერი ასეა, მაშინ ნადი“. „თითქოს, ამ ბიძგს ველოდი. გამოვთხიზლდი, ბილეთი ვიყიდე და წავედი“.

მოსკოვმა მათ ერთად ყოფნას დაუჯერა. ლევანიკომ სახლი თავისი ხელით გაარემონტა. რვა თვეს ცხოვრობდნენ იქ. მერე დაბრუნდნენ.

„ეს პერიოდი ძალიან კარგად მახსოვეს. რაც, ჩემი აზრით, საინტერესოა მოსაყოლად, თან ძალიან ინტიმურიც არის და ამაზე ლაპარაკი არ მინდა. ხოლო ის, რაზეც ლაპარაკი შეი-

დღება, საინტერესოდ სულ არ მეჩვენება“ — ამბობს ლევანიკო და ესეც მისი დაუფიქრებლად წამოსროლილი მორიგი პროვოკაციაა. ლევანიკოს და ნანიკოს თემაც მოსკოვში ასე იხურება.

## კოლექტის დაუძახეთ

მოვლენების ინტერპრეტაცია და მათი ნიშნებად გადათარგმნა პაულო კოელიოს და დიდი-დიდი ჩემი საქმე მეგონა. ამის გამო თავს ძალიან „გაპოპსავებულადაც“ ვგრძნობდი. მაგრამ თანდათან ვარკვევ, რომ ეს „ჭირი“ ბევრს ჭირს. ეტყობა, პალეოლითის მერე დიდად არ შევცვლილვართ. ისე, რას ვერჩი, ნიშნებს გამოდევნება ყველა სასიყვარულო ურთიერთობას უხდება. ალბათ, გახსოვთ ლევანის დაანონსებული ფრაზაც:

„სულ გახსნილი ვარ, ვამჩნევ და ვკითხულობ. ნიშნები ჩვენს ურთიერთობას თავიდანვე მოჰყვება“. ერთ ცნობილ ამბავს გიამბობთ — თბილისი ხომ იტალიური ეზოსავით არის და შეიძლება, უკვე ისედაც იცით. ეს არის ამბავი იმისა, თუ როგორ დაერქვა ლილუს მიღა იოვოვიჩის გმირის სახელი „მეხუთე ელემენტიდან“.

მიკროფონთანაა ნანიკო: „თავიდან მითხრეს, რომ ბიჭი მეყოლებოდა. სამი თვის განმავლობაში ასე ვიცოდი. მერე ექოსკოპია თავიდან გავიკეთე. მაგიდაზე ვწვებოდი, როცა ლევანიკოს მესიჯი მივიღე მოსკოვიდან, მწერდა: დამესიზმა, რომ ძალიან ლამაზი გოგო გაგვიჩნდა, რომელიც მიღა იოვოვიჩის ჰგავსო. რამდენიმე წუთში ექიმმა მითხრა, რომ პირველი ექოსკოპის პასუხი შეცდომა იყო. სახლში მოვედი და ლევანიკოს დამ მითხრა, თუ გოგო უნდა დაიბადოს, ლილუ დაარქვითო. თან იმ პერიოდში თითქმის ყველა არხმა აჩვენა „მეხუთე ელემენტი“. ასე გახდა ლილუ ლილუ. მხოლოდ შემდეგ გაარკვის, რომ მიღა იოვოვიჩის ხათრით დარქმეული სახელი ქართული ყოფილა. „ნავიკითხე, რომ ლილუ ლაჟვარდს ნიშნავს“, — ამბობს ლევანი და სიტყვებით მართლა ვერ გადმოსცემს იმას, თუ როგორ შეცვალა ლილუმ ყველაფერი მათ ცხოვრებაში. „მე სულ სხვანაირად მეკონტაქტიება. რაღაც სხვანაირი სითბოთი. რომ მხედავს, ხმა ეცვლება ხოლმე“.

## ЛИХОРАДКА В МОСКВЕ

ახლა კი ისევ პაუზა. მერე Stop-ი და Eject-ი.

მერე ძველი კასეტა.

Play და ისევ მოსკოვი.

ლევანიკო ისევ მიიზიდა მაგნიტმა, რომელიც პარალელურად ყველანაირ ნორმებს განიზიდავს. მისი შაბათი საღამოები TB 6-ის არზე აბობოქრებულ რადიკალურ ციიბ-ცხელებაში გადიოდა. Saturday Night Fever-ის მიბაძვით გაკეთებულ გადაცემას ლიხორადკა Субботним Вечером ხომ უამრავი მაყურებელი ჰყავდა; უურნალ OM-ს კი — კიდევ უფრო მეტი მკითხველი. ლევანიკო ტელევიზიაში რეჟისორის ასისტენტი იყო, უურნალში — რედაქტორის თანაშემწე.

1995 წელს იგორ გრიგორიევის მიერ დაარსებული OM-ის სტატუსი დღემდე არ შეცვლილა. „რუსული ახალი თაბაბის ბიბლია და კულტი“ — ასე უწოდებს უურნალი თავისთავს და ბომბებს გაბეჭული დიზაინთ, ტაბურებულ თემებსა და იმიჯებზე ტაბუს მოხსნით ახლაც ისე აფეთქებს, თითქოს პირველი ნომერი იყოს. პრეტენზია ასეთი აქს: — OM-ის

სამყარო მსოფლიო ურბანისტული კულტურის და თანამე-დროვე ცხოვრების სტილის სამყაროა.

ლევანიკომ ეს კარი სრულიად შემთხვევით შეაღო. უურნალის გამომცემელი ერთ ჩვეულებრივ მოსკოვურ თუსოვკა-ზე გაიცნო და მერე ასევე ჩვეულებრივ თუსოვიჩის დიალოგში OM-ში მიიღო მიპატიუება.

„იმ დღეს სასწრაფოდ უნდა გადაეწყვიტათ გარეკანზე მთავარ თემად რა გაეტანათ — მასალა ფედერიკო ფელინის თუ დევიდ ბოუის შესახებ. ფელინი თუ ბოუი? — ვერ წყვეტდნენ. მე ვთქვი: - რა თქმა უნდა, დევიდ ბოუი. მოენონათ“.

შემდეგ სულ ასე იყო. „თემებს ერთი კონკრეტული პრინციპით ვირჩევდით — ის უნდა ყოფილიყო ახალი, დროში აქტუალური, თან თანამედროვე ხელოვნების შესახებ“.

არანაკლები იყო TB 6-ზე ატეხილი ციებ-ცხელებაც. პირველივე გადაცემა ისეთი ბომბი გამოვიდა, რომ პრემიერაზე-ვე ავტორებს ყვითელი ბარათი აუნიეს. „წითელზე საერთოდ არხი იკეტება, არათუ გადაცემა“. მართლაც, აქ ყველაფერი ტაბუმოხსნილი იყო — თემებიც და ინტერიერიც. აქა-იქ დაუდევრად, თითქოს შემთხვევით ეყარა ნივთები, რომლებიც ტელეერთობში წესით არ უნდა ხვდებოდეს — ვიბრატორები, პრეზერვატივები. პირველი სტუმარი პორნოვარსკვლავი იყო, მერე — ჩვეულებრივი ცნობილი სახეები მოჰყავდათ და არა-ჩვეულებრივ კითხვებს უსვამდნენ: - „თუ შეიძლება, გაიხსნეთ, თქვენი პირველი ორგაზმი?“ იბნეოდნენ, მაგრამ პასუხობდნენ.

CTC-ზე იყო გადაცემა *Vacay In Da House*. ლევანიკოს რადიკალურ ჯგუფს მილიონი დოლარი მისცეს გადაცემის გასაკეთე-

## მიღეა, რომ:

„**თბილისში ბრაფიტის ნამდვილი კულტურა გაჩდეს და მოისცოს კელლის მონახატეური მოხატვის მანია**“.

„**ტორტებივით სახლები ავაფეთქო ტროტილით**“.

„**ლავაზა სამხატვრო აკადემია და თეატრალური ინსტიტუტი**“...

ბლად. უნდა გამოსვლოდათ თოქ-შოუ, ოღონდ რადიკალურ თემებზე. და რახან ფულის გარშემო ტრიალებდნენ, თანაც ამხელა ფულის, მთავარ თემადაც დოლარები აიღეს. გააკეთეს შუშის კაბინა, რომელშიც სტუმარს სვამდნენ, უკრავდნენ ხელ-ფეხს და უყრიდნენ ბევრ ფულს. მას პირით უნდა აეღო ბანენოტები და რამდენის აღებასაც მოახერხებდა, ჩუქნიდნენ. რა იყო ამ გადაცემის მორალი და რა ფიქრები



და ასოციაციები ჩნდებოდა პირით ბანკოტებჩაბლუჯული, გუგებგაფართოებული და დახარბებული კაცის დანახვაზე – თვითონ გადაწყვიტეთ.

ფოტოაკადემიაში კი ბევრი არაფერი ასწავლეს – ასე ფიქრობს თვითონ. ერთადერთი, რაც იქ საბოლოოდ აღმოაჩინა, იყო ის, რომ არ მოსწონდა გამეფებული რეალობის ესთეტიკა. „ამიტომაც ზოგი ჩემი ძველი ფოტო საერთოდ აღარ მომწონს – ზედმეტად ლამაზია და ესთეტური. მე ჰელმუტ ნიუტონიც არ მიყვარს“.

...

ინდოეთი – მოსკოვის შემდეგ ეს სულ სხვა თემაა, რომელიც რაღაცით უახლოვდება თბილისის განწყობას. გზამ აზიაში – ბაქოდან დაწყებული და პაკისტანამდე გასული – ლევანიკო დაარნმუნა, რომ იქ, რაც უფრო ღრმად შედიხარ, მით უფრო მეტად კარგავ კავშირს აწმყოსთან; მით უფრო უკან-უკან მიდიხარ დროში. თბილისიც ხომ დაახლოებით ასეა.

„კლუბი გვქონდა, „ლიფტი“ მე-11 სართულზე. ელექტრონული მუსიკის პირველი კლუბი იყო. ექვს თვეს გაძლო. მერე ბანკი გაიხსნა პირველ სართულზე და დაგვხურეს“.

რაც შეეხება ციებ-ცხელებას? ლევანიკო ამბობს, რომ ეს გართობა იყო და წარსულს ჩაბარდა. იმიტომ, რომ დროთა განმავლობაში მან ახალი ცხოვრებისეული ღირებულება აღმოაჩინა: „მივხვდი, რომ სიმშვიდე კარგია. მივხვდი, რომ სისულელეა ყველაფრის გამოხატვა, რადგან ამ დროს სრულ იგნორს იწვევ და მიზანსაც ვერ აღწევ“.

მე: ბრძოლასა და პროტესტზე უარს ამბობ?

ლევანიკო: „არა, უბრალოდ სხვა ფორმით ვიბრძვი. მშვიდად“.

მე: შეუმჩნევლადაც?

ნანკიო: თიხო ეძეშ დალეშე?

ლევანიკო: „არა, შეუმჩნევლად ნამდვილად არ გამოვა, ისეთი რაღაცების კეთება მინდა“.

და აյ ისევ იწყება მიზიდვის პროცესი. ერთი მრავალ-მნიშვნელოვანი ღიმილი, საკუთარი თავის გასაგონად დას-მული კითხვა – რისი გაკეთება მინდა? და აბსოლუტურად არა-მშვიდი პასუხების მთელი წყება.

მინდა, რომ:

„თბილისში გრაფიტის ნამდვილი კულტურა გაჩნდეს და მოისპოს კედლის მონუმენტური მოხატვის მანია“.

„ტორტებივით სახლები ავაფეთქო ტროტილით“

„დავწვა სამხატვრო აკადემია და თეატრალური ინსტიტუტი“...

„მინდა, რომ...“ – უსასრულოდ გრძელდება.

ლევანიკოს სიმშვიდე ორბუნებოვანია ეს მისი მორიგი პროვოკაციაა. თვითონ მოიფიქრეთ, აჰყვებით თუ არა.





# LAVAZZA

ITALY'S FAVOURITE COFFEE

„ბბ კომპანია“ კოსტავას 26. ტელ.: 98 40 24.

[www.lavazza.com](http://www.lavazza.com)





LAVAZZA

# ნინო ქასრაძე

ავტორი: თამარ სუხიშვილი

ის ქალია, – ძალიან მომხიბლავი და სათნო, ის მსახიობიცაა. ასეთები ცხოვრებაში თავიანთ მარადიულ წესრიგს ქმნიან და საგანთა არსს განსაზღვრავენ. ასეთებს გულსა და მშვენიერ ლექსებს უძლვნიან ხოლმე:

„გსურს დამაპრმავო? ყველაფერზე მე ვარ თანახმა,  
ბალის მოვლაში ეს მკლავები გვალვით დამახმა.  
გიხმობს ეს ბალი, სურნელებით და ვარდის ფერით,  
რადგანაც შენ ქმნი სამყაროში სახეს საგანთა.“

ეს დუბეითი, რომელიც ლია ასათიანმა თარგმნა, ირანელ პოეტს ბაბა თაპერს (ბაბა თაპერ ურიანი, X-XI ს.ს.) ეკუთვნის. პოეტს კი დაეჯერება, მით უმეტეს ნიჭიერ პოეტს, რომელიც ოკულტიზმისა და ჰიპნოზის უნარითაც ყოფილა დაჯილდოებული. გადმოცემის თანახმად, ბაბა თაპერს ისეთი შინაგანი ძალა ჰქონია, რომ მწვერვალზე მისი გამოჩენისას თურმე თოვლი დნებოდა, ხოლო შუა ზამთარში გაზაფხულის ყვავილები ხარობდნენ.

რატომ ავირჩიეთ მაინცდამაინც ირანელი პოეტი და ეს სტრიქონები, ამას ახლავე გავიგებთ:



## სიმ-სიმ, გაიცე!

„სადღაც წამიკითხავს: სუნი რომ გამახსოვრდება, ეს ძალიან ადრეულ ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილების რეფლექსია. თურმე სადაც სასიამოვნო სუნი გცემს, იქ არის შენი ადგილი, იქ კომფორტულად გრძნობ თავს. ეს ბავშვობიდან მოგყვება. ბავშვობა ხომ, ფაქტობრივად, ნირვანაში ყოფნაა. დღესაც მაქვს ასეთი უცნაური შეგრძნება. ხანდახან ქუჩაში რომ გავივლი ხოლმე, უცებ მახსენდება ის მათრობელა სურნელი, დიდი, დიდი ხნის წინ ბოთლიდან ამოვარდნილი ჯინივით რომ დაგახვევდა თავპრუს — კარგი ყავისა და არომატული სიგარის სუნი.“

ამ მათრობელა სურნელს მფრინავი ხალიჩის ძალა აქვს და მყისიერად გადაყავხარ ზღაპრული აღმოსავლეთის ვიწრო ქუჩაბანდებში. მერე მეხსიერებასა და წარმოსახვაში გაიელვებს ალი-ბაბასა და 40 ყაჩალის თავგადასავალი, თვალ-მარგალიტით დატვირთული ქარავნები, შარბათის მდინარეები, გაგახსენდება ჯადოსნური ფრაზა — „სიმ-სიმ, გაიღე!“

„კუთხეში „ყურანია“ ჭრელი მეშის ყდით.

**ირანი – საოცრებათა სამყარო.  
ქალაქი არიაშაჰრი. ზღაპარი,  
თავისუფლება – ასე დაამახსოვრდა  
ნინოს ეს ქვეყანა.  
ნინო კასრაძე ორი წლის იყო, მშობლები ირანში რომ გადავიდნენ სამუშაოდ. იქ გატარებულ ბავშვობას უკვალოდ არ ჩაუვლია. „სამი წელი ვცხოვრობდით ირანში. ახლა რომ ვფიქრობ და ვაანალიზებ, სამი წელი თითქოს რა არის, მაგრამ ამ წლებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც ამბობენ, ხუთ წლამდე ბავშვი რასაც აითვისებს, განცდა იქნება ეს თუ ცოდნა, მერე მთელ ცხოვრებაზე გავლენას ახდენსო.“**

აქვე: საადის „გიულისტან“. ფირდოუსის „შაჰ-ნამე“. გაფიზის „კაზალები“. მრავალი სხვა წიგნი სხვა პოეტის.

**დაყვითლულ და ობგადაკრულ ფურცლებიდან სურნელი:  
შირაზის ვარდის.**

**ირანის ბულბულის.**

**ვისისა და რამინის.**

**ყივილა სიმღერის.**

**ნუშეული თვალების.**

**გრძელი ნამწამების.**

გვერდით მინიატიურები. მინიატიურებზე: მორცხვი ქალწული და ველად გაჭრილი ჭაბუკი. თანვე: მშვილდი და ისარი. ფონად: წვრილი წითელი ფოთლები ხავსისფერ მოლზე.“

ასეთია არჩიბალდ მეკეშის თვალით დანახული ირანი.

ირანი — საოცრებათა სამყარო. ქალაქი არიაშაჰრი. ზღაპარი, თავისუფლება — ასე დაამახსოვრდა ნინოს ეს ქვეყანა. ნინო კასრაძე ორი წლის იყო, მშობლები ირანში რომ გადავიდნენ სამუშაოდ. იქ გატარებულ ბავშვობას უკვალოდ არ ჩაუვლია. „სამი წელი ვცხოვრობდით ირანში. ახლა რომ ვფიქრობ და ვაანალიზებ, სამი წელი თითქოს რა არის, მაგრამ ამ წლებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც ამბობენ, ხუთ წლამდე ბავშვი რასაც აითვისებს, განცდა იქნება ეს თუ ცოდნა, მერე მთელ ცხოვრებაზე გავლენას ახდენსო.“



ნინო და მაკა ირანში.



ფოტო: იური ვაჩითვაშვილი

ნინო კასრაძის მოგონებათა თუ შთაბეჭდილებათა ამ ფრაგმენტში პატარა დოქსულად შეიძლება მოგეწვენოთ, რომ პატარა გოგონას და მის ტყუპისცალ დას ბებერი, ჩადრიდან მზირალი მთვლემარე ირანი თავისუფლების ჩვენგან განსხვავებული ხარისხითაც დაამახსოვრდათ, თუმცა ისინი ხომ დიდი და „ბედკრული“ საბჭოეთის ბავშვები იყვნენ.

„პარიზის ჩარი“

### **რატომ არის ვარდი წითელი? პირველი დერვიშის უბის წიგნაკიდან**

ტყუპები ნინო და მაკა გამორჩეული ბავშვები იყვნენ, თავაზიანები, მოწესრიგებულები. პატარა ტყუპები ხომ ყველგან და ყოველთვის ისედაც აღტაცებას იწვევენ. ორი წლისანი უკვე დანა-ჩანგლით შეექცეოდნენ საჭმელს და მშობლებთან ერთად სადმე წვეულებაზე თუ მოხვდებოდნენ, თავი უფრო-

სებივით ეჭირათ. სერიოზული სახით, ტყუპების გენეტიკური სიამაყით დადიოდნენ კინოში და, ზოგიერთი თანატოლის მსგავსად, გრძელი და მოსაწყენი ფილმის ბოლოში კი არ წათვლემდნენ ან ჭინჭყლობდნენ, ბოლომდე ერთად უძლებდნენ, გმირულად. თვალებდაჭყეტილები შესცემოდნენ ეკრანს და ყველა ფრაზასა და ეპიზოდს უკირკიტებდნენ, არაფერი გამოეპარებოდათ, თანაც ყველაფერი აინტერესებდათ: **ა почему это? ა почему так?** ასე შეერქვათ „პაჩე-მუჩეკები“.

კინოთეატრში „როკო და მისი ძმები“ გადიოდა. როცა ნა-დიას მკვლელობის ეპიზოდი მოახლოვდებოდა, ქუჩაში აუ-ცილებლად შენიშნავდით ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც კინოთეატრიდან ხელჩაკიდებული გამოჰყავდა ორი პატარა გოგონა, ძალიან რომ ჰგავდნენ ერთმანეთს. ბავშვები ფეხა-თრევით მიჰყვებოდნენ მამას და ცხვირაბზეკილები, მკაცრი ტონით, სასწრაფოდ ითხოვდნენ ახსნა-განმარტებას — **ა почему?**



ჭყავაზი

### ტყუათა მინები შაპის კარზე

ულამაზესი ქალი. აცვია ზაფრანისფერი კაბა. გრძელი, შავი თმა მიწამდე დასთრევს. რაღაც უცნაური სუნამო ასხია — ვანილის, დარიჩინისა და კიდევ რომელიდაც უცხო ყვავილის სურნელს რომ აფრქვევს. ყოველ დილით აღებს უზარმაზარ ჭიშკარს. ბაღში ბევრი ვარდია: თეთრიც, ნითელიც, ყვითელიც. მერე კიბეს რჩევით აუყვება და სადღაც გაუჩინარდება. შესასვლელში მამაკაცი ეგებება — ბრგე, ლამაზი. ქალი ულიმის და პირზე ვარდი ეფინება. ეს ალბათ შაპია. ის კი მისი ერთ-ერთი ცოლი. ზღაპარი ხომ არ გრძელდება? რა ლამაზი ბალი აქვთ! — ტყუპები თვალებგაფართოებულები

**“მე-11 კლასი ვიყავით.**

**გაკვეთილებილა გავიკარეთ და,**  
**როგორც ყოველთვის, კინო „შახეაიში“**  
**ნაველით. ეს ნამდვილი ნებარი იყო,**  
**ვსხელვართ მეგორი ჩაბეჭი ჩაბეჭი**  
**დარბაზი და ვარდი ვარდი არ გრძელდება?**  
**ეპრაცე, სულ ერთია — რას. ამას არა აქვს მნიშვნელობა.**

შესცქერიან. მერე ეშმაკურად ჩაუკრავენ თვალს ერთმანეთს, შაპს დაუძახებენ და ლობის უკან იმალებიან; მერე ისევ დაუძახებენ და გაიქცევიან. დიდხანს გრძელდება ასე. შაპი იცინის. ე.ი. ბოროტი არ არის.

რა შაპი, რის შაპი? ეს ყველაფერი ტყუპების წარმოსახვის ნაყოფია. სასტუმროს პორტიკ მართლაც ძალიან ჰგავს შაპს. ლამაზი გამყიდველი ქალი კი - მის მზეთუნახავ ცოლს.

„მერე სკოლაში კარგა ხანს ვიწონებდით ხოლმე თავს — აი, ჩვენ ირანში ცხოვრობდით-თქო. რას აღარ ვყვებოდით, ათას რამეს ვიგონებდით, ვფანტაზიორობდით...“

უცხო ქვეყნიდან დაბრუნებულ კასრაძების ოჯახს, შინ დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ. წარსულში ალბათ ასე ეგებებოდნენ ხოლმე შაპის კარიდან მობრუნებულ მეფისწულებს.

„**„შეეეეხალი და იწყებოდა...“**

„მახსოვს, როგორი მონატრებით მიკითხავდა დეიდაჩემი ლექსებს ძილის წინ: „**ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრა-ჯერ გულში...**“

ეს საღამოები დღემდე თვალწინ უდგას, ფოტოგრაფიული სიზუსტით. ისიც კი ახსოვს, რა ეცვა მაშინ დეიდას, როგორი გულსაბნევი ეკეთა...

### პოლო შატალი

„**სხვათა შორის, საკუთარ თავში ერთი უცნაური განცდა აღმოვაჩინე. როგორც ჩანს, ბავშვობიდან მომყვება – ყველაფერი, რაც შენს ცხოვრებაში ხდება, ერთადერთია და განუმეორებელი. აი, ხომ არის ,შეჩერდი, წამო!“ ძალიან კარგად მახსოვს ბოლო შატალო. მე-11 კლასში ვიყავით. გაკვეთილებიდან გავიპარეთ და, როგორც ყოველთვის, კინო „შანხაიში“ წავედით. ეს ნამდვილი ნეტარება იყო, ვსხედვართ მეგობრები ჩაბეჭებულ დარბაზში და უცუცურებთ აციმციმებულ ეკრანს, სულ ერთია — რას. ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარი ის განცდაა, რომ ერთად ხართ, ჯერ ყმანვილები ხართ და მთელი ცხოვრება წინაა.“ წინას მაშინაც ეს შეგრძნება დაუუფლა, თანაკლასელებისკენ გადაიხარა და წასჩურჩულა: „გაყუჩდით და ეს წამი სამუდამოდ დაიმახსოვრეთ. ეს აღარ განმეორდება.“ ეს მართლაც აღარ განმეორებულა. სულ მალე სკოლაში ბოლო ზარი დაირეკა.**

წინასა და მაკას ცხოვრებაში გადამწყვეტი ეტაპი დადგა — პროფესიის არჩევა. აქ ტყუპთა ინტერესები გაიყარა. მაკამ კლასიკური ფილოლოგია აირჩია (უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სორბონში სწავლობდა. იქ დაიცა დისერტაცია და ახლა საფრანგეთის ერთ დიდ გამომცემლობაში მუშაობს. ოჯახიც საფრანგეთში შექმნა), წინომ კი...

### რატომ თეატრი

„არ ვიცი, რატომ ავირჩიე ეს პროფესია. თუ არ ვცდები, მსახიობობის სურვილი VIII-IX კლასში გამიჩნდა. შეიძლება იმიტომ, რომ სკოლის დროს რაღაც ინგლისურ სპექტაკლებში ვმონაწილეობდი, ეს იყო პატარა დღესასწაულები. მიზეზებზე მაშინ არ მიუიქრია. ის კი არა და, წესიერად გაცნობიერებულიც არ მქონია. ამაზე ახლა ვფიქრობ, როცა თითქოს ერთი ეტაპი დამთავრდა ჩემს ცხოვრებაში. მგონი, გამიმართლა. ხშირად ხდება, როცა 17 წლისა პროფესიას ირჩევ, მერე 10-15 წლის შემდეგ ზუსტად არც კი იცი, სწორი არჩევანი გააკეთე თუ არა. იშვიათად ამართლებს ხოლმე. ვფიქრობ, ეს ის იყო, რაც მე შემეძლო და რაც გამომივიდოდა.“

ჰერცოგუდა, მაკბეტი, ვიოლა, ლამარა, ქერესტანი... ამდენი განსხვავებული ხასიათი და ბედისწერა, ამდენი განსხვავებული სახის ჩვენება... ისე, „სახისჩვენებითი“ ძველ ქართულში „თვალთმაქცურს“ ნიშნავს, მაგრამ მაქციობა და მოჩვენებითობა ნინოს არ სჭირდება, ყველა გმირი მისთვის უპირველესად ქალია...

„ჩემთვის ყველა როლი ისეთი წვალებისა და შრომის შედეგად არის შექმნილი, რომ ჩავარდნილი როლიც კი შეიძლება გარკვეული თვალსაზრისით წარმატებული იყოს. ახლა, როცა თითქმის ორი წელია აღარ ვთამაშობ, ყველა როლი მიყვარს. ვერ გამოვარჩევ. ყველა როლი რაღაცას მახსენებს, რაღაცასთან არის დაკავშირებული. უკვე ცხოვრების ნაწილი ხდება.“

მიაჩნია, ისეთი კარგი როლები აქვს ნათამაშევი (ზოგჯერ მსახიობის ასაკს რომ არ შეეფერება; მაგალითად, სულ ახალგაზრდა იყო, ლედი მაკბეტი რომ ითამაშა), უხერხულიც კია იმის თქმა, რომ კიდევ რამე როლის შესრულებაზე ოცნებობდეს. მაგრამ კაცს ოცნებას ვერ წაართმევ. ღვთის მადლით, კიდევ ბევრი კარგი როლი დარჩენილი...

„დღეს სცენაზეც და ეკრაზეც ბევრი რამეა ისეთი, რაც მზარავს; ძალიან კარგია, კარგი რეჟისორების გაკეთებულია, მაგრამ არის სცენები, სადაც არ მომინდებოდა თამაში, გმირები, რომელთა განსახიერებასაც არ ვისურვებდი. როგორც მოვლენას, აღტაცებული ვუყურებ, მაგრამ ამის სათამაშოდ ჩემში ძალას ვერ ვიპოვიდი.“

თუნდაც: „ეშმაკის ადვოკატი.“

„ამ თემას ვერ შევეჭიდებოდი. უბრალოდ იმიტომ, რომ ძალა არ მეყოფოდა. ამასაც ხომ შინაგანი ძალა სჭირდება, ბოროტებაში ჩერეკის ძალა...“

## დროის ორი მასამაში

„როცა რეჟისორი შექსპირს დგამს, შემსრულებელი უნდა ჰყავდეს. არ შეიძლება, დგამდე „პამლეტს“ და არ გყავდეს პამლეტი, ანდა დადგა „მეფე ლირი“ და არ გყავდეს ლირი. ჩვენს თეატრში აღმოჩნდნენ ისეთი მსახიობები, როგორიც ზაზა პაპუაშვილი და ნინო კასრაძეა. და ამან განაპირობა ჩემი არჩევანი.“

**რობერტ სტურუას ინტერვიუდან, 1996 წელი**

„რობერტ სტურუასთან მუშაობის დროს შემიმჩნევია, რომ ის ფინალს თითქმის არ დგამს. დასაწყისი ძალიან რთული არის ხოლმე. დასაწყისისთვის ისეთი ძალა სჭირდება, როგორც მანქანას – ამუშავებისთვის. თუ სპექტაკლზე მუშაობის დროს დავითვლით, დროის ორი მესამედი დასაწყისს სჭირდება. დასაწყისს თუ გასცდი, თუ აჰყევი, მერე ფინალი თავისთავად მოდის. მსახიობები თავისით თამაშობენ.“

## ჩემთვის ყველა როლი ისეთი

### ცვალებისა და შრომის შეღებას

### არის შეამნილი, რომ ჩავარდნილი


### როლის კი შეიძლება გარკვეული

### თვალსაზრისით ნარმატებული იყოს“.



ჩემთვის თეატრის დასი. ფოტო: იური ვაჩიშვილი

Совместно с международным фестивалем имени А.П.Чехова  
**ТЕАТРАЛЬНАЯ ОЛИМПИАДА** в Москве  
 ЗАРУБЕЖНАЯ ПРОГРАММА 21/04.001-29/06.001



**Уильям Шекспир** **КАК ВАМ УГОДНО,**  
 или двенадцатая ночь Рождества

Грузинский государственный академический  
 Драматический театр им. Ш.Руставелли  
 Тбилиси

Режиссер: Роберт Стурба

15.  
16 мая

на сцене  
 МХАТа  
 имени  
 М. Горького

„შობის მითორეატე ლახეს“  
 ვთავაშობით. სხენაზე გასვლის  
 ნიც, საგრიალოროში სანთო  
 დავანო. ჩალაშ პლასტიკურის უზოდნელი  
 მანინანის და... დამატებით არ გამოიყენოთ.

„ეს ყოველთვის მაოცებს. მინახავს, როგორ წვალობენ რე-  
 უსორები ფინალის მოფიქრებაზე. აյ ასე გავაკეთოთ, არა,  
 მოდი, აქ ისე გავაკეთოთ! ეს ალბათ არასწორი გააზრე-  
 ბის შედეგია. თორემ ფინალი ცხოვრებასავითაა. როგორც  
 სტურუამ თქვა, სწორი დასახუისი ლოგიკურად მიგიყვანს  
 ბოლომდეო. ასე იცხოვრებ — ასე მიგიყვანს, ისე იცხოვრებ —  
 ისე, თუ ვინმემ შემთხვევით არ მოგელა. თუმცა, ესეც გა-  
 თვალისწინებულია. ნიჭიერი მსახიობი იმას ნიშნავს, რომ ის  
 პიესის თანაავტორიცაა. მან უკვე იცის, რა უნდა გააკეთოს  
 ბოლოში.“

„ჩემს თავზე ვერ ვილაპარაკებ. მახსოვს, როგორ ემზა-  
 დებოდა ზაზა პაპუაშვილი მაკეტის როლისთვის. მასში  
 მოულოდნელად ისეთი უზარმაზარი ცვლილება შევნიშნე;  
 არა, მაკეტად კი არ გადაიქცა, მაგრამ თითქოს რაღაც იბრ-  
 ძოდა მასში. პრემიერის ნინ ვუთხარი კიდეც — ხომ იცი,  
 ხელინდელი დღე რომ გათენდება და ამას ითამაშებ, შენ  
 სხვა კაცი გახდები-მეტქი. კოო, - მითხრა. თუმცა ის თავის  
 ფიქრებში იყო გართული, შეიძლება სხვა რამეც ეფიქრა. მი-  
 ნახავს, როგორ გარდაისახება ნიჭიერი ადამიანი.“ ეს მარტო  
 ზაზას არ ეხება, ასეა ნანუკა ხუსკივაძეც, ლელა ალიბეგაშ-  
 ვილიც, ლევან ბერიკაშვილიც და სხვებიც.

### ისევ თეატრი?

„მახსოვს, ინსტიტუტში ვსწავლობდი. ბატონი შალვა გაწე-  
 რელია იყო ჩემი ხელმძღვანელი. დამინახა, სცენაზე გასვლის  
 ნინ პირველის რომ ვინერდი, მომიბრუნდა და მითხრა: ეგ არ  
 გიშველის, თუ რეპეტიცია არ გაიარე, ეგ აღარ გიშველის. მართალიც იყო,  
 თუ შენი გასაკეთებელი თავის დროზე არ  
 გააკეთე, მერე სულ ტყუილიდა იქნება თითზე კბენანი. მა-  
 შინვე ბავშვობისდროინდელი ანეკდოტი გამახსენდა — კაცი  
 ქუჩაზე გადადის და ზემოთ იყურება. ინსპექტორი აფრთხი-  
 ლებს: მეგობარო, თუ ნინ არ გაიხედე, იქ მოხვდები, სადაც  
 იყურებიო.“

„შობის მეთორმეტე დამეს“ ვთამაშობდით. სცენაზე გა-  
 ვლის ნინ საგრიმიოროში სანთელი დავანოთე. რაღაც პლას-  
 ტიკატის ყუთზე მივამაგრე და... დამავინებდა. საგრიმიორო-  
 ში რომ დავბრუნდი, ვერაფერი დავინახე, სულ გაბუღული  
 იყო, გაშავებული კედლები, მაგიდა. რას ვარ გადარჩენილი?!  
 რუსთაველის თეატრი. პრემიერა. ამდენი ხალხი. ხომ და-  
 მაბრალებდნენ მერე, თეატრი გადაწვაო. თანაც ხომ არის  
 ამაში ირონია: O, ბოჟე!... ი ვასახი. ჩემს თავს ვეუბნებოდი:  
 Ну, თუ დურ!

ყველა კოსტიუმი გავრეცხე, მარინა კახიანის, ნანა ფაჩუაშ-  
 ვილის..... მინირემონტი გავაკეთე.

2001 წელი. „შობის მეთორმეტე დამე“. ტანჯვითა და წვა-  
 ლებით დადგმული სპექტაკლი. პრემიერა.

„ყველანი საშინელ სტრესში ვიყავით. რობერტ სტურუამ  
 ჩაგვაგონა: ის, რაც უნდა გაკეთოთ, ურთულესია. თქვენ ამის  
 გამკეთებლები არ ხართ. ეს მარტო ძლიერ დასს შეუძლია. მაგრამ მაინც უნდა გააკეთოთ და მერე — ერთი არ გაგიკე-  
 თებიათ!..“

ყოველდღე, შინ თუ გარეთ, სამზარეულოში, აბაზანაში,  
 ძილის ნინ ტირილით ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებდა:  
 „ჩემი ძმა სებასტიანი...“. ეტყობა, დიდხანს ითმინა მეზობელ-  
 მა და ბოლოს კარზე მიუკაუნა: თქვენგან ყოველდღე რაღაც  
 ტირილის ხმა გამოიდის და ხომ მშვიდობაო...“

„ეს ფრაზა განსაკუთრებით არ გამომდიდა. მერე თეა-

ტრში რომ გავიკითხე, თურმე ყველა ამ დღეში ყოფილა. გურამ სალარაძე ჰყვებოდა: მოვდივარ მანქანით და საჭესთან დაუსრულებლად ვიმეორებდა: „ჩემმა ძმისწულმა ლამის ჭკუიდან შემმალა... ჩემმა ძმისწულმა ლამის ჭკუიდან შემშალა“... გვერდითა მანქანიდან ვიღაც გაშტერებული მიყურებს, შევუკურთხე და გზა განვაგრძე: ჩემმა ძმისწულმა... ასეთ ველში მოგვაქცია, ბატონმა რობიკომ.“

ისევ „შობის მეთორმეტე ლამე“. გასტროლები მოსკოვში. კვლავ საშინელი ნერვიულობა. ერთადერთი, რაზეც მსახიობები არ ნერვიულობენ, ტექსტის სისწორეა. რომც შეეშალოთ, მაიც ვერავინ გაიგებს.

„ფაქტობრივად იქ მივხვდით, რას ვთამაშობდით. სპექტაკლი კარგად წავიდა. მერე ჩვენს ჩასვლას ნანი ბრეგვაძის ვარსკვლავის გახსნა, გაბრიაძის თეატრისა და ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლები დაემთხვა... იცით, რა ხდებოდა ქუჩებში?! მივდივართ და უცებდა: ტექსტი! ვიოლა, ვიოლა, გრძინი (ვიოლა ჩემი გმირი იყო). პატრიოტიზმის ასეთი განცდა არასოდეს მქონია. ყველგან, სადაც მივიდოდით, ვტიროდით. მივიდოდით ერთ ბანკეტზე, სიხარულისგან ცრემლებს ვღვრიდით, მერე სხვაგან დაგვპატიუებდნენ, იქაც ვიტირებდით. ეს იყო ქართველების „სიგიურე“. მსგავსი სიმაყე და ბედნიერება არასოდეს განმიცდია. ეს გასტროლები განსაკუთრებით კარგად მახსენდება. ხელოვნება მართლაც ანგრევს ბარიერებს, ხელოვნებას საოცარი ძალა აქვს.“

და სიყვარულს?

**“ყველაფერი ზუსტად ისე იყო,  
როგორც ლამაზ ფილმებში, გარდა  
საქორწინო მოგზაურობის ფინალისა.  
მოგზაურობიდან ცალ-ცალკე  
დაბრუნდენ“.**

საქორწინო მოგზაურობა

„ხელი ხელს გადავაჭდე ისე მაგრად, რომ ტკივილისაგან ამი-ცახცახდა, და ჩურჩულით წარმოვთქვი: „ო, სიყვარულო, სიყვარულო.“

ჯეომს ჯოისი, „დუბლინელები“

ერთმანეთი შეუყვარდათ. შეიძლება ერთმანეთი ადრეც ჰყავდათ ნანახი. იქნებ იქ, იმ შორეულ ზღაპრულ მხარეში (ზღაპრული? ვისთვის — როგორ; აბა, ერთი ჩვენს ნინაპრებსაც შევეკითხოთ) რომელიმე მოხეტიალე დერვიშის სახით მოევლინა კიდეც, ვარდების ბალში, შაპის კარზე ან.....

მოიცა, მოიცა, რაებს მიედ-მოედები. თუმცა.....



სშენა „მაჟაფილან“. ნინო ქასრაძე და ზაზა აკაუპვილი



„ერთხელ ლექსოს ბებიასთან ვიყავით სტუმრად. და რას ვხედავ? სუფრაზე ჩვენი გეიშას ჩაიდანი არ დევს? უცებ რა-ლაც მმობლიური შეგრძნება გამიჩნდა. ასე მემართება ხოლმე, როცა ჩვენნაირ ნივთებს სხვაგან ვხედავ. ვერ მოვითმინე და ვიყითხე, საიდან გაქვთ-მეთქი. - ირანიდან.“ თურმე დიდი ხნის წინათ, სანამ წინოს მშობლები ირანში ჩავიდოდნენ, იქ ლექსოს ბებია და ბაბუა ცხოვრობდნენ. ესეც ერთი უცნაური დამთხვევა — „უცებ გაგრავს სუნი და რაღაც გახსენდება.“ ირანში არაჩვეულებრივი ჩაი იციან.

ნინო და ლექსო დაქორწინდნენ. საქორწინო მოგზაურობა. მალიორკა. ტურიზმის ცენტრი და ყველა რომანტიკული თუ არარომანტიკული შეყვარებული წყვილის საოცნებო ადგილი. არაჩვეულებრივი დასვენება, სამჯერადი კვება, შესანიშ-

**„არ ვისი, როგორ გავართოვ თავს  
მსახიობობასაც და დალობასაც.  
მიმაჩნია, რომ ასეთ შეთავსებას  
კარგი შელეგი არ მოაქვს და რა  
იქნება და რას ვიზამ, არ ვიცი.“**

ნავი გართობა, თავბრუდამხვევი წვეულებები და საღამოები და თქვენთვის სასურველი პარტნიორი — იჩქარეთ! როგორც რეკლამებშია ხოლმე. ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ლამაზ ფილმებში, გარდა საქორწინო მოგზაურობის ფინალისა. მოგზაურობიდან ცალ-ცალკე დაბრუნდნენ. არა, ვერ მიმიხვდით. არანაირი ინტრიგა, სკანდალი და აურზაური. ისევ თეატრი. რუსთაველის თეატრი გასტროლებზე მიდიოდა. დათო იაშვილი თბილისში არ იყო, მის მაგივრად გოგა გველესიანს უნდა ეთამაშა. რეპეტიციის გარეშე ვერ ვითამაშებთო, — ნინოს აცნობეს და ისიც საქორწინო მოგზაურობიდან პირველივე რეისით ჩამოფრინდა. ჩამოფრინდა და..... „გია თევზაბე მეუბნება: რაღაც უნდა გითხრა და გული არ გაგისცდესო. გუმანით უკვე მივხვდი. ვიცი, ალბათ გასტროლები ჩაიშალა-მეთქი, და კიო, ჩაიშალაო. კიდევ კარგი, მთელი მოგზაურობა რომ არ ჩამეშალა.“

მეუღლე - ლექსო თოფურია. ჰყავთ ორი შვილი. ორწლინახევრის სალომე და ექვსი თვის ლუკა. ნინო, ძირითადად, ბავშვებთან ატარებს დროს. თუმცა ხანდახან ჰერნია, რომ საშინელი დედაა. „როგორი დედა ვარ, ამას დრო ვამოაჩენს. ღმერთმა ქნას, რომ ბევრი შეცდომა არ დავუშვა. შეცდომებს უშვებ, ფაქტია, მაგრამ მთავარია ისე არ დამიბნელდეს გონება, რომ საბედისნერო შეცდომები დავუშვა. ჩემი თეორიები მაქვს. არ ვიცი, როგორ გავართმევ თავს მსახიობობასაც და დედობასაც. მიმაჩნია, რომ ასეთ შეთავსებას კარგი შედეგი არ მოაქვს და რა იქნება და რას ვიზამ, არ ვიცი.“

„დედიკო, სიყვარული მინდა,“ — პატარა სალომე დედისკენ საალერსოდ მიიწევს. „ძალიან სასაცილო გოგოა. ლაპარაკი რომ დაიწყო, მაშინ აღმოვაჩინე, რა ყოფილა შვილი. თავისი აზრები აქვს, თან როგორ წუხდება იმით, რასაც ჩვენ აღზრდას ვეძახით. თამაშობს და ვეუბნები — წამოდი, ახლა ხელები დავიბაროთ, ახლა ვჭამოთ. წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა. ზოგჯერ ხომ ვამჩნევ, როგორ გამნარდება ხოლმე.“

დედა, ეს ვინ არის? — სურათისკენ იშვერს თითს. გრიმში დედას ვერ ცნობს. ერთი-ორჯერ კი ჰყავს სცენაზე ნანახი, მაგრამ მაშინ სულ ერთი ციცქა იყო. ლუკამ ჯერ არაფერი იცის. ძალიან პატარაა. მარტო გვიცინის. უკვე ოთხი კბილი აქვს, ორი ზევით, ორიც - ქვევით.

მოკლედ, ყველაფერი კანონზომიერად მოხდა. „ახლა, მგონი, არ ღირს ამაზე ლაპარაკი. იმიტომ კი არა, რომ პოზა მაქვს ასეთი, რომ ეს ყველაფერი ძალიან პირადულია და არ მინდა, ვინმემ გაიგოს. უბრალოდ, არა მგონია, რომ ამის მოყოლა ღირდეს. ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს. უკვე გვაქვს ოჯახი, გვყავს ორი შვილი. მოდით, გადავახტეთ ამ თემას. მე მგონი, გადაიტანს მკითხველი, არა? გადაიტანოს, არა უშავს...“

რას იტყვით, გადაიტანს?

ბავშვების გაღვიძების დრო მოვიდა - „ახლა ბავშვები გაიღვიძებენ და იქნება ერთი საგიუჟეთი.“

ნინო სამზარულოში ჩაის აყენებს, სურნელოვან აღმოსავლურ ჩაის. საღლომე კარზე აკაკუნებს. შემოსვლა აკრძალული აქვს — „ჩვენ ახლა აქ ძალიან მნიშვნელოვან რაღაცას ვაკეთებთ!“ ეს მნიშვნელოვანი რაღაც ჩვენი ინტერვიუა. დედა, შემოვალ რა? ისევ უარი. რატომ? - განწირული ხმით კითხულობს საღლომე. „ცოდნა, შემოვუშვებ.“



# ფოტოთხრობა

დათო ტურაშვილი



## სამთაობო

ზურგჩანთებაკიდებულები, სწორი ხეობით, ჯუთაში მიმავალ გზას დავადექით და კალკუჩასთან მოხევებმა გვიმასპინძლეს. რომ გაიგეს ჭიუხებისკენ მივდიოდით, გაეღიმათ – ჯუთაში ხევსურები დაგვხვდებიან, ხომ იცით რა ხალხია, დათვრებიან, შეგანუხებენო...

ჯუთაში მართლაც ხევსურები დაგვხვდნენ, მშვენივრად გვიმასპინძლეს და რომ გაიგეს უკან, ისევ სწორი გავლით ვაპირებდით დაბრუნებას, გაეღიმათ – ხევსურეთში გადადით, თორემ სწორში მოხევები დაგვხვდებიან, ხო იცით რა ხალხია, დათვრებიან, შეგანუხებენო...

იყო გაზაფხული, მაგრამ საოცრად თბილი და საოცრად მსიამოვნებდა სამშობლოში ხეტიალი...



## სიკვდილი

კატმანდუში არის უბანი, რომელსაც ბრაქტაპური ჰქვია და სადაც ჰინდუსთა რელიგიური ტრადიციისამებრ, ადამიანებს წვავენ. წვავენ მხოლოდ გარდაცვლილებს (რა თქმა უნდა), და ფერფლს წყალს ატანენ. ეს პატარა მდინარე წმინდა განგს უერთდება და ჭირისუფლები, ცეცხლის აგუზგუზებამდე, პანაშვიდისმაგვარ რიტუალს ასრულებენ. ადამიანის ფერფლად ქცევას, ყოველდღიურად ესწრებიან ტურისტები და პირველად რომ ვიგრძენი დამწვრის სუნი, შიშის, გაოგნებისა და უსუსურობისაგან, მთელ სხეულზე ხორკლებად დამსუსხა, მაგრამ მერე, საოცარი, ჩემთვის წარმოუდგენელი რამ მოხდა – რადგან ყოველდღე გვიწევდა ბრაქტაპურში, მდინარის პირას, გადაღებებზე გასვლა, ვიჯექი ხოლმე ჭირისუფლებში და ვწერდი. როგორც ჩანს, ადამიანი მართლა ყველაფერს ეწვევა – ვიჯექი, ვწერდი და ჩემს გვერდით ადამიანს წვავდნენ. და აღარ მანუხებდა დამზვრის სუნიც...



## ზღვა

ხორვატებმა ევროპის მწერალთა საერთაშორისო კონფერენცია ადრიატიკის ზღვის პატარა კუნძულზე ჩატარეს. მიუხედავად იმისა, რომ სემინარები დილიდან სალამომდე გრძელდებოდა, მაინც შემეძლო დროის გამონახვა და ზღვაში ჩასვლა. მაგრამ არ ჩავსულვარ, რადგან ჩემს ძვირფას მეუღლეს ძალიან, ძალიან უყვარს ზღვა და სოლიდარობის ნიშნად ნაპირსაც არ მივკარებივარ. სამშობლოში დაბრუნებულს, ერთი სული მქონდა როდის მოვუყვებოდი მაკას ჩემი სიყვარულისა და ერთგულების ამბავს. მაკამ მომისმინა, გაეღიმა და სრულიად მოულოდნელი დასკვნა გააკეთა – შენ, ალბათ, ზღვა არ გიყვარსო...


როგორც ჩანს, ანტონ ჩეხოვი ცამდე მართალია – ცოლიცოლია...

## FELLATIO

ლეგენდარულმა ამერიკელმა ასტრონავტმა ნილ არმსტრონგმა, მთვარეზე ფეხის დადგისას, მთელი სამყაროს გასაგონად თქვა ტექსტი, რომელიც ჯერ კიდევ დედამიწაზე, გაფრენამდე კარგა ხნით ადრე, სპეციალურად ამ მიმართვისათვის მოუმზადეს, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, ეთერში გაისმა არმსტრონგის მიერ წარმოთქმული სრულიად უცნაური ფრაზა: – *Good luck Mr. Gorsky!*.

მათ შორის, ვინც ქვემოდან გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მთვარეზე მოვლენების განვითარებას, ვერავინ გაიგო, რას ნიშნავდა ასტრონავტის ბოლო სიტყვები, ვინ იყო მისტერ გორსკი და რატომ უსურვებდა მას არმსტრონგი წარმატებას ასეთი შორი მანძილიდან. დედამიწაზე დაპრუნებისთანავე, პირველ პრესკონფერენციაზე, ასტრონავტს, სწორედ ამ მოულოდნელი ფრაზის ახსნა თხოვეს, რის გამოც ნილ არმსტრონგმა ბოდიში მოიხადა – ჯერ მსტერ გორსკი ცოცხალია და ვერაფერს გეტყვითო. ამის შემდეგ, ყოველ ინტერვიუში ლეგენდარული ასტრონავტი დუმდა და როგორც იქნა, რამდენიმე წლის შემდეგ, (მისტერ გორსკი რომ ცოცხალი აღარ იყო), არმსტრონგმა მთვარეზე წარმოთქმული მოულოდნელი ფრაზის საიდუმლოს ფარდა ახადა:

თურმე გორსკები არმსტრონგების მეზობლები იყვნენ ბავშვობაში და ერთხელ თამაშისას, ბურთი რომ გორსკების ეზოში გადავარდა, პატარა არმსტრონგი ღობეზე გადაძვრა და ფარდაჩამოუფარებელი ფანჯრიდან სახლის ოთახში უცნაური სცენა დაინახა – მისტერ გორსკი ცოლს ორალურ სექსზე დათანხმებისაკენ უბიძებდა (რომ გავიზარდე, მერე მივხვდიო – არმსტრონგმა) და ცოლი კი ღიმილით პასუხობდა – მაგაზე მაშინ დამითანხმებ, მეზობლის ბავშვი მთვარეზე რომ



ფეხს დადგამსო. (ამ გამოთქმას ჩვენშიც აქვს შესატყვისი – ვირი ხეზე ავაო).

პატარა არმსტრონგს იმდენად დაამახსოვრდა ჩუმად მოსმენილი ფრაზა, რომ მთვარეზე დადგა თუ არა ფეხი, განამებული მეზობელი გაახსენდა და წარმატება უსურვა: – *Good luck Mr. Gorsky!*

# ცდუნების მაგია

ჩვენ გვიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. ჩვენ გვხიბულავს ირგვლივ მყიფთა ალტაცებული მზერა. ჩვენ მოგვწონს, როდესაც მამაკაცის ძლიერი ხელი ჩვენს ფულუნებში იძირება. ჩვენთვის ჩვეულია აღფრთვენებისა და მურს გრძნობა.

ჩვენ ვაფასებით ჩევნდამი გამოხატულ ყურადღებას. ურაზია: “ჩევნდ დღს შესაიმზად გამოიყენებით!” – ჩვეულია, მაგრამ მაინც უსაბლოროდ სასიამოვნო! ჩვენს მეგობრებსა და ნაცნობებს შორის არ არიან საუკეთესონი, მაგრამ არიან ღირსეულნი! ქლაქმი უბრალო გასეინებაც კი უსათურო იქცევა მსუბუქ ფლირტად და სინატიფის დემონსტრირებად.

ჩვენი გარემოცვა ჩვენს განწყობას უნდა შეესაბამებოდეს! არავითარი სტრესი და არასასურველი გარემო, მხოლოდ ყველაზე საუკეთესო! ჩვენ შეგვიძლია მივეცეთ მსუბუქ მღელგარებას, მაგრამ არა განცდას. ეს ხომ უარყოფითად მოქმედებს ჩვენს ჯანმრთელობაზე. მოვლილ, განუმეორებელი, ბრნყინვალე – აი რის გაგონებას ვართ მიჩვეული.


ჩვენ უნდა გვამჩნევდნენ ყველგან და ყოველთვის. სასახურში, სუპერმარკეტში, სალონში, ყველგან, სადაც ჩვენ ვართ, არ არსებობს უმეტესობაზე. ჩვენ კომფორტულად ვერძნობთ

თავს ნებისმიერ ამინდში! ჩვენ გვახარებენ მზის სხივები, წვიმა და ქარიც კი. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნებული ვართ ჩვენს დაცულიბაში. დღისით ჩვენ მსუბუქი და ბურებრივი ვართ, საღამოს კი, მთვარის შუქზე ბრნყინვალე და მეტყველონ.

ამინო პრო-ვი კოპლექსით გამდიდრებული თმის მოვლის საშუალებები. ჩვენ თვითონ ხომ ამინომჟავებისაგან შევდგებით. და როდესაც ჩვენ მათ მზის, დაბინძურბული ჰაერის, ცხელი ინსტრუმენტებისა და საღებავების ზემოქმედების გამო ვეარგავთ, არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება ჯანსაღი იერისა და სილამაზის დასაბრუნებლად. ამისათვის საჭიროა დაგებრუნოთ დაკარგული ამინომჟავები – მაცოცხლებელი კომბონენტები. ისინი სწრაფად აღადგენებ ჩვენს სტრუქტურას, დაგვიბრუნებებ ბუნებრივ ძალას და მოქნილობას. და ყოველივე ის, რაც ასე მოგვინონ ჩვენ და ენით გამოუტმელ აღფრთოვანებაში მოჰყავს გარშემოყოფი, შესაძლებელი და რეალური გახდება. ჩვენი ღირსებები იცის ყველამ, ნაკლოვანებები კი მხოლოდ მან, ჩვენმა „მფლობელმა“.

ჩვენ ისეთივე განსხვავებულები ვართ, როგორც ყველა ქალი მთელს სამყაროში.

თქვენი მაღლიერი თმები



## ატუ-ალაბა

რუსები ბევრნი არიან და ყველგან არიან. თუმცა არის ადგილები, სადაც ისინი იშვიათად შეგვხვდებიან და მათ შორის კატმანდუსაც ნაკლებად ეტანებიან, მაგრამ მაინც არიან, თუნდაც კატმანდუში.

ვზივარ გიო მგელაძესთან ერთად ღია ბარში, სადაც მხოლოდ ბობ მარლის ხმა ისმის და ორივენი ვწერთ. მოგვისხდნენ რუსები, – ორი გოგონა (წერას რომ არავინ გაცლის, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია). ამ ორიდან ერთს სათვალები უკეთია; როგორც ჩანს, მხედველობა არ უვარგა. ვილაყბეთ სისულელეებზე და უცებ გიომ სათვალიანს ჰერთა:

– У вас минус или плюс?

– минус.

– это ваш единственный минус.

გიოს სერიოზულზე სერიოზული სახე აქვს, მაგრამ გოგონები მაინც დგებიან და მიდიან. ჩვენ წერას ვაგრძელებთ...

## ფილელ და რაულ კასტროები

მიტინგებში მონაწილეობისა თუ მათი ორგანიზების გამოცდილება ნამდვილად მაქვს. უფრო მეტიც, საზღვარგარეთ, შეიძლება ითქვას, საერთაშორისო მიტინგებშიც მიმიღია მონაწილეობა და არაერთხელ. თუმცა მიტინგისგან სიამოვნება მხოლოდ ერთხელ მივიღე და ისიც შემთხვევით შემთხვევით გადავაწყდი კუბელ ემიგრანტთა დემონსტრაციას ნიუ-იორკში, ბროდვეისა და ოცდამესამე ქუჩის კვეთაზე. დემონსტრაცია „ნიუ-იორკ თაიმსის“ რედაქციის წინ მიმდინარეობდა და სიამოვნებით შევუერთდი. მომიტინგები ხსენებული გაზეთის პიზიციით იყვნენ უკამაყოფილობი კუბასთან მიმართებაში და ფიდელ კასტროს საწინააღმდეგო სიტყვა მეც ვთქვი. რასაკირველია, არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ უცხოელის თანადგომა მაინც გაუხარდათ და რამდენჯერმე მგზნებარე ტამიც შემაგებეს. სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა – როგორც ჩანს, მადლიერების გამოსახატავად მშვენიერი მომიტინგე გოგონა უკიდან მომიახლოვდა, ზურგზე დიდი, კუბური ძუძუები მომაბჯინა, ხელები შემომხვია და კისერზე მაკოცა. კისერი, მოგეხსენებათ, ეროვენულ ზონათაგანაც კი, მკვეთრად გამოირჩევა მგრძნობიარობით და რა თქმა უნდა, ხმა ჩამინდება. სუნთქვაც შემიჩერდა დროებით და საერთოდ გადამავიწყდა, რას ვერჩოდი ფიდელ კასტროს...

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მიტინგისგან სიამოვნება მივიღე და ისიც ნაწილობრივ, რადგან ის კუბელი ქალი მიტინგის შემდეგ ველარ ვიპოვე...



## ზაგბოვი

ნიკიტა მიხალკოვმა თავისი გახმაურებული ფილმი “მზით გათანგულნი” თბილისშიც ჩამოიტანა და კინოს სახლში თბილისელ მაყურებელს უჩვენა. ფილმის დაწყებამდე რეჟისორი სცენაზე ავიდა და ღიმილით მიესალმა დარბაზს: “Здравствуйте дорогие соотечественники!..”

ზუსტად არ ვიცი რატომ და როგორ, მაგრამ იმნამსვე წამომცდა საპასუხო ფრაზა: “Тамбовский волк тебе соотечественник!..” მეგონა ჩემთვის ვთქვი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ხმამაღლა გამომივიდა ნათქვამი და შევარდნაძის დაცვის წევრებმა ერთდროულად და გაკვირვებულებმა შემომხედეს. მეგონა, დარბაზს დამატოვებინებდნენ, მაგრამ გადავრჩი და ფილმს შევარდნაძისგან განსხვავებით, ბოლომდე ვუყურე – ფილმი აღმოჩნდა ზუსტად ისეთი, როგორიც ამერიკული “ოსკარით” ჯილდოვდება.

## თავისუფლება ბიბეტის

ვლადიმერ ვისოცკი, ლეგენდარული რუსი პოეტი, მსახიობი, მუსიკოსი და შემსრულებელი, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, პირდაპირ სცენაზე მოკვდა. პირდაპირ გულში გაუკეთეს ნემსი და გადარჩა. გადარჩა და სმა გააგრძელა. ვისოცკის ცოლმა, მარინა ვლადიმი იგი პარიზში ჩაიყვანა და ერთ-ერთ ტიბეტელ ლამას, იმ დროს საფრანგეთში ლექციების წასაკითხად მიწვეულს, აუდიენცია სთხოვა. ნება მისცეს მხოლოდ ერთი შეკითხვისა და ვისოცკიმ პირდაპირ ჰკითხა, როგორ ეთქვა უარი სასმელზე. ტიბეტელმა ლამამ ასეთი ამბავი მოყენა: ტიბეტელ ბერს მთაში დაალამდა და ღამის გასათევად იმ ქოხს მიადგა, საიდანაც სინათლე გამოდიოდა. ქოხში ქალი დახვდა ბერს და ლოგინზე უარი არ უთქვამს, ოლონდ სამი სურვილიდან ერთი მაინც უნდა შემისრულოო – ან ეს თხა დაკალი, ან დოქით ღვინო დალიე, ან ჩემთან დაწექიო. ტიბეტელი ბუდისტი იყო და, ბუნებრივია, თხას ვერ დაკლავდა... ტიბეტელი ბერი იყო და, ბუნებრივია, ქალთან ვერ დაწერებოდა, ამიტომაც მან ღვინო დალია. დალია ღვინო, თხაც დაკლა და ის ქალიც მოტყნა...

ვისოცკი გაოგნდა – ზუსტად ოთხი თვე საერთოდ არ გაჰკარებია სასმელს, მაგრამ მერე, მაინც მოკვდა...

სპონ-პროექტი  
306ა სხვაა





306 თბილისა.  
306 სხვაან.  
ნარწერა ტრამვაის კარზე

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი  
ფოტო: დავით მესხი

სპეც-პროექტის სპონსორია ავიაკომპანია „კა ელ ემ“



## მეგონა, რომ იქ, შორეულ ვენაში, ყველგან მუსიკა ჟღერს – ტყუილი, ერთხელ გავიგონე შტრაუსის ვალსი და ისიც სუკარმარქაზი;

ქალაქ ვენას ჰქვია მდინარე ვენას სახელი თუ პირიქით – ეს დღემდე ვერ დამიდგენია, და კაცმა რომ თქვას, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მდინარე ვენა საერთოდ არ ჩანს, მხოლოდ ჩემსავით ენთუზიაზმით დამწვარი თუ წახეტიალდება ქალაქის პარკში საგანგებოდ მის წყალში ჩასახედად. იქ კი მართლაც ლამაზია, ვერაფერს ვიტყვი.

მთავარი მდინარეა დუნაი, ანუ დუნაი და მისი არხი, რაც ცალკე თავგზას მიძნევს, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ორივე კალაპოტში ერთი და იგივე წყალი მოედინება – თითქოს ამას რამე დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. არხიც და მდინარეც ლამაზია, სანაპიროც ლამაზი აქვს და თუ მზე ანათებს, იქ სეირნობას არაფერი სჯობს.

ვენა რომ დიდებული ქალაქია, ყველამ ვიცით. წმინდა შტეფანის კათედრალის თუ იმპერიული დიდების – შიონბრუნის სასახლის შესახებ ყველას გვსმენია, და იქაურ მუზეუმებში დაცული შედევრები ღია ბარათებზე მაინც გვაქვს ნანახი.

სანამ ამ მშვენიერ ქალაქს ვეწვეოდი, მეგონა, რომ იქ, შორეულ ვენაში, ყველგან მუსიკა უდერს – ტყუილი, ერთხელ გავიგონე შტრაუსის ვალსი და ისიც სუპერმარკეტში; მეგონა, რომ ვენა გუსტავ კლიმტის ქალაქი იყო – რას ბრძანებთ, კლი-

მტი უმაღლ ტურისტების სიხარულია, ვიდრე ვენელთა სიამაყის საგანი; მეგონა, რომ დუნაი ცისფერია – და მსგავსიც არაფერი მინახავს. ბატონი შუბერტი – არა კომპოზიტორი, არამედ სხვა, ჩემი მეგობარი – მიმტკიცებს, რომ დუნაი ზოგჯერ მართლა ცისფერია, როცა შემოდგომაზე შიგ ლურჯი ცაირეკლება. შემოდგომაზე ვენაში ლურჯი ცისთვის თვალიც არ მომიკრავს, მაგრამ ბატონ შუბერტს ტყუილები არ სჩვევია, თან ვენელია, ამიტომ დავუჯეროთ.

მით უმეტეს, რომ ის მუდამ არაჩევულებრივ ამბებს ჰქვება, თან მგზნებარედ, ხატოვნად. ვენის საჯინიბოებში გაჩენილი ხანძრის ამბავი ისე შთამბეჭდაგად მომითხრო, რომ თვალნათლივ დავინახე, როგორ დაბოდნენ ლამით თეთრ, დაცარიელებულ ქუჩებში ფაფარაშლილი რაშები, თითქოს



მათი ჭიხვინიც ისმოდა და ქვაფენილებზე ფლოკვების თქარატქურიც. არადა, მანამდე ეს ლამაზი, მოვლილი და აშკარად ძალიან ღონიერი ცხენები სულ არ მაინტერესებდა, მხოლოდ ტურისტული შოუს ნაწილად მიმაჩნდა, განსაკუთრებით ცუდ ამინდში კი – ცხენის ძეხვის მასალად.

მართალია, ერთხელ მისი რჩევით ერთ მშვენიერ ბაღში წავედი, დავუჯერე – და ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მარცხი იყო. აუგარტენი, ზაფულში ტკბილი ადგილი, წელიწადის სხვა დროს, რბილად რომ ვთქვათ, დამთრგუნველი სანახავია. იქ ორი უზარმაზარი ურჩხული დგას – მეორე მსოფლიო ომის დროს საპაერო თავდასხმებისაგან თავდასაცავი ნაგებობები, რომლებსაც უაღრესად გონებაგახსნილმა ვენელებმაც კი ვერაფერი მოუხერხეს: აფეთქებით ვერ ააფეთქებ, მთელს უბანს თან გაიყოლებს, მოხატვას არ ექვემდებარება, სხვა ფუნქციასაც ვერ დააკისრებ – სხვისა არ ვიცი და მე ჩემი ნებით შიგ არასოდეს შევიდოდი, სულ სამოთხესაც რომ დამპირებოდნენ. ეს ურჩხულები, როგორც

## მეგონა, რომ ვენა გუსტავ კლიმტის ეკლაეკი იყო – რას ბრძანებთ, კლიმტი უალ ტურისტების სისარულია, ვიდრე ვენალთა სიამაყის საგანი;

მოგახსენეთ, აუგარტენში დგას, ირგვლივ ხეივნებია, გადაჭრილი ხეებით, გეგონება, ცოცხლად დამარხული გოლიათების ამონვდილი ხელებიაო – ხომ კარგად მაქვს ფანტაზია ანთებული? გარდა ამისა, საყვარელმა ბატონმა შუბერტმა არ დაიზარა და მიამბო, რომ იმ კოშკებში მტრედები ცხოვრობენ, – გარეთაც დაფრინავდნენ და დალუდუნობდნენ, უნდა ითქვას, რომ საზიზლრად. ხოლო შიგნით, სილრმეში, – ესეც ბატონმა შუბერტმა მითხრა, თორემ მე, ცხადია, არ შევმძვრალვარ და არ მინახავს, – მტრედები სრულიად დეგრადირებული არიან, ფრენა აღარ იციან, დაბაჯბაჯებენ, დოდოებივით, და გაჭირვების უამს (ეს კი ვერ გავიგე, უარესი გაჭირვება რაღა უნდა დაადგეთ?) ერთმანეთს კორტნიან. ჭამენ. აი, ასე.

აუგარტენში, დაბინდებისას, ყველა ეს საშინელება ცხადად წარმოვიდგინე და ნამდვილად აღარ მესიამოვნა აღარც ხეივანში ხეტიალი და აღარც სანერგების თვალიერება. მოძმეთა მკორტნელი მტრედები ხომ არ მესიამოვნა და არ



მესიამოვნა. მაგრამ ეს უნინ იყო. წელს მტრედების ნაცვლად, ყვავები დამხვდნენ, მოყრანტალე საზოგადოება, უსაშინლესი რაოდენობით – ამდენი მხოლოდ სახელგანთქმულ ვენურ საგიუჟეთებს თუ დასტრიალებდა თავს. კოშკთან ახლოს მისულს კვლავ ის გულისამრევი ღუღუნი მომესმა, ეტყობა, მთლად ხელ-ფეხნართ– მეული მტრედებისა. ჩემო დედა! “როგორ ფიქრობ, მტრედები ყვავებმა შეჭამეს?” – ვკითხე ბატონ შუბერტს. “არ ვიცი. ისე, მტრედს ყვავი არ სჯობს? ნახე, როგორი ღირსული პროფილი აქვთ,” მიპასუხა ბატონმა შუბერტმა.

ბატონი შუბერტი, მრავალი პრემიით დაჯილდოებული თავისუფალი ლიტერატორი და ოქროს ბიჭი, უნინ მიხსნიდა, რომ მისთვის სმისა და მოწევისთვის თავის დანებება არ შეიძლება, რადგან სანამ ფილტვის კიბი და ღვიძლის ციროზი ერთმანეთს ებრძვიან, მისთვის არცერთს არ სცხელა. მაგრამ

## იქ ორი უზარმაზარი ურჩეული ლგას

– მეორე მსოფლიო ომის დროს

**საპარო თავდასხმებისგან თავდასაცავი**

**ნაგებობები, რომლებსაც უაღრესად**


**გონიერაგანსილმა ვენელებამაც კი**

**ვერაფერი მოუხერხეს.**

ახლა აღარ ეწევა. რატომ? “ჩემი საყვარელი ბრონქიტი! მთელი კვირაა, ნაფაზს ვერ ვარტყამ. ნეტა არ მომირჩეს!”

ჩემს იქ ყოფნაში ბატონ შუბერტს ბევრი წელი შეუსრულდა. ამ ამბავს გულმოდგინედ მალავდა, აქანდა, არ მომილოცონო, – იპრანჭება; სულ იპრანჭება და როცა ვეუბნები, იპრანჭები-მეთქი, გახარე-

ბული მპასუხობს: “ხომ მაგრად გამომდის?” შუბერტს არ გაუმართლა – ან პირიქით: როცა კლუბ „ოსტში“, რომელიც, თავად შუბერტის თქმით, მე-17 უბნიდან, აღმოსავლეთით ყველაფერს მოიცავს, მთლად ვლადივოსტოკამდე, ბულგარელი ბოშების ნაცვლად, ყოვლად წყალნაღებული რუსული ბენდის კონცერტზე აღმოვჩნდით, მშვენიერი გოგო მოვიდა, გაბრიელა, ერთი ევროპელი მწერლის თქმით, „ისეთი ახალგაზრდა, რომ მასთან მარადისობაზე შეიძლება საუბარი“. გაბრიელამ ბატონ შუბერტს საჩუქარი მიართვა, რომელიც



შემდგომში დიდი პროვოკა-  
ციის ობიექტი გახდა. “ჩემი  
სხეული ყალბი არმანის  
გარდა აღარაფერს იმსახუ-  
რებს,” დაიმორცხვა ბა-  
ტონმა შუბერტმა, “მაგრამ  
მადლობა”.

გაბრიელას საჩუქარი  
მეგობრებმა არ მოიწონეს.

კაფე “ამარკორდში”, „სეცესიონთან“, იქ, სადაც შაბათობით ჩემთვის, აღმოსავლელი ქალისთვის ცნობილ ბაზართაგან ყველაზე ხმაურიანი ბაზარია და ძველმანების ბაზრობაზე მიწაზე ტანსაცმლის გორებია აღმართული – ნეტა, ვის რა ჯანდაბად უნდა? ბატონი შუბერტი ეჭვოს, რომ ამ ჭინჭების გამყიდველებს ქალაქი უხდის ფულს, სანახაობის ამპავში; – ჰოლა, კაფე “ამარკორდში”, სადაც დღისით კარგი ყავის დალევა და სალამობით დიდხანს ჯდომა მიყვარდა ხოლ-მე – ოდესლაც, ახლა ძლივსლა მივაგენი, – ამ ჩინებულ კა-ფეში ახალ ჟაკეტში გამოწყობილ ბატონ შუბერტს იერსახე დაუწენეს.

ნიკოლი: “ეს რა უბედურებაა, აშკარად მამათმავალი დიზაინერის ნახლაფორთალი, ტანჯული ვიეტნამელი ბავშ-


ბერინა რეიმსის ჩამოვალის  
გამო აღტაცაზული თიხია ჯარი  
გასძახის: „მა ყვირილით ვიზრდვი  
თავისუფლებისთვის!“

ვის ხელით ჩამოქსოვილი.  
რა გაბრჭყვიალებს, შუ-  
ბარტ?"

შუბერტი, ცხადია, აღმძღვოთდა. „რა გესმის, ეს სამეფო ესთეტიკაა. შეხედე, როგორი ტყავის ზოლები აქვს. ნამდვილი ტყავია! ან როგორ ბრჭყვალებს.

უძვირფასესი ნივთია,” — და შემდგომი თავდასხმისგან თავის დასაცავად “ამარკორდში” მიმტანად მომუშავე გაბრიელას დაუძახა: “გაიგე, რა თქვა შენს საჩუქარზე?”

გაპრიელამ თქვა, რომ ნიკოლს არაფერი გაეგება. მან გა-  
ნაცხადა, რომ უკეტის საწყისი ფასი 90 ევროა – თვითონ  
რამდენად იყიდა, ეს აღარ უთქვამს. მან თქვა, რომ შუბერ-  
ტისთანა კაცს სწორედ ოქროს სირმებით განყობილი უკეტი  
უნდა ეცვას – და ამრეზით აათვალიერ-ჩათვალიერა მარ-  
გალიტის მძივით შემკული, ლამაზი ნიკოლი. ბატონმა შუ-  
ბერტმა ისიც ბრძანა, რომ ნიკოლის მდარე გემოგნება მისი  
კათოლიკური აღზრდის შედეგია (რომლის გამოც ნიკოლთან  
ერთად ვერცერთ ტაძარში ვერ შევდივარ – პრინციპულად  
სძულს) და საერთოდ, გენეტიკური წუნი რთული ამბავია,



ასე იოლად ვერაფერს გაანჭობ.

ო, გენეტიკური წუნები, ჩემი ძვირფასი ვენელების საყვარელი თემა!

“დიდი ბაბუის ამბავი არ მომწონს მაინცდამაინც – თავი მოიკლა, მაგრამ რატომ – ეს არ ვიცი. ბაბუაჩემი კი ბედნიერი კაცი იყო: ბორდელში მოკვდა, ინფარქტმა დაარტყა. მამაჩემი ვერმახტელი ბრძანდება, თავს დღვესაც ჩინებულად გრძნობს, ყოველი არჩევნების წინ მისნის: ყველა, ვინც ხმას არ იძლევა, მარჯვნივ იძლევა ხმას...”

“დედიკო მყავს დიდებული. გინდა, გაგაცნო? თავის დროზე ლამაზი ქალი იყო, ახლაც ლამაზია, ნაწნავი აქვს კუდუსუნამდე. ეგრევე ფეხსაცმელზე დაგხედავს, თუ მოპრეცილი გაქვს, ვერ აგიტანს, მისთვის ეს დაბალი რასის ნიშანია. რასისტია, აბა! ოლონდ ფარული. არ იდარდო, მამაჩემიც

**მშვიდეობი ზოგო მოვიდა, გაბრიელა, ერთი ევროპის მთარღის თქმით, „ისეთი ახალგაზრდა, რომ მასთან მარადისობაზე შეიძლება საუბარი“. გაბრიელამ ბაზონ შუბერტს საჩუქარი მიართვა, რომელიც შემღომაში დიდი პროცენტასის რბილები გახდა.**

ქვეადამიანად მიაჩნია, რახან ნახევრად სლოვენია და ნახევრად ჩეხი...”

“წოდება და გვარი მარია ტერეზიამ უბოძა – სმრტიჩები. რუსულადაც გასაგებია, ხომ? იმათ ჩამომავალს რისი იმედი უნდა ჰქონდეს?”

ვენელები და არა უბრალოდ ავსტრიელები. მრავალი ეროვნება ერთ ძველ, დიდებულ ქალაქში. ჩემთვის სწორედ ესაა მთავარი ხიბლი ნაცრისფერი

ვენისა, რომლის ნარსულიც – ხან დიდებული და ხან ტრაგიკული – სულ თან გდევს და პირადად ჩემში, ცოტა არ იყოს, ნალვლიან გრძნობებს აღძრავს: აღარარსებული იმპერიის ნაშთები. ზღვის ამსახავი ძეგლების და ცხენებზე ამხედრებული დევგმირების შემყურებს, სულ ყბადაღებული “ნიკოფსიდან დარუბანდამდე” მაგონდება – კიდევ კარგი, ვენელები განვითარებული ხალხია და ნარსულის გამო ტი-



რილი არ სჩვევიათ.

...საკონდიტროებში ვარ-დისფერსა და ცისფერ ტან-საცმელში გამოწყობილი ბეჭოები სხედან, ხელოვნურ კბილებს აპრჭყვიალებენ და ნაზად შეექცევიან უნა-ზეს ნამცხვრებს; ბეჭინა რეიმსის გამოფენის გამო აღტაცებული თინეიჯერი გასძახის: “მე ყვირილით ვიპრძვი თავისუფლებისთვის!” ბნელდება. თეთრ, უზარმა-ზარ ტაძართან ვდგავარ, რომელიც თავის დროზე ბატონმა შუბერტმა დამათვალიერებინა: “ბაროკო, ადრეული მეთვრა-მეტე საუკუნე, ვიმეორებ, ადრეული. არ მიყვარს არც ბა-როკო და არც ეს ტაძარი, მაგრამ წარმოიდგინე, რა იქნებო-და: ირგვლივ მათხოვრები, ღატაკები, ჭუჭუი და უბედურება, მახინჯი ქალაქი – და უცებ ეს უშველებელი ნაგებობა. შიში კიდევ დასაჯერებელია, მაგრამ ვერავინ დამაჯერებს, რომ ამ ტაძრის შემყურეს ღვთის სიყვარული ექნებოდა. შური – კიდევ ჰო. ან სიძულვილი, ესეც მჯერა”.

მყუდროდ, თბილად ანათებს ფანჯრები, და მე ძალიან მიხა-

**შუბერტი, სხალია, ალმფოთლა. „რა**

**ჩესმის, ეს სახაფო ესთეტიკაა.**

**შეხელი, როგორი ტყავის ზოლები**

**აქვს. ნამდვილი ტყავია! ან როგორ**

**ბრჭყვიალება. უძვირფასესი ნივთია“.**

რია, რომ ერთი საღამო კი-დევ მრჩება ავსტრიის დე-დაქალაქ ვენაში, საიდანაც ოდესლაც გაყინული გავი-ქცი და საიდანაც ახლა ძალიან არ მინდა წასვლა. ზუსტად ვიცი, როგორი საღამო მექნება ქურთულ რესტორან „დიონისეში“, ვიცი, როგორ მომესალ-მება ბატონი შუბერტი –

“სერვუს!”, ვიცი, ვინ შემოგვიერთდება და რაზე ვილაპარა-კებთ, ისიც ვიცი, რას შევუკვეთავთ და რასაც ვიცეკვებთ.

ოდესლაც ვენა სწორედ ამის გამო ვერ ავიტანე: ზუსტად ვიცოდი, რაც იქნებოდა. ახლა კი, როგორც ჩანს, ჩემი მზია-ნი, საყვარელი სამშობლოს მქვიდრთა ცვალებადმა ზნემ მე-ტისმეტად დამლალა, ვერც კი წარმოიდგენთ.

306-ი ყავახანა,  
ერთადერთი და  
განეგორებალი







## ვენის ყავახანაში შეს-

ვლა ნამდვილად ღირს, განსაკუთრებით საღამოს, როცა ცივა – ამ მშვენიერ ქალაქში კი ხშირად ცივა. ამ დროს ყავახანაში არ-ნახული სიმყუდროვეა და ყავის სურნელი განსაკუ- თობით მძაფრად იგრძ-ნობა. გარდა იმისა, რომ ნამდვილად კარგ ყავას მოგართმევენ, მეგიძლია გაზეთი წაიკითხო, თუ მაინცდამაინც მოგინდა, იმეცადინო და, რაც მთავარია, ბევრი იჭორაო: პოლიტიკა- ზე, კულტურულ მოვლენებზე თუ უბრალოდ ქალებზე და კაცებზე.

ვენური ყავახანა ძალიან მშვიდი ადგილია. ყველა სიკე- თესთან ერთად, მხოლოდ ერთი ყავაც რომ შეუკვეთო, თუნ- დაც მთელი დღე იჯექი, თუნდაც გრძნობის დაკარგვამდე – კაციშვილი არ გეტყვის, ადე, ადგილი გაათავისუფლეო. მეტსაც მოგახსენებთ: ალმაცერადაც არავინ გადმოგხედავს. თან მიმტანი წყლიან ჭიქას გამუდმებით გიცვლის – ცხადია, უსასყიდლოდ – და ახალი შეკვეთის მისაცემად თუ ანგარი- შის მოსათხოვად მთელი დარბაზის საყურადღებოდ არ მო- გიწევს ღრიალი და ხელ-ფეხის ქნევა.

## ვენის ყავახანა პალიანეზვილი აღგილია.

**ყველა სიკეთესთან ერთად, მხოლოდ ერთი ყავას რომ შეუკვეთო, თუნდაც მთელი დღე იჯექი, თუნდაც გრძნობის დაკარგვამდე – კაციშვილი არ გეტყვის, ადე, ადგილი გაათავისუფლეო.**

აქ სვამენ ნაირ-ნაირ ყავას, კაკაოს, ჩაის, რძეს, ცხელ შოკოლადს, მინერალურ წყალს, ლი- მონათს, მოკლედ, ყვე- ლაფერს. ღვინო და მა- გარი სასმელიც იყიდება, მაგრამ მათი შეეგვითოთ თავს მხოლოდ საბრალო ტურისტი თუ გაიფუჭებს – ან რა გემო აქვს ყა- ვახანაში ჩაცეცხლილ არაყს?

ამ შესანიშნავი ყავახა- ნების არსებობას ვენელები საკმაოდ უსიამოვნო ამბავს უმა- დლიან, კერძოდ, იმას, რომ 1683 წელს ქალაქი თურქებმა დაიპყრეს. ერთმა ჯაშუშმა, რომელსაც გეორგ ფრანც კოლ- შიცკი ერქვა და რომელიც ბელგრადში რაღაც აღმოსავლური სავაჭრო კომპანიის თარჯიმანი ბრძანდებოდა, მტრის რიგე- ბის გარღვევა და პოლონეთის მეფემდე მიღწევა შეძლო. ამ უკანასკნელმა ლაშქარი გაგზავნა, ვენა გაათავისუფლა და კოლშიცკის, როგორც ქალაქის მხსნელს, პირველი ნადავლის უფლება უბოძეს.

ვენელების გასაოცრად, ამ კაცმა ოქროზე, იარაღზე და სხვა ავლა-დიდებაზე უარი განაცხადა. მან ყავისფერი მარ- ცვლებით სავსე ტომრებს დაადო ხელი, რომლებიც თითქოს

არავის არაფერში სჭირდებოდა. მაგრამ კოლშიცემ ზუსტად იცოდა, რომ ყავისფერი, ევროპელთათვის ფუჭი მარცვლები ყავა იყო – ტყუილად კი არ გახლდათ თურქეთში მრავალგზის ნამყოფი სავაჭრო კომპანიის თარჯიმანი! და სულ მალე, 1686 წელს, მან ვენაში პირველი ყავახანა გახსნა: “ცისფერ ბოთლოან”.

ისე, ზოგიერთები ამბობენ, ეს ლეგენდა ტყუილიაო. ამბობენ, ვენაში პირველი ყავახანა 1685 წელს სომეხმა სოვდა-გარმა, დეოდატომ გახსნა და ყავის ჩამოსხმის განსაკუთრებული უფლება მხოლოდ მას ჰქონდაო. მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ვენელები უკვე 150 ყავახანაში იყვნენ ჩამომსხდარი და ისევე, როგორც დღეს, მაშინაც ყავას სვა-მდნენ, გაზეთებს კითხულობდნენ და ჭორაობდნენ.

თავდაპირველად, ცხადია, ყავახანები მამაკაცების სამფლობელო იყო – აპა, ქალს ასეთ ადგილას რა ესაქმებოდა! მერე, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, ქალებისთვის საგანგებო სალონები გაიხსნა და ოჯახთან ერთად ყავახანაში სიარუ-

ლიც კარგ ტონად ჩაითვალა. ცხადია, ისე გემრიელად ველარ იჭორავებდნენ, მაგრამ მაინც.

თუ ყავახანის არჩევაზე მიდგა საქმე, პირადად მე “შპერლს” გირჩევდით – არც იმდენად ტურისტულია, როგორც, ვთქვათ, “ჰეველკა”, და არც მთლად პროლეტარებზე გათვლილი. აქ დგას ელასიკური ტონეტის სკამები, ჩვენში რომ “ვენურებს” უწოდებენ და ლამის ყველა სახლში რომ ნახავთ, მარმარილოს მაგიდები – სინამდვილეში ხისაა, მხოლოდ დაფა ადევზ მარმარილოსი; მოკლედ, ჩინებული ადგილია, ისტორიაც საამაყო აქვს და რაც მთავარია, თუ გერმანული გეყურებათ, უამრავ ამბავსაც მოკრავთ ყურს.

ბანალური დიალოგი, როცა ერთი ამბობს და მეორე ადევზეატურ პასუხს სცემს, აქ ნაკლებად პოპულარულია – და

ძალიან კარგი, თორებ გამოვიდოდა, რომ სხვის საუბარს ვუყურებდი, რაც უზრდელობაა. ამ მხრივ საუბრის უზვეულობა სასიამოვნო იყო, მაგრამ, მეორეს მხრივ, მაბნევდასავით.

ასე, დიდხანს ვცდილობდი გარკვევას, რა შუაშია კურდლელი. ჰო, ნამდვილი კურდლელი, ყურცქებითა. მის გამო ბი-

## თუ ყავახანის არჩევაზე მიღა საქმე,

### პირადად მე „შპერლს“ გირჩევდით.

## ჩინებული ადგილია, ისტორიაც საამაყო

### აქვს და რაც მთავარია, თუ გერმანული

### გეყურებათ, უამრავ ამბავსაც მოკრავთ

### ყურს.



ბლიოთეკაში წასვლა და გაზეთებში ქექვა ძალიან დამეზარა, არადა, ხომ საინტერესოა, სიტყვა “კურდლელი” ლამის ყველა მაგიდასთან რატომ უნდა ისმოდეს?

თურმე მუზეუმ ალბერტინას ხელმძღვანელი, ბატონი შრიოდერი ბრიუვი ყოფილა. თურმე მან ავსტრიის საკუთრება, ალბრეხტ დიურერის შესანიშნავი “კურდლელი” ესპანეთში მანამდე გაგზავნა, სანამ სათანადო ნებართვას მიიღებდა. “მართალია, ამის გამო კურდლელს არაფერი დაკლებია, მაგრამ მანც – რა თავხელობა! საერთოდ, რაღაც უცნაური კაცი ჩანს ეს შრიოდერი: შვიდი ცალი ეგონ შილეს ნახატი (ზიზლით) შვეიცარიაში გაუშვა ექსპერტიზაზე – რად უნდოდა ეგონს ექსპერტიზა! და ისინი იქტეან გაფერმკრთალებული დაბრუნდა. არ მიხედეს. ან რატომ მიხედავდნენ, როცა თავისი საგანძურის გამო აესტრიის სიამაყე ალბერტინაც კი არ იწუხებს თავს? სამარცხვინო ამბავია, არა?”

... ”შენ რუბენსის გამო გულს ნუ დაიწყვეტ. კი, ასი სურათი გამოფინეს და (მაინც ამაყად) მსოფლიოში ყველაზე დიდი გამოფენაც იყო – მერე, რა? რუბენსი ცუდი მხატვარია. რაღაც, გიურა – არ შეგიმჩნევია?

რა ამბავია ამდენი ხორცი. არა, ისე მაგარი გამოფენა იყო, ნეტა გენახა...”

... ”გაიგე, ხომ, ჰამბურგის ამბავი? როგორ მოახერხე, გაზეთებს არ კითხულობ? დედ-მამამ შვიდი წლის გოგო შიმშილით მოკლა. ჰო, ჰო, დედ-მამამ. ჩაამწყვდიეს და ალარ აჭმევდნენ. რა ვიცი, ეტყობა, სძულდათ. როცა იპოვეს (განსაკუთრებით სულშიჩამწვდომი ხმით), ცხრა კილოს იწონიდა. არა, სულაც არ უჭირდათ, მდიდრები არ იყვნენ, მაგრამ დახმარებას ხომ იღებდნენ?! წარმოგიდგენია? (ცხოველები. მერე, უწყებები სად იყურებოდნენ, ჰა? (ამ საუბრიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ყველანაირი საშინელება სხვა-გან ხდება, საუკეთესო შემთხვევაში, გერმანიაში – ა.კ.ს.).”

... ”ფრანცის საცოლე ხომ ექიმია, და თურმე (ჩუმად) წინ-

დაცვეთილია. მე ვკი-  
თხე, – ცხადია, ვეცადე,  
ტაქტიანად მეკითხა, –  
გოგოები თუ გაგიჩნდება,  
მათაც გაუკეთებ-მეთქი  
ოპერაციას? წარმოდგი-  
ნე: კიო. აუცილებლადო.  
მე რა ვიცი, რატომ. ... რა  
ვიცი, ალბათ რამეს მაინც  
გრძნობს, თორემ რად  
უნდა ფრანცი?”

... ”სამხრეთამერიკელი  
მეგონე. აქ ბევრი ქარ-

„**შენ რუბენსის გამო გულს ნუ**  
**დაიცუვატ. კი, ასი სურათი გამოფინეს**  
**და მსოფლიოში ყველაზე დიდი**  
**გამოფენაც იყო – მერე, რა? რუბენსი**  
**ცუდი მხატვარია. რაღაც, გიურა – არ**  
**შეგიმჩნევია?**“





თველია, სულ ციხეებში სხედან. ჰეროინით ალბანელები ვაჭრობენ და ქართველებს ამ საქმის ხელში ჩაგდება უნდოდათ. რას ჩაიგდებდნენ, ალბანელებმა ბართლომეს ღამე მოუწყვეს. არა, რა თქმა უნდა, ნორმალური ქართველებიც არსებობენ, მაგას ვინ უარყოფს. მაგრამ იცი, ზოგ აქაურ ქართველს შავკანიანები სძულს. წარმოიდგნია? რასისტებიც არიან ის ღორები. არა, ცხადია, ყველა ასეთი არაა. ჩვენშიც კი გამოერევიან ხოლმე ასეთები, მაგრამ მაინც ცოტანი არიან. ჴო, ალბათ ქართველებშიც ცოტანი არიან”.

... “ვერენა ჰქვია. გვარი არ მახსოვს. ბერლინში ცხოვრობს, - ცხადია. ისიც ვერ მოვახერხეთ, რომ იელინეკის ავტორი-

„ფრანცის საცოლე ხომ ეპითია, და  
თურმა წილასვათილია. მი ვკითხა,  
— ცხადია, ვესალე, ჩაეტიანად  
მეკითხა, — გოგოაბი თუ გაგიჩდება,  
მათაც გაუკათხა-ეთქი რკარაციას?  
ნარმოიდგინე: კიო“.

ზებული — ხაზს ვუსვამ — ავტორიზებული ბიოგრაფია ავსტრიელ ავსტრიელს დაეწერა. შეიძლება კარგი ქალია, რას ვერჩი, მაგრამ რატომ უნდა წეროს ჩვენს ფრიდაზე ვერენამ? საერთოდ, ვინაა ეს ვერენა? ხომ ვამბობ — არავინ იცის”.

... “ეგ კაცი მანიაკია, თან უვიცი. წიგნი აშკარად არ ნაუკითხავს, თორემ “პიანისტი ქალი” ერთხელ

მაინც რომ გადაეფურცლა, ასეთ უბედურებას არ გადაიღებდა. დიახ, სწორედ ჰანეკეზე მოგახსენებ. რა, არ იცი, რომ კაპიკად არ ვარგა? სხვა ფილმები არ გინახავს? ძალიან კარგი. ეგ არის სადისტი და იდიოტი”.

დიდება ღმერთს, მსოფლიო აქ ჯერაც წესრიგშია. ვენა ვენად რჩება და “შპერლი” – “შპერლად”.

მეოცე საუკუნე, ათიანი წლები. ყავახანაში, მაგიდასთან მჯდომი ახალ გაზეთს შლის და გაოგნებული აცხადებს: “ხალხო, რუსეთში რევოლუცია მოხდა!”  
“ხმამაღლა წაიკითხე! ეგ ჩვენი ბატონ ბრონშტაინის ნახელავი იქნება!”



1880 წელი. იაკობ რონახერის შეკვეთით, არქიტექტორებმა გროსმა და იელინეკმა ყავახანა ააშენეს. იმავე წლის ბოლოს ის შპერლების ოჯახმა შეიძინა და მას აქეთია, მას “შპერლი” ჰქვია.

1884

“შპერლი” ადოლფ კრატოჩვილამ შეიძინა, და 1968 წლამდე ის მისი ოჯახის საკუთრება იყო.

1895

“შპერლში” “შვიდთა კლუბი” დაარსდა.

1897

ყავახანა “შპერლის” მუდმივმა კლიენტებმა სეცესიონი დაარსეს.

1929

საშინელი ზამთარი: ყინვის გამო წყლის მილები გაიყინა და “შპერლი” რამდენიმე კვირის განმავლობაში დაზურული იყო.

1941

საომარი ვითარების გამო, “შპერლში” ფარდები დაკიდეს.

1942

სანოვაგის ულუფების შემცირების გამო, “შპერლში” მხოლოდ სასმელი იყიდებოდა.

1945

უბანი, სადაც “შპერლია” განლაგებული, რუსებმა ფრანგებს გადასცეს.

1950

ვენაში იაფფასიანი და იოლად დასამზადებელი “ესპრესო” შეიჭრა და ტრადიციული ყავახანა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

1968

“შპერლის” მფლობელი მანფრედ შტაუბი გახდა.

1979

ახალი ფასები: პატარა მოკა “შპერლში” 11 ავსტრიული შილინგი ლირდა, დიდი მოკა – 19, მელანჟი – 16.

1983

ვენამ ვენური ყავახანის 300 წლისთავი იზეიმა. ასი წლის “შპერლი”, როგორც ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი, საფუძვლიანად იყო რესტავრირებული და ყავის მოყვარულები მას შემდეგ კვლავ მის თავდაპირველ პარკეტის იატაკზე დააბიჯებენ.

1998

ვენის 530 ყავახანას, 650 ყავის რესტორანს, 1060 ესპრესოს, 250 საკონდიტროსა და 120 ყავის დახლს შორის ინგლისელმა გასტროკრიტიკოსმა როი ეკერმენმა “შპერლი” წლის საუკეთესო ყავახანად დაასახელა.



Bluebiz

# „ბლუბიზი – სწრაფი და იოლი გვა უვასრ ბილეთის მისაღებად“.



ბლუბიზი – ეს ახალი პროგრამაა,  
ერთგული კომპანიებისათვის.  
ბლუ კრედიტების დაგროვება ხდება KLM-ისა და მისი  
პარტნიორი ავიაკომპანიების საქართველოში გამოწერილ  
ყველა ბილეთზე, დაგროვილი კრედიტები შესაძლებლობას  
მოგეემთ ისარგებლოთ უფასო ბილეთით.

სამი ნაბიჯი უვასრ ბილეთისათვის:

1. დაარეგისტრირეთ თქვენი კომპანია [www.klm.ge](http://www.klm.ge)-ზე
2. ყოველი დაჯავშნისას გამოიყენეთ თქვენი ბლუბიზის მო-  
ნაცემები
3. იურინეთ უფასოდ, როცა საკმარის ბლუ კრედიტს დააგ-  
როვებთ

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ბლუბიზის მომსახურეობის ცენტრში 10:00-დან 18:00-მდე  
ტელ.: +995 32 921611, ან გააგზავნეთ ელექტრონული წერილი შემდეგ მისამართზე: [bluebiz.ge@klm.com.ge](mailto:bluebiz.ge@klm.com.ge)

AIR FRANCE KLM

# ლილება





# ზახერს!

1864 წელს 21 ნოემბრი უმანგილი, ედუარდ ზახერი, სევდიანად დასეირნობდა ნისლიან ლონდონში და შურით ადევნებდა თვალს ახალი სასტუმროს მშენებლობას, რომელ-საც უამრავი ოთახი ექნებოდა და, რაც ნორჩი კონდიტერი ედუარდისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რამდენიმე რეს-ტორანიც.

უნდა ითქვას, რომ იმხანად ვენაში ერთი-ორი სასტუმრო თუ ჰერი რამეს, უმრავლესობას ღამის სათევს უფრო უწო-დებდი, მოუვლელი იყო და უსუფთაო. და ედუარდ ზახერი ოცნებას მიეცა. მან გადაწყვიტა, რომ ოდესმე თავად ააშე-ნებდა თავის ქალაქში მსგავს სახლს, და ისიც გადაწყვიტა, რომ მასზე უკეთ ამ საქმეს ვერავინ გაუძლვებოდა, რად-გან ის, ედუარდ ზახერი, ბატონ ფრანც ზახერის ვაჟი იყო – ფრანც ზახერის შესახებ არაფერი გსმენიათ? კარგი, მაშ, განვაგრძოთ.

1873 წელს, უკვე ვენაში, სახელმწიფო ოპერის შენო-ბის მოპირდაპირე მხარეს, მართლაც დიდებულ ადგილას, ედუარდ ზახერი კვლავ სასტუმროს მშენებლობას ადევნებდა თვალყურს, ოღონდ ამჯერად საკუთარი სასტუმროსას. სულ მალე წამოიჭიმა “ზახერი”, ვენის მშვენება, და 1880-იან წლებში მის 108 ოთახში უკვე ტელეფონები იდგა!

“სასტუმრო ზახერი” დღესაც დიდებული სასტუმროა, და თუ ოდესმე იქ მოახერხეთ ცხოვრება, შეგიძლიათ ჩათვა-ლოთ, რომ მოიგეთ, ანუ, როგორც ვენაში იტყვიან, *hab's geschafft*. მე არ მომიგია, ზახერთან სულ სხვა სიყვარული მაკავ-შირებს, კერძოდ, ზახერის ტორტი, ზემოხსენებული ბატონ ფრანც ზახერის შედევრი.

ზახერტორტე არამარტო ჩემი, არამედ მთელი ვენის სი-ყვარულია. ის უკვე 150 წლისაა, ცოტა მეტისაც, და ქალაქი მისი არსებობით, ცხადია, ძალიან ამაყობს. Anno 1832 – ასე ამაყად იწყებენ ხოლმე ამ ისტორიული ტკბილეულის შესახებ მოყოლას. ამ წელს ძლევამოსილმა “ევროპის მეეტლემ”, ვენ-ცელ კლემენს მეტერნიხმა, საპატიო სტუმრებისთვის გან-საკუთრებით გემრიელი ჩაროზის დამზადების ბრძანება გას-ცა, „რომ დღეს საღამოს სტუმრებთან არ შევრცხვე!“

საშინელი ამბავი დატრიალდა, რადგან მთავარი მზარეული ავად იყო და ლოგიონიდან ვერ დგებოდა. საბოლოოდ, ეს უაღ-რესად საპასუხისმგებლო საქმე მზარეულის შეგირდს დავალ-

„სასტუმრო ზახერი“ დღესაც  
დიღებული სასტუმროა, და თუ ოდესა  
იქ მოახერხეთ ცხოვრება, შეგიძლიათ  
ჩათვალოთ, რომ მოიგეთ.“

**ზახერთორი არამარტო ჩემი,  
არამელ მთელი ვენის სიყვარულია.  
ის უკვე 150 წლისაა, ცოდა მეტისაც,  
და ქალაქი მისი არსებობით, ცხადია,  
პალიან ამაყობს.**

და, ფრანც ზახერს, თექვსმეტი წლისას, რომელიც მანამდე  
სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში ცდილობდა ნუგბარი  
კერძების დამზადებას. ის, ცხადია, ძალიან დაფრთხა, მაგრამ  
რაღა დარჩენოდა, საქმეს შეუდგა, და ამ გაუგებრობის წყა-  
ლობაა, რომ ფრანც ზახერის ტორტმა შორეულ 1832 წელს,  
როგორც იმდროინდელი გაზეთები წერდნენ, „მსოფლიოში  
ტრიუმფალური სვლა დაიწყო“: ჯერ ვენაში მოიწონეს, მერე  
– პრესბიტერი, მერე – ბუდაპეშტში და ასე... ხომ ხედავთ,  
მისმა დიდებამ საქართველომდეც ჩამოაღწია. ერთი ცალი  
ჩვენც ჩამოვიტანეთ, მაგრამ, რასაკვირველია, უკვე შეჭმუ-  
ლია, და თან ზახერტორტეს გასინჯვა – გარნმუნებთ – ავს-  
ტრიის დედაქალაქში აჯობებს.

ამ ტორტის გამოცხობის საიდუმლოს საგულდაგულოდ  
ინახავენ, მაგრამ ვენელები მაინც ცდილობენ ხოლმე რამე  
მსგავსის გამოცხობას. ერთხელ მეც ვეცადე და მშვენიერი,  
ქვასავით მაგარი და გულისამრევად ტკბილი კორუიკი გამო-  
მივიდა. მაგრამ თუ ვინმეს მაინც მოუნდება საკუთარ ფსი-  
ქიკასა და კუჭზე ავსტრიული ექსპერიმენტის ჩატარება –  
ინებეთ. ეს ერთი ოჯახის, ასე ვთქვათ, საგვარეულო ზახერ-  
ტორტეს რეცეპტია. იმათ რაც მაჭამეს, გემრიელი იყო, და  
იქნებ თქვენც გამოგივიდეთ.

ამ საქმისთვის უნდა განიროთ 4 კვერცხი, 200 გრამი შაქა-  
რი, 180 გრამი ზეთი, 1/8 ლიტრი რძე, ერთი პანანინა პაკეტი  
ვანილის შაქარი, ცოტა საფუარი, ერთი ლიმონის წვენი და  
150 გრამი შოკოლადი – ეს უკანასკნელი უნდა გააღნოთ.


მერე იწყება თქვეფა. ცალკე უნდა ათქვიფოთ ცილა, მა-  
მაცურად, როგორც ბეზესთვის თქვეფენ ხოლმე. ცალკე  
თქვეფთ კვერცხის გულს, შაქარს, ვანილს, ლიმონის წვენს  
და ზეთს, და ბოლოს გამდნარ, ცხელ შოკოლადსაც ურევთ.  
ცალკე ჯამში ჩაყრით ფქვილს და საფუარს, დაასხამთ რძეს,  
მოურევთ; დაუმატებთ იმ მრავალი იზგრედიენტის ნაზავს –  
კვერცხის გული და სხვ. – და მოურევთ; მერე დაუმატებთ  
ათქვეფილ ცილას – მოურევთ; მოკლედ, ურევთ და ურევთ,  
სანამ არ გადელდებით. გადელება იმის ნიშანია, რომ ცომი  
მზადაა. მას ტორტის ცხიმწასმულ ფორმაში ჩაუძახებთ და  
გამოაცხობთ.

როცა ეს სიკეთე გამოცხვება და გაგრილდება, ზედ 100  
გრამი შოკოლადისა და 120 გრამი კარაქის ერთად გადნობის  
შედეგად მიღებულ მასას მოასხამთ. გამოცდილმა ქალებმა  
იციან, რომ ესენი ტაფაზე არ უნდა გააღნონ, ჭურჭელს მდუ-  
ლარე წყალში დგამენ და მაშინ არ მიიწვავს – მე, ცხადია,  
დავანახშირე და არასოდეს არაფერს გადაევლებოდა.

უნდა ითქვას, რომ არავინ იცის, სინამდვილეში ზახერ-  
ტორტეს შუაში გარგრის ჯემი უნდა წაფუსვათ თუ არა. ზოგი  
ამბობს, კიო, ზოგი ამბობს, ნამდვილ ზახერტორტესთან გარ-  
გრის ჯემს ახლოსაც არ გაუვლიაო. ისე, მე რომ მკითხოთ,  
ჯემით უფრო გემრიელია.







გაიცანით: ფრილენსონის  
ჰუნტერზასერი





ჰუნდერტვასერს პირველად რამდენიმე წლის წინ შევხვდი, – სამწუხაროდ, პირადად ვერა, თუმცა თეორიულად ეს სავ-სებით დასაშვები იყო, რადგან ის სულ ახლახანს, 2000 წელს გარდაიცვალა.

ეს მოხდა გვიან ღამით, ქალაქ ვენაში, როცა მეგობართან ერთად სტუმრად მყოფმა ვერ გავთვალე, რომ მეტრო დაიკეტებოდა და სახლი შორს იყო. საქმაოდ გრძელი გა-სეირნება გამოგვივიდა, თან ქალაქს სულ არ ვიცნობდი და რუკით ხელში იმის დადგენა, არხის პირს მივუყვებოდი თუ მდინარისას, ბევრი ვერაფერი სიხარული გახლდათ.

ვენა უაღრესად მშვიდი და უსაფრთხო ქალაქია. ყოველ-თვის ლამაზია, ღამით – განსაკუთრებით. აქ არავინ არავის არაფერს ერჩის, უბრალოდ, მაინც უსიამოვნოა უცნობ ქუ-ჩებში ღამით ხეტიალი და ვიღაც ლოყებამდე ტატუირებულ ბიჭთან და მის ბულტერიერთან ურთიერთობის გარკვევა – სანამ არ მითხრა, რომ მასაც გზა აებნა, ჩვენს იმედად იყო და იმიტომ მოგვყვებოდა ფეხდაფეხ, მე ჩემი დამემართა; ბიჭი კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ბულტერიერი...

იმ ღამეს დავინახე პირველად რაღაცა, რაც შემდგომში ქალაქის მთავარი ნაგავსაწვავი და სითბოს წყარო აღმოჩნდა: მაღალი ნაგებობა, დაუდგენელი ფორმისა, თან საკმაოდ

პირქუში – ყველა სიკეთესთან ერთად, ბოლსაც უშვებდა, – თან რაღაც სულელური მოზაიკით მორთული. მსგავსი არა-ფერი მენახა და გაოცებული შევცქეროდი გადარეული ფრი-დენსრაის ჰუნდერტვასერის, წესით, ფრიდერიკ სტოვასერის შედევრს. დიდმა მოხუცმა სანადელს კიდევ ერთხელ მიაღწია: გამაოგნა და გამართო.

მის შესახებ ბევრი არაფერი მეთქმის – თავად ჩემზე უკეთ გიამბობთ. მხოლოდ იმას დავურთავ, რომ მე ის დიდად მე-სიმპათიურება. მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ფრიდენსრაის ჰუნდერტვასერი მდიდარი კაცი იყო. მას ნორმანდიაში, ვენე-ციაში, აგსტრიისა და ახალ ზელანდიაში აგარაკები ჰქონდა. ისე, რატომაც არა? სხვა თუ არაფერი, ახალი ზელანდიის დროშის დიზაინის ავტორი ბრძანდებოდა, სამხრეთ ნახევარ-სფეროში ნამდვილად ეკუთვნოდა ერთი სახლი. ვენის თანა-მედროვე ხელოვნების მუზეუმის შენობის სახურავზე ჰუ-დერტვასერმა პენტჰაუზი ნამოქმია და ხან იქ ცხოვრობდა, ხან რეპეტეტელურ ევროპულ ბინებში და ხანაც – ეგზო-ტიკურ ქვეყნებში. გააჩნია, როგორ გუნებაზე იყო.

ის ცოტა სიურეალისტი გახლდათ, ცოტა – აბსტრაქციონისტი, გაუდის გავლენასაც განიცდიდა და 20-იანი წლების რუსული ავანგარდისასაც. ახალგაზრდობაში აღმოჩენილი სპირალი მთელი ცხოვრების განმავლობაში იყო მისი “საყვა-



რელი თემა, ფორმა და შინაარსი". მას ეგონ შილე მოსწონდა და ტრანსავტომატიზმის თეორიითაც იყო გატაცებული – ერთი სიტყვით, წაუგიუიანებდა. მას ყოველთვის ცალ-ცალი წინდა ეცვა ხოლმე, რასაც ყოველი ვენელი ხაზგასმით აღნიშნავს, ზოგი – ზიზღით, ზოგი – შინაარულდა.

ჰუნდერტვასერს სიყვარულში არ უმართლებდა. ორი ცოლი ჰყავდა, ერთი გიბრალტარში ყოფნისას ითხოვა, მეორე – იაპონიაში. პირველი ოჯახი ორი წლის განმავლობაში შეინარჩუნა, მეორე ქალმა ხუთი წელი გაუძლო. მართალია, ფრიდენსრაიხი მშვენიერი სქესის ყურადღებას მაინც არა-სოდეს უჩიოდა და ყველგან ახალგაზრდა გოგონების ამაღა დაჰყვებოდა ხოლმე. ზოგს შურდა, ზოგს კი ბატონი ჰუნდერტვასერი ბებერ, ნათრევ ხვადად მიაჩნდა – მე რომ მკითხოთ, ესეც შურის ამბავია.

ჰუნდერტვასერი კულტურულ საზოგადოებას ექსტრავა-განტური გამოხდომებით ატერორებდა. თავისი მანიფესტი "მესამე კანის უფლება" მან 1967 წელს მიუწენის საზოგა-დოებას გაშიშვლებულმა წაუკითხა. მეორე ასეთი გამოსვლა მანიფესტი-ბოიკოტი გოოსე ფრომ გოოს იყო, მესამედ კი მან სტრიპტიზი ვენის მერის დასანახად გამართა, როცა თავისი სახლის პროექტის გამო მოუწია ბრძოლა. უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად ქალაქ ვენის მერი ქალი ბრძანდებოდა.

## იმ ლამას დავინახე პირველად

რაღაცა: მაღალი ნაგებობა,

დაუღიერები ფორმისა, თან საკმაოდ

პირქაში – ყველა სიკეთისთან

ერთად, ბოლსას უშვებლა, – თან

რაღაც სულელური მოზაიკით

მორთული. მსგავსი არაფერი

მენახა და გარშებული შევსეაროლი

გადარეული ფრიდენსრაიხ

ჰუნდერტვასერის შეღვერს. დიდა

მოხუსმა სანალელს კიდევ ერთხელ

მიაღწია: გამაოგნა და გამართო.

## ფანჯრების დიპტაზურა და ფანჯრების უფლება

ზოგიერთები თვლიან, რომ სახლი კედლებისგან შედგება. მე ვამბობ, რომ სახლი ფანჯრებისგან შედგება.

როცა ქუჩაზე გვერდიგვერდ სხვადასხვა სახლები დგას, სხვადასხვა ფანჯრებით, მაგალითად, იუგენდშტილის სახლი იუგენდშტილის ფანჯრებით, გვერდით – თანამედროვე სახლი მოურთველი, სწორკუთხა ფანჯრებით, გვერდით – ბაროკოს სახლი ბაროკოს ფანჯრებით, – არავის არაფერი აქვს საწინააღმდეგო.

მაგრამ როცა სამი სახლის ეს სამი ფანჯარა ერთ სახლს ეკუთვნის, ამას ფანჯრების რასობრივი დაყოფის დარღვევად მიიჩნევენ. რატომ? არსებობის უფლება ხომ ყოველ ცალკეულ ფანჯარას აქვს.

ფანჯრების რასობრივ დაყოფას ბოლო უნდა მოეღოს. ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთის თავზე ერთნაირი ფანჯრების გამეორება, რასობრივი სისტემის მსგავსად, საკონცენტრაციო ბანაკის დამახასიათებელი ნიშანია. სატელიტური ქალაქების ახალ სახლებსა და ახალი უნიკებების შენობებში, ბანებებში, საავადმყოფოებში, სკოლებში ფანჯრების ნიველირება აუტანელი გახდა.

ინდივიდი, ცალკეული, ყოველთვის სხვაგვარად მოწყობილი ადამიანი, თავისი კონსტიტუციის შესაბამისად, პასიურად თუ აქტიურად იცავს თავს ამ ერთგვაროვნების დიქტატურისგან: ალკოჰოლითა თუ ნარკოტიკებით, ქალაქიდან გაქცევით, მანიაკალური სისუფთავით, ტელევიზორისგან დამოკიდებულებით, დაუდგენელი სენტიტურით, ალერგიებით, დეპრესიებით, თვითმკვლელობითაც კი – ან აგრესით, ვანდალიზმით და დანაშაულებით.

დაქირავებულ სახლში მცხოვრებ კაცს იმის საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ ფანჯრიდან გადაიხაროს და სადამდეც ხელი მიუწვდება, შენობა ჩამოკანროს. მას იმის საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ გრძელი ფუნჯით – სადამდეც მიუწვდება – გარედან ყველაფერი მოხატოს, ისე, რომ შორიდან, ქუჩიდან ჩანდეს:

„იქ ცხოვრობს კაცი, რომელიც თავისი  
მეზობლებისგან, დაბინავებული, დამოხებული  
ნორმალური აღამიანებისგან განსხვავდება“.





...აშენება ყველას უნდა შეეძლოს, და სანამ ეს შენების თავისუფლება არ იარსებებს, ახლანდელი, დაგეგმილი არქიტექტურის ხელოვნებად მიჩნევა საერთოდ არ შეიძლება. ამჟამად მხოლოდ ცუდი ცნობიერების მქონე სწორზაზოვანი ადამიანების მიერ შექმნილი შესაბრალისი კომპრომისებია განხორციელებული!

„ყველას უდა ჰერცეს შევის უფლება, ყველას  
უდა აშენოს და კასუსი აგოს იმ როს კელალზ,  
რომელისგანც სხოვრობს... ბოლოს და ბოლოს,  
ბოლო უდა მოელოს იმას, რომ ადამიანები  
ისე სხოვრობლენ – თავიათი ბინები, რომორც  
ბოცვერები – თავიათი საღომები“

...მხოლოდ მაშინ შეიძლება არქიტექტურაზე ლაპარაკი, როცა ხუროთმოძღვარი, მშენებელი და მცხოვრები ერთნი, ანუ ერთი და იგივე პიროვნება არიან. ყველაფერი დანარჩენი არქიტექტურა კი არა, დანაშაულებრივი ქმედება, ძალმომრეობაა.

...ჩვენ სწორი ხაზების ქაოსში, სწორი ხაზების ჯუნგლებში ვცხოვრობთ. ვისაც ეს არ სჯერა, შეუძლია ერთხელ თავს ძალა დაატანოს და დაითვალოს ის სწორი ხაზები, რომლებიც გარს ახვევია, და მაშინ დაიჯერებს; რადგან ის ვერასოდეს მიაღწევს დასასრულამდე ...





## ჰუცელი რჩვასერი ჰუცელი რჩვასერის შესახებ

რა სჭირდება ადამიანს, რომ ბედნიერი იყოს  
წინსვლა უკანსვლაა და უკანსვლა წინ გადადგმული ნაბიჯი ხდება  
მე ვფიქრობ, ჩემი მხატვრობა იმიტომაა სრულიად განსხვავებული, რომ ის ვე-  
გეტატიური მხატვრობაა...

...მე მინდა, – და ამას სრულიად ინსტინქტურად ვაკეთებ, – წინასწარ განვი-  
ცადო, ადამიანებზე ადრე განვიცადო, წინასწარ დავხატო ის სამოთხე, რომლის  
ფლობაც ყველას სურს – უბრალოდ, ხელი უნდა გაიწვდინოს

„სამოთხო აქაა, ჩვენ მას უბრალოდ ვანგრევთ.

მა მიღება იმის ჩვენება, თუ რა იოლია

სინამდვილეში ლელამინაზე სამოთხის ფლობა,

და ყველაფერი ის, რასაც რელიგიები და ლოგოები

და სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობები

გვპირდებიან, – ეს ყველაფერი ნონსენსია“

...

...ასეთ დროს, ცხადია, კონფლიქტში შევდივარ საზოგადოებასთან, რომელსაც  
ჩემი სრულიად არასწორად ესმის

მას ჰერონა, რომ ეს ექსცენტრულობაა, მხოლოდ ყურადღების მისაქცევი რამ,  
ამ დროს ავიწყდება, რომ ეს ჩემი არსების ნაწილია, რომ ეს ჩემი ბუნებრივი გა-  
მოხატვის ფორმაა

რატომ არ შეიძლება, რომ ადამიანმა, ყვავილივით, ის გაკეთოს, რაც მას შეე-  
საბამება

ფერადი, მრავალფეროვანი ნებისმიერ შემთხვევაში სჯობს ნაცრისფერს, საშუა-  
ლოდ რუხს

ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც მხოლოდ ის გადარჩება, ვინც შემოქმედებითად  
ფიქრობს და ცხოვრობს...






...მა ფაჯრების შეღება შევძლი  
 როგორ შევძლი – ესეც ძნელი ასახსნელია  
 ქალა არ დაიტანებია, არც მიუიპრია, არც  
 გონება დამიტაბავს, არც მაიცდამაიც ინტუიციას  
 დაცყრდნობივარ – ისე, თითქოს სიზმარში მოხდა  
 ბარლასახვა...

ჰუნდრერტვასერის სახლი საოცარი სანახავია. ვერაფერს შევადარებ: ასიმეტრიული ოთხუთხედებით დანაწევრებული ფასადი, კერამიკული ფილები, არცერთი ფანჯრის ზომა და ფორმა არ მეორდება, კედლები უსწორმასწოროა, იატაკი ტყის ბილიკს ჰგავს. ეს მუნიციპალური საცხოვრებელია, და თუმცა ვენელების უმრავლესობას ჰუნდრერტვასერის ხსენებაზე იქედნური სახის მიღება კარგ ტონად მიაჩნია, ამ ძალაზნ ძვირადლირებულ სახლში შესახლების მსურველები ერთობ ბევრინ არიან. ჭორად მსმენია, მაინცდამაინც დიდხანს ვერცერთი მცხოვრები ვერ ძლებსო – ან ტუროისტები ამხეცებენ, ან აცა-პაცა იატაკები. მოკლედ, გააჩნია, ვინ ქირაობს ბინას, ესთეტი თუ ობივატელი.

თქვენ კი, განურჩევლად იმისა, ესთეტი ბრძანდებით თუ ობივატელი, მოგიწოდებთ: როცა ვენაში ჩახვალთ და იგრძნობთ, რომ ბელვედერმა და ოტო ვაგნერის შესანიშნავმა იუგენდშტილმა, ცოტა არ იყოს, დაგლალათ, ჰუნდრერტვასერის სახლს ეწვიეთ. ჩამოჯერეთ კაფესთან, თვალი მოავლეთ ფერად-ფერად კედლებს და მოდუნდით. ეს არქიტექტურა არაფერს გავალებთ. როგორც თავად ჰუნდრერტვასერი იტყოდა, ყველაფერი უსასრულოდ მარტივია, უსასრულოდ მშვენიერი.





# კსე უყვართ ვენაში





როცა ვენის თავზე განსაკუთრებით სა-  
ძაგელი მაღალი ნისლი წვეპა, განსაკუთრე-  
ბით კარგია ხოლმე თბილ, მყუდრო სახლ-  
ში მისვლა, ავანგარდული მუსიკის თეორე-  
ტიკოსისა და მისი ექიმი მეუღლის თბილ  
სამზარეულოში ჩამოჯდომა და პატარა  
ფლორასთან საუბარიც კი. უცნაური რამაა:  
მე, მეფე ჰეროდეს კვალის ლირსეულ გა-  
მგრძელებელს, აქაური ბალლები არ მაღი-  
ზიანებენ; ალბათ იმიტომ, რომ დედიკოები  
არ შესძახიან ყოველ წუთს ისტერიულად –  
„ნუ, დედიკო, ნუ!“ ასეთ სახლებში იმასაც კი  
ვფიქრობ ხოლმე: იქნებ მეც ეს მინდა?

ასეთ სახლებში იმასაც კი  
ვფიქრობ ხოლო: იქნებ მაც  
ეს მინდა?






ანდრეა შტრასერი, ცოტა ტიროლელი, ეთნოლოგი ქალბატონი, რომელმაც ამ ნორჩ ასაქში ისიც კი მოასწორო, რომ ორი წელი სომხეთში იმუშავა და იქიდან ქუჩის ძაღლი, სანიმუშოდ უზრდელი და სიმპათიური მიკა ჩამოიყვანა, ყველა გამვლელს რომ ყეფით მისდევს და ყველანაირ ნაგავს რომ ჭამს, აი, ისეთი ქუჩის ძაღლი; მოკლედ, ქალბატონი შტრასერი, უნინ ქალთა უფლებებისათვის თავდადებული და გენდერული პრობლემების ნიადაგზე ოდნავ გახისტებული, დღეს ბედნიერი ქალია. მის ბედნიერებას ჯულიო კამანი ჰქონია. ის მხატვარია, კომიქსების ოსტატი და ანდრეას პანაწინა ვაჟის, სამუელ კარლის მამა.

„ეს კაცი ანგელოზია,“ გამიზიარა ანდრეამ. „ნამდვილი ანგელოზი.“

ჯულიოს დიდად ვერ ვეკონტაქტე – იტალიური ისევე ვიცი, როგორც მან – გერმანული. იმას კი მივხვდი, რომ ერთ შემთხვევით მზიან დილას საწოლ ოთახში სკანდირებდა: „გა-ზა-ფხუ-ლი!“

მე მესმის ჯულიოსი. ისევე, როგორც ანდრეა შტრასერისა.



„ეს კაცი ანგელოზია,  
გამიზიარა ანდრეა.  
„ნამდვილი ანგელოზი.“





გერმანელი პეტერ რაუშელი და ავსტრიელი ბარბარა შტაუდი ცოლ-ქმარი არიან – ბარბარამ საგანგებოდ მაჩვენა თავისი ქორწინების ბეჭედი. უაღრესად სასიამოვნო ხალხია, მთელი საღამო ლუდის სმაში გაატარეს და ისეთი გზებით ეფერებოდნენ ერთმანეთს, გეგონება, პირველად დართეს ერთმანეთისთვის ხელის ხლების ნებაო. საოცრებაა, ლმერთმანი...

მთელი საღამო ლუდის  
სხაში გაატარეს და ლილი  
გზებით ეფერებოდნენ  
ერთმანეთს.

იოში კნაისტი და კარინ ვაიჩეკი დიდად თავზეხელადებული წყვილი აღმოჩნდა: რამდენიმე წლის წინათ მათ დეკემბერში და თან საქართველოში განიზრახეს თაფლობის თვის გატარება. როგორც ხედავთ, გადარჩნენ, კარინი ორსულადაა და ორივე ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს. ეტყობა, მძიმე თბილისური ზამთრის გამოცდის მერე, მათ ურთიერთობას აღარაფერი ემუქრება.



ნიკოლ დიტრიხი, რომელმაც ოდესლაც თავის სიყვარულს თბილის-ქალაქში მიაგნო – კაციც ავსტრიელი იყო, გაქცეული რძლი-სას არ გიყვებით, – ამჯერად კენტად ცხოვრობს. მაგრამ მშვენიერ ნიკის, როგორც ჩანს, მარტოობითა და მხოლოდ გადაცემა „დამის მუსიკით“ ტკბობა დიდხანს არ უწერია, თუმცა თავისი ბინითაც ძალიან კმაყოფილია და სამსახურითაც.


„არაფერი გამოგივა, რიხარდ, მე ოთხშაბათს აზიაში მივდივარ“.

„ოთხშაბათამდე არც ვაპირებ ამ ამბის გაგრძელებას, ძვირფასო!“ – და შემდეგ, როცა ნიკოლს მკაფიობარმა გოგონამ მოაკითხა: „ვინ იფიქრებდა! ნიკოლ დიტრიხი!“

ვერც მე ვიფიქრებდი, მაგრამ რომ ვიფიქრე, ეს ამბავი ძალიან მომეწონა. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ბრძენები იტყვიან, ზმნა „მიყვარს“ წარსულ დროში არ იხმარება, პანია გაბრიელა გულწრფელად აღგვიშფოთდა. „ეჭვიანობ?“ – ვკითხე მე. „არა, ვბრაზობ,“ – მიპასუხა გაბრიელამ.



**როგორც ბრძენები იცყვიან,  
ზონა „მიყვარს“ წარსულ  
დროში არ იხმარება.**





თუმცა ვერავინ დამაჯერებს, რომ ბუნებაში მთლად ჰარმონიული ურთიერთობები არსებობს, შეყვარებულები ჩემში მუდამ უნაზეს გრძნობებს აღძრავენ. ის, რომ ვიღაცას ვიღაცა უყვარს, თავისთავად კარგია, ისევე, როგორც კარგია, რომ ამქვეყნად ცუდად ინფორმირებული პესიმისტები, ოდნავ გონებაჩამორჩენილი მეოცნებები და თვალებანთებული რელიგიური ფანატიკოსები არსებობენ – თუნდაც მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხვა, სიყვარული ღმერთივითაა – თუ მისი არსებობისა გნამს, არსებობს, თუ არადა – არა. როგორც ჩანს, ვენაში სიყვარულის არსებობაში ეჭვი ნაკლებად ეპარებათ, ვიდრე ჩვენს დედაქალაქში. ყოველ შემთხვევაში, ჩემი გულის გასახარად, ყოველ კუთხეში, ყოველ მოედანზე, ყოველ ყავახანაში და, – რაც განსაკუთრებით მეამა, – თითქმის ყველა სახლში, რომელშიც სტუმრობა მომიწია,

**სიყვარული ლეირთივითაა – თუ მისი  
არსებობისა გნამს, არსებობს, თუ  
არადა – არა.**

ორი ადამიანი ერთმანეთს ეხვევა, კოცნის და ძალიან ბედნიერია, რომ ასეთი შესანიშნავი ქალი ან კაცი მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, იმედია, სამუდამოდ, მაგრამ თუნდაც დროებით – მაინც.

ერთად ვართ! რა კარგია! მათთვისაც და ჩემთვისაც. სხვა თუ არაფერი, ერთმანეთს ეპრანქებიან და ამიტომ მეც მხოლოდ სიხარულს მიზიარებენ. და მხოლოდ მაშინ, როცა ვენის თავზე განსაკუთრებით საძაგელი მაღალი ნისლი წვება, შეყვარებული წყვილების შემყურეს, პეტერ ჰანდკეს ლექსი მახსენდება ხოლმე, „რამდენიმე ალტერნატივა ირიბ ნათქვა-მში“ – ჩემი საკუთარი სავალალო თარგმანი:

**„ქცევა სიტყვების ერთგვარი ალტერნატივაა,  
ისევე, როგორც მე ვარ მისი ალტერნატივა,  
ან როგორც ჩვენ ვართ დამცირების ალტერნატივა,  
ან როგორც შენ ხარ ცარიელი ბინის ალტერნატივა...“**

მე კი ვენაში ჩემს დიდ სიყვარულს შევხვდი – უფრო სწორად, მიერთოდი, რომ მასზე ძვირფასი არავინ მყავს და არავინ შემხვდება. ეს მე ვარ, თუ მეა – როგორ უნდა ვთქვა? მოკლედ: ანა კორძაია-სამადაშვილი. ვიცი: მასზე მეტად არავის ვეყვარები და მეც არავინ მეყვარება.

ამას მგონი „მულტიპერსონის სინდრომი“ ჰქვია, არა?

WALK TOGETHER  
ROCK TOGETHER

erci

mo



## და ბოლოს – საყვარელი აუგუსტინი

ოდესლაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, ქალაქ ვენის ყველაზე ხალხმრავალ დუქებსა და ლუდგარდებში გუდასტვირზე ერთი კაცი უკრავდა ხოლმე, სახელად აუგუსტინი. ძალიან მხიარული კაცი იყო, ცეკვა-თამაშიც უყვარდა და ღვინის სმაც – ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ყვებიან, მეტისმეტი მოსდიოდაო, მაგრამ, მეორეს მხრივ, არც არაფერს აშავებდა: არასოდეს უჩეუბია და არც აყალმაყალი აუტეხავს, უფრო თუ დაბერავდა ლოყებს და უფრო მონდომებით თუ ჩაბერავდა თავის გუდასტვირს...

დახლიდარები აუგუსტინს სიხარულით ეგებებოდნენ, რადგან ზუსტად იცოდნენ: იქ, სადაც აუგუსტინი უკრავდა, ბევრი ღვინო ისმეოდა, ბევრი ლამაზი გოგო იკრიბებოდა და, შესაბამისად, შემოსავალიც მეტი იყო. ხალხმა კი აუგუსტინს საყვარელი აუგუსტინი დაარქვა – მართლა ძალიან უყვარდათ.

მაგრამ დადგა საშინელი 1679 წელი და ვენაში შავი ჭირი გაჩნდა. აღარავინ მღეროდა, ქუჩებში მხოლოდ ტირილი და გოდება ისმოდა: ვიღაც მოკვდა, ვიღაც კვდება... სამასი სახლი ჩარაზეს, ლაზარეთები გაივსო, ოდესლაც მხიარულ დუქებსა და ბალებშიც მომაკვდავები კვნესოდნენ, და მიცვალებულის დამარხვასაც ვეღარავინ ახერხებდა: დააგდებდნენ ურემზე და მერე ცხედრებით სავსე ორმოებში ყრიდნენ. ასეთი ბედი ეწია საყვარელ აუგუსტინსაც – მისი უსულო სხეული კაიზერის კოშკა და წმინდა ულრიხის ტაძარს შორის, ქუჩაში იპოვეს და სხვა ჭირისგან დახოცილებთან ერთად ჩააგდეს ორმოში.

დაზაფრულ ქალაქს თითქოს აღარავისთვის ეცხელა, მაგრამ მუსიკოსის გარდაცვალების ამპავმა ყველა მაინც საშინლად დაადარდიანა. ჩამკვდარ ქუჩებში სიმღერა გაისმა, ძალიან სევდიანი – ასე დაემშვიდობა ვენა თავის საყვარელ აუგუსტინს:

„ო, საყვარელო აუგუსტინ, აუგუსტინ, აუგუსტინ,

ყველაფერმა ჩაიარა, ყველაფერი დამთავრდა“.

მაგრამ არაფერი დამთავრებულა! ორმოში ჩაგდებულმა აუგუსტინმა, რომელიც მკვდარი კი არა, ძალიან მთვრალი ყოფილა და ამიტომ მკვდარივით დასძინებოდა, დილით აღმოაჩინა, რომ ფრიად უსიამოვნო ადგილას გაუთენებია ღამე. ის რის ვაი-ვაგლახით ამოძერა საზიზლარი ორმოდან, გადაიკიდა თავისი გუდასტვირი და ქალაქში დაბრუნდა, სტვენა-სტვენითა და სიმღერ-სიმღერით.

როგორ გაუხარდათ ვენელებს! საყვარელი აუგუსტინი დაბრუნდა! მაშ, არაფერი დამთავრებულა! ჩვენც გადავრჩებით!

თუ ოცნებების და ზღაპრების გჯერათ და ღამით სიარულს არ დაიზარებთ, დღესაც შეხვდებით ვენის ძველ ქუჩებში საყვარელ აუგუსტინს, რომელიც თქვენთვის – მხოლოდ თქვენთვის დაუკრავს თავის გუდასტვირზე.

[



ნომერი: 636836 330603322  
ილუსტრაცია: გიორგი სამიშვილი



აი, რა კაია, ფანჯარა რომ ჩაუმტვრევია ვიღაცას! მართალია ზამთარია, მაგრამ ამჯერად სასიამოვნოდ მიბერავს, თმა ფორმას იცვლის და საერთოდ, ამ სიცივეს თან რაღაც ჯანსაღი ახლავს. რა სახე გაქვთ, ქალბატონო?! არ მოგწონთ ცივი ჰაერის მასები? თუ ჩემი ყურსასმენიდან გამოპარული ხმაური გაწუხებთ? იქნებ ქმარმა მიგატოვათ ამ რამდენიმე წლის წინ?! ეგეც თქვენი ბრალი იქნება. რა, არა? სახეზე გეტყობათ, რომ გვერდით მწოლიარესთვის ერთხელაც არ აგინძვიათ სუნთქვა; არ გიკოცნიათ ქვედა ტუჩზე რბილად. დარწმუნებული ვარ, გყავთ ერთი ვაჟი, რომელსაც ცხოვრება გაუმწარეთ: პროფესიაც თქვენ აურჩიეთ და ყველა შეყვარებული დაუწუნეთ. თქვენი ვაჟი სიმპათიური იქნება, ალბათ გგავთ. თქვენი მამაკაცური ვერსია უფრო საინტერესო მგონია. ის, სადღაც, 27 წლის იქნება, უცოლო. ალბათ, თქვენი ყოფილი მეუღლის მეგობრის ქარხანაში მუშაობს. ყოველდღე დაღლილი ბრუნდება შინ და ისიც კი არ იცის, რა მუსიკას მოუსმინოს განსატვირთად. იცით რატომ? თქვენ ყველაფერზე ეჭვიანობდით. კი. ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოყოლებული. თავიდან მეზობლის ბავშვები შეაძულეთ, მერე სკოლის და კერძო მასწავლებლები. მუსიკა და თეატრიც, – ფავორიტი რომ არ ჰყოლოდა. მერე ისე, რომ დღემდე ვერც კი ხვდებით, თქვენც შეძულდით და ახლა მისი სამომავლო გეგემები მხოლოდ თქვენი გარდაცვალების შემდეგ გახდება ასრულებადი. რა ცუდია, რომ ასე მოხდა.




რა მზერა გაქვთ? რაღაც საშინელი! არც ჩემი ჩანთა მოგწონთ? ასე რომ გაგიშტერდათ თვალი, – ალბათ, ყველაზე მეტად მარიხუანას ფოთოლი გალიზიანებთ. დიახ, ყოფილი ნარკომანი ვარ. ჰაშიშს ვანიჭებდი უპირატესობას, მიყვარდა “შივას ცრემლები”... მაგრამ ნიჭიერი ვარ, უარყოფითად არ იმოქმედა. პირიქით, ბევრი რამ ვისწავლე. ვისწავლე ის, რომ დრო არ უნდა დავკარგო და ნებისმიერ უინტერესო სიტუაციაში ყველაფერი ჩემდა სასიკეთოდ გამოვიყენო. აი, როგორც დღეს ხდება: ვზივარ სამარშრუტო ტაქსში. აქ ჩემი ტოლი არავინაა. ზამთარია. ფანჯარა ჩატეხილია და ჩემს სამწვერა ნერვს აღიზიანებს. სურნელი კი, რომელსაც მგონი მივეჩვიე, მაინც არ გააქვს ცივი ჰაერის მასებს. მაგრამ, ქალბატონო, მე რომ გარემო პირობით ცნებად არ გამეაზრებინა, აქამდეც ვერ მოვალნევდი. მე რომ ამ მანძილებში ჩემი ცხოვრება და სამომავლო მიზნები არ დამეგეგმა, გულისრევით, დროზე ადრე ჩავიდოდი ამ “მსუქანი ტაქსიდან”, სადაც თქვენ ერთ კი არა, სკამნახევარს იკავებთ – ჩემს ნახევარს. ყური მოდებული გაქვთ ჩემს დიდ ყურსასმენზე და ამ ხმაურის არაფერი გაგეგებათ. არა, ქალბატონო! ეს ხმაური კი არა (თქვენ თვითონ ხმაურობთ ხოლმე დილიდან ღამემდე, სამოთახიან ჩეხურად დაგეგმარებულ ბინაში და მოსვენებას არ აძლევთ თქვენს ვაჟს), – ახალი დროის ბნელ საშოში დაბადებული ბგერებია, “იაგუარის” სისწრაფის – მუხრუჭის გარეშე. ეს მშვენიერზე ზომიერად კონცენტრირებული მელოდიებია. ეს ელექტრონულ მესიერებაში ერთ ფაილად შენახული ჩვენი დიდი იმედები, ჩვენი გულისცემაა.

მაგრამ თქვენ მაინც სასტიკად მიმზერთ. ღამენათევი, ნამთვრალევი და ჯვარდაუნერელი გგონივართ. სინამდვილეში კი ეს თანამედროვე კოსმეტიკაა, თვალთან ჩრდილს გიკეთებს, რომ მზერა უფრო გამოკვეთილი იყოს და ამ დიდ ქუჩებში ჩვენ ერთმანეთი ვიცხოთ.


ეს რა შეგიძენიათ, ქალბატონო?! ამხელა ვაუისთვის ისევ თქვენ ყიდულობთ ტანისამოსას? ნუ გამაგიუეთ! ყვავილოვანი კომბოსტოც შეაუვარეთ, არა? ორი თავი გიყიდიათ. ზღვის ცხენიც გეყოლებათ სახლში, რაღაც ასეთი ესთეტიკის დიზაინს ვხედავ თქვენს ბინაში. ისე, ხომ არ გამოგელაპარაკოთ ნეტა? არა. თქვენ ახლა კლიმაქსი გაქვთ და მოსაუბრეც აუტანელი იქნებით. თავს ცუდად გრძნობთ, მაგრამ არც იმ წამლებს ენდობით, თანამედროვე მედიცინა რომ გთავაზობთ. არ გჯერათ რეკლამების. იცით, რამხელა შრომაა იმ რგოლის დამზადება, ერთ წუთში რომ ქრება ეკრანიდან? უზარმაზარი!

ლიკტენსტად, დროუ ლცე, ინცლი დარღვე . დრეფლიცინცინგ შეიღებ, ქცევან  
· ბრილერიც ცხმელეც, ლიკტენსტად ინცლი ტაქტეფები ნი დ  
ანცემ თურთ ქ- ლ . იწდო თავი რეაგირებ ჯაჭნონცემ ძნირს დარღვე შეწყით



## რელოტებთ ქმნი და თრცერიციგებუ ინზეგ , მცნობელებ ქართულების ლიკტენსტად

ძალიან მაინტერესებს, სად ჩახვალთ, სად ცხოვრობთ. მაგრამ გული მიგრძნობს, ჩემი “სადგური” უფრო ახლოა და მე ამ სიამოვნებას დავაკლდები. ახლა ჩემმა მობილურმა რომ დარეკოს, სულ გადაირევით – პა, რა, რა რა...KILL BILL ნანახი გაქვთ? რატომ ჩაგეცინათ? გაიგეთ რაც გავიფიქრე? თქვენს ვაჟს მობილური რომ არ ჰქონდეს, ძალიან გამიკვირდება. ალბათ დღეში, სულ ცოტა, თხუთმეტჯერ ურეკავთ და იმ საცოდავსაც, დღეში თხუთმეტჯერ, ეკრანზე ეწერება: DEDA. თქვენ ალბათ ჩემმა სუნამომაც აგატკივათ თავი. UNGARO-ს ბოლო სუნამოა. ახალს გამოუშვებს და ძველს მამიდაჩემს ვაჩუქებ, თუ მომრჩა იქამდე. ასე ვცხოვრობთ ქალაქში,



რომელიც თვალსა და ხელს შუა ისე შეიცვალა, რომ ლამის არის სახლს ვეღარ მიაგნოთ. ცუდად ხომ არ ხართ, ქალბატონო? აი, აფთიაქი. აფთიაქები იშვიათად იცვლიან მისამართებს, თითქმის არ იცვლიან.


მე რომ თქვენს ადგილას ვყოფილიყავი, სულ სხვანაირად ვიცხოვრებდი. რატომ გეზარებათ ყველაფერი და რატომ გეშინიათ ექსპერიმენტების. არა? როგორ არა! აბა რას მომშტერებიხართ? მე ხომ საღეჭ რეზინას არ ვატკაცუნებ თქვენი ყურის შორიახლოს, არც თამბაქოს სურნელი ამდის; არც ჟან-პოლ გოტიეს უზრუნია ჩემს ჩაცმულობაზე. აბა, რა მოგხვდათ თვალში? შეიძლება ახალგაზრდა ელექტრონული მუსიკის მოსმენისთვის შეიძულო? დაფიქრდით, ქალბატონო! თქვენ ახლა ცოდვას ჩადიხართ. მიცნობთ? გიცნობთ? არც მინდა ოდესმე გაგიცნოთ. ნეტა აღარ შემხვდეთ და სამუდამოდ დაგივიწყოთ, მაგრამ არა, ამის შემდეგ ყველგან, სადაც ყვავილოვან კომბოსტოს მოვკრავ თვალს, თქვენ გამახსენდებით, სასტიკი და




დაუნდობელი მზერით – თითქოს თქვენი სარძლო, ტოლი ან სწორი ვიყო. მე, აი ახლა, ძალიან მალე ჩავალ, ორ პარალელურ ქუჩას გადავკვეთ, გზაში დაგივიწყებთ და ჩემს თანატოლებში ავირევი. ხვალ სხვადასხვა ორგანიზაციას ახალ იდეებს მივყიდი, რომ ბევრი ფული ვიშოვო, „იაგუარი“ ვიყიდო, ავტომუხრუჭის გარეშე და არასოდეს მომიწიოს თქვენს გვერდით მგზავრობა.

აი, ხედავთ, ჩავდივარ, ფულს ვიხდი და თქვენი მზერა დაუინებული ხდება. წვრილი ტუჩები ბრაზს ვერ მალავენ. თქვენ საკუთარ თავზე გაბრაზდით, მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი ამ დროის მანძილზე, ერთხელაც არ გამოგხედეთ და თავხედურად არ გკითხეთ: – რას მიყურებთ ყბადალებული, ფაქტიური სიმშვიდით და ორგანიზებული გულგრილობით სავსე? მე თქვენ არ გიცნობთ, ქალბატონო!

2005 მარტი



გალუაზი  
თავსუფლება მუდავ  
**GAULOISES**  
*LIBERTÉ TOUJOURS*



გალუაზი

ჯაფრაცვის სამინისტრო გაფრთხებულთ:  
მოწევა მავრებელია თქვენი ჯამრთალობისათვის.  
პასუხი მოწევა საშიშია ჯამრთალობისათვის.



ავტორი: ნესტან კვინიკაძე  
ფოტო: დავით მესხი

ჯაზი



მეორე გიგანტი არის



„სექსი ძალიან ჰგავს ჯაზს, – ვგულისხმობთ ულევ შესაძლებლობებს, იმპროვიზაციას; როცა რეალურად არ იცი, თუ სად არის კულმინაცია. და კიდევ, ასეთი სახით ის აღარას-დროს განმეორდება.

საუბარია იმ დინამიკაზე, იმპულსზე და ენერგიაზე, რაც ერთი შეხედვით გაფიქრებინებს, თოთქოს დროდადრო ტემპი იზრდება, მაგრამ ეს ასე არ არის. სინამდვილეში, დროის ამ მონაკვეთში, ფანტაზია დაუკერებელ შესაძლებლობებს აღწევს. ჯერ ახალი ორლეანიდან მისისიპის გაყოლებით გაცურავს სანაოსნო წვეულება, შემდეგ კედელზე გაკრულ თეთრ ზენარზე ძველ მეჯლისს უჩვენებენ.

„ჯაზი ყველგანაა, ღმერთივით“, ისევე როგორც სექსი. თურმე ადრე ჯაზის დაკვრისთვის საკმარისი იყო ძლიერი ექსტაზი და ჯაზის სიყვარული. დღეს აღარ, რადგან განვითარდა და მხოლოდ იმიტომ არ ამონურა თავისი შესაძლებლობები, რომ მისი არსი შესრულებაშია.

სექსმიც იგივეა. სიყვარულის და ექსტაზის გარდა, ხომ არის კიდევ რაღაც, მეტაფიზიკური ბოდვა თუ აღვირახსნილი სწრაფვა, – სწრაფვა იმ ერთადერთი მიზნისთვის, რასაც სიამოვნება ჰქვია.

და რაც უფრო უადგილო და უდროოა ის მთავარი, მით უფრო ეფექტურია, ისევე როგორც იუმორი.

არტისტული ნევროზი თუ შიზოფრენია? არც ერთი. უფრო კი ადამიანური სისუსტე.

ჯაზი ბევრად ადრე არსებობდა, ვიდრე აფრიკელები დოლებს დედას და მამას ეძახდნენ. უბრალოდ, იყო ერთი პირობა: ჯაზი აუცილებლად მეოცე საუკუნეში უნდა მოდებოდა მსოფლიოს. უფრო მეტიც, წლებიც გათვლილი იყო და დღეებიც. ამიტომ ამერიკის ერთი ბოლოდან მეორეში, გაგრილებამდე ატარეს ჯაზი.

რატომ ულიმინა ერთმანეთს ჯაზ-მუსიკოსები კომპოზიციის შესრულებისას? ისინი იმპროვიზაციის გენიალურობას მოჰყავს გაოცებაში და ღიმილით იმ წამს აფიქსირებენ, რომელიც აღარ განმეორდება, ისევე როგორც სექსში“.

ნესტან კვინიკაძე  
„ისპაპანის ბულბულები“ (გვ.69-70)  
2004 (რომანი)



ამის მეტი ლირიული გადახვევა არ იქნება. თან, არც მინდა ჯაზით აღფრთოვანებული ვიყო. როგორც ულტრათანა-მედროვეობის წარმომადგენელს, სულ სხვა გეგმები მაქვს. ეს ტექსტი, შესაძლოა, წინა საჯაზფესტივალო განწყობის იყოს. მოკლედ, მინდა გიამბოთ, თუ როგორ დაიჯერეს ჯაზ-ლეგენდებმა, რომ საქართველოშიც შეიძლება კონცერტების ჩატარება; რომ „აქაც ისევე სურთ კარგი მუსიკის მოსმენა, როგორც ნიუ იორქში ან ბარსელონაში“; რომ არსებობს ქვეყანა, სადაც როგორც ერთ დღეს CNN-მა აღნიშნა, თვიური ხელფასი სამი ლარია. მაგრამ რეი ჩარლზის კონცერტზე ორიათასკაციანი დარბაზი სავსე იყო, ბილეთი კი 100 დოლარი ღირდა. ზოგმა ოქროს ნივთები გაყიდა და ბილეთი ისე შეიძინა; ზოგიც, შესაძლოა, დღემდე იმდონინდელ ვალს ისტუმრებს. ასე იცის ჯაზის სიყვარულმა. ვერც მიხვდები, სად ამოხეთქავს. აი, როგორც ახლა ხდება, აქ, ამ პრიალა ფურცლებზე.

### ერთი სიზყვით, TAKE SIX

სანდრო ბითაძე – „ისთერნ პრომოუშენის“ ტექნიკური დირექტორი (ტექნიკური რაიდერი)  
 კახა კანდელაკი – მარკეტინგი (რეკლამა)  
 მიშა გიორგაძე – ერთ-ერთი დამფუძნებელი (საგარეო ურთიერთობები)  
 დათო მენაბდე – ფინანსები  
 ეკა კუპრეიშვილი – P.R. (დიასახლისი)  
 გიორგი კერესელიძე – კომერციული დირექტორი (MR. კომფორტი)

### დო – ჯაზთან ზიარება

იმ დროს საზღვარგარეთ მხოლოდ მსახიობები, მომღერლები და სპორტსმენები დადიოდნენ. იყო წყალბურთელთა ნაკრებიც – „თბილისის დინამო“ და იყვნენ ბიჭები, რომლებიც ვარჯიშის დასრულების შემდეგ, კარგ მუსიკას უსმენდნენ.

კახა კანდელაკი: „1979 წლიდან დაწყებული, როცა პირველად ბი-ბი ქინგი ჩამოვიდა, მამაჩემი – გაიოზ კანდელაკი ფილარმონიის დირექტორი იყო. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში რამდენიმე დიდი პროექტი განხორციელდა: პირველი როკ-ფესტივალი; პირველი ჯაზ-ფესტივალი. პატარა რომ ვიყავი, იშვიათი ფირფიტების დიდი კოლექცია გვქონდა. ტანსაცმელი არ მიყიდია. პირველ რიგში, დისკს ვაგროვებდით, მეც და მამაჩემიც. ვარჯიშისგან დაღლილს, მუსიკის მოსმენა მეხმარებოდა. გუნდშიც ასეთი სიტუაცია იყო. 1988-89 წლებია. „ნაკლეიკას“ რომ ჩამოიტანდი, იმაზე ტყდებოდა ერთი ამბავი. ხან იმაზე მოგდებდნენ შარს, რომ მანქანას საჭე მარჯვნივ ჰქონდა! და მიდიოდა დიდი გარჩევა. ჩაკეტილი ქვეყანა იყო და, შესაბამისად, სხვანაირად აღიქვამდი ყველაფერს. ჩვენ მაილს დევისს, *Weather Report*-ს ვუსმენდით. მაგნიტოფონი თან დაგვექონდა, ბენსონზე და *Earth Wind and Fire*-ზე ვცეკვავდით. ეს სტილი „დინამო თბილისის“ მუსიკად იქცა, სადაც ბავშვობის მეგობრები ვთამაშობდით.



გაიოზ კალელაკი, პიტ საიმონ ბელი, კახა კალელაკი 1989 წელი.



ართ პლაიი და ჯაზხასენარს 1989 წელი.



სტივ უალესი და კართველები. ვარშავა 1989 წელი.





ართ პლაიბ. 1989 წელი.

ჩვენ 6 წლის ასაკიდან ერთად მოვდი-  
ვართ“.

ვიღაცაზე რომ შეიტყობდნენ, რეი ჩარლზის კონცერტზე ნამყოფიო, ის უკვე სერიოზულ პიროვნებად ითვლებოდა. მოხდა ისე, რომ გერმანიაში შეჯიბრზე ყოფნას ფრენკ სინატრას კონცერტი ემთხვეოდა. ხუთ კაცს სულ 700 მარკა ჰქონდა. ხელფასი ორი კვირის შემდეგ უნდა აეღოთ, ეს კი საჭმლის ფულად ეკმარათ. სინატრას კონცერტის ბილეთი 650 მარკა ღირდა. ბიჭებ- ბმა კახა კანდელაკს ოცნება აუსრუ-

ლეს – ბილეთი უყიდეს. სამაგიეროდ, მთელი შემდეგი პერიოდი „ჩარლი ჩა-პლინის მსგავსად, თასმებს ხარშავდნენ“. მაგრამ ღირდა. ეს ფრენკ სინატრას საბოლოო კონცერტი აღმოჩნდა! მოკლედ, უცხოეთში გატარებული დრო ცოცხალ კონცერტებთან ასოცირდება, მასეო პარკერი იქნება ეს თუ U2. „გა- მუდმებით იყო ერთი განცდა: ნეტავი ჩვენები აქ იყვნენ, ნეტავი ეს მომლე- რალი საქართველოში ჩაგვაყვანინა“. ეს ოცნებას ჰგავდა. მაგრამ თურმე ისევე ექვემდებარებოდა ასრულებას, როგორც კახა კანდელაკის ბავშვური ინტერესი, როცა ფირფიტებზე მოსმე- ნილი ცოცხალი შესრულებისას, ტაშის გაგონებაზე ფიქრობდა, ნეტავი იქ რა ხდებაო?!

1989 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირში პირველი საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი თბილისში ჩატარდა. ამერიკიდან 12 ჯგუფი ჩამოვიდა: ართ ბლეიკი, ფრედი ჰუბარდის კვინტეტი... მთელი ქალაქი მოგროვდა. ფილარმო- ნის დარბაზი გადაჭედილი იყო. მაშინ ჩატერული რეისი იყო თბილისი – ვარშავა. მუსიკოსები ვარშავაში იკრი- ბებოდნენ. იქ „ენთუზიასტები“ ხვდე- ბოდნენ ცარიელი თვითმტფრინავით და თბილისში მოჰყავდათ. ვინ იხდიდა ფულს? რატომ იხდიდა? – არავინ იცის. მაშინ ბიზნესი და ფულის ამოღება არ იყო აქტუალური. ის ათი დღე დღემდე ახსოვთ: ლამე არ ეძინათ. ჯემსეიშენე- ბი... მოკლედ, ნამდვილი ჩიკაგო. გარშე- მო მიტინგები, მაგრამ ჯაზ-ფესტივალს

ეს არ ეხებოდა, – უნდა ჩატარებული- ყო. ამის აუცილებლობა არსებობდა, თუნდაც იმის დასამტკიცებლად, რომ ფასეულობები ისევ ღირებულია. თბი- ლისს დახვეწილი გემოვნება ჰქონდა. ეს წრე ომის შემდეგ განყდა და ერთ დროს „ენთუზიასტები“, დღეს კი „ის- თერნ პრომოუშენი“, ამის აღდგენას ცდილობს.

## რე – გამოცდილება + პირველი ნაბიჯები

აქ ომი დაიწყო. იქ (გერმანიაში) კონ- ტრაქტი დამთავრდა. საქმე არ ჩანდა. არეულობა. თბილისში ერთადერთი, კოკა-კოლას ქარხანა იყო. მათ გაუ- მართლათ: „კოკა-კოლაში“ მოენყვნენ, სადაც მარკეტინგული ბიუჯეტი არსე- ბოდდა. პირველი რეკლამა: ქოლგები, ბილბორდები. აქ გამოცდილება და- აგროვეს. წითელი მაცივრები გარეთ რომ გამოიტანეს, მთელი ქალაქი ამაზე ალაპარაკდა. მერე ტროლეიბუსები გა- დაღებეს. მერე იყო – „რა დროს მა- ქდონალდსია, ხინკალი განყდება!“... და ასე შემდეგ!

იქ უკვე სამუალება გაჩნდა, რომ თავიანთი იდეების განხორციელებაზე ეფიქრათ. და უეცრად, რეი ჩარლზის ჩამოყვანის შანსი! „კოკა-კოლას“ დაყო- ლიების შემთხვევაში, ზაზა შენგელიამ „ენთუზიასტებს“ რეალური დახმარე- ბა ალუთქა. იმ დამეს არავის ეძინა. დაიწყო მიმოწერა. ინფორმაციისთვის ადრე ჩატარებული ჯაზ-ფესტივალი

რე ჩარლზი. 1996



კენ ჩარლზი. 2003



კორჯ ლიუკი. 2004



გამოიყენეს. მთავრობის გარანტიები სჭირდებოდათ. 1996 წელი იყო.

„ეს დაუჯერებელი გვეჩერებოდა. სანამ კარი არ გაიღო და 38-კაციან ბენდთან ერთად არ გადმოვიდა, ვერ დავიჯერეთ. აეროპორტში კი სრული ქაოსი იყო: არავითარი საზღვრის კონტროლი, არც დაცვა! სამ ლარს იხდიდი და რაც მოგესურვებოდა, იმას იზამდი. მუსიკოსს სამი ათასი კაცი დახვდა. მანქანები თვითმფრინავის ფრთხის ქვეშ ჩერდებოდა, იყო გადაძახილები. მენეჯერი ჯო ადამისი – ყველაზე მეტრი მენეჯერი – გაოგნებას ვერ ფარავდა. კიდევ კარგი, რეი ამ ყველაფერს ვერ ხედავდა. მუსიკოსი სათანადო დონეზე მიიღეს. მაშინ ძვირი ღირდა ბილეთი, მაგრამ ხალხი გაყიდული ოქროს ნივთების ფასად, 8 გრემის მფლობელი ლეგენდის სანახავად მოვიდა“.

ერთ მხარეს იყო სურვილი და ახლად ფეხადგმული საქართველო; მეორე მხარეს კი – კონტრაქტი, რომელიც კრიზისში მყოფი ქვეყნისაგან დაუჯერებელ მოთხოვნებს აყენებდა.

ხელშეკრულებას ყოველთვის თან ერთვის ტექნიკური მოთხოვნა, „ტექნიკური რაიდერი“, სადაც დათქმულია: დრო, თარიღი, გადახდის ფორმა, ვადები, ხანგრძლივობა, თბილისში ჩამოფრენის და გაფრენის დრო, სცენის განლაგება. ზოგიერთი ვარსკვლავი, საერთოდ, ლიმუზინით დახვედრას ითხოვს. ასევე გასათვალისწინებელია მიკრო ავტობუსი; სატვირთო მანქანა, – იმ შემთხვევაში თუ სპეციალური მონკობილობა, ინსტრუმენტები და სხვა

რამ ჩამოაქვთ; კიდევ – ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო. ზოგს პირადი დაცვა სჭირდება, ზოგი, საერთოდ, ხელშეკრულებაში მიუთითებს, რამდენჯერ უნდა ასადილო; ხან ებრაელი გაერევა ჯაფუში და ქაშერის ითხოვს, ხან ვეგეტარიანელს სურს შესაბამისი საკვები. ღვინო რომელი? ლუდი? ბრენდისთან ერთად ადგილობრივ ლუდსაც ხომ არ მიირთმევთ? Manhattan Transfer-მა ვერცხლის დანა-ჩანგალი და გაუხსნელი ფაიფურის თევზები მოითხოვა. პარაქტიულად, მენიუ შედგენილია.

რამდენი საგრიმიორო ოთახი გნებავთ? ერთი დიდი სარკე? კედელზე დამონტაჟუბული ოცი და ორი დასადგამი საკიდი? ფენი? მაგალითად, ჯეიმს ბრაუნს თავშესაყოფი ფენი სურდა. თან, არც საგრიმიოროს ტემპერატურა უნდა დაივიწყო.

მუსიკოსებს ხმის რეჟისორი ყოველთვის თან მოჰყვება. ის, ფაქტობრივად, ჯაფუშის წევრია. ხშირ შემთხვევაში, განათების დიზაინერიც ჩამოჰყავთ. ალარაფერს ვიტყვით დასარტყამი ინსტრუმენტების ზომებზე, სცენის განყობაზე და რაც მთავარია – „სთეიჯ ფლოტი“.

ჯაზის ხათრით, ეს ყველაფერი დაძლეულ იქნა.

მაშინ „აგუტინებს“ მიჰქონდა ყველაფერი და, მოულოდნელად, ერთმანეთს მიჰყვა: მასეო პარკერი, Manhattan Transfer, ჯეიმს ბრაუნი, პირველი ჰიპ-ჰოპ ფესტივალი, ქულიო, ჯო ზავინული და კიდევ მრავალი სხვა. ქულები ჩანერილია! ყველამ იცის, სად არის საქართველო და იციან, რომ ამ კონცერ-



თანა აარია. 2002 წლი.

ტებს საუკეთესო მსმენელი ესწრება. თბილის უკვე იცნობდნენ და მასზე სიყვარულით ჰყვებოდნენ. ჯაზმენებს თურმე ევროპის ორ ქვეყანაში ჩასვლა უყვართ – საქართველოში და ტალინში. გიუდებიან... ამ ხალხმა ხომ შესანიშნავი დახვედრა იცის. მოსწონთ, რომ ახალგაზრდები ესწრებიან კონცერტებს. 40 პროცენტი მართლაც ახალგაზრდები არიან. ელ ჯერო ტიროდა, როცა 11-12 წლის ბავშვები ხელით ეხებოდნენ. ჯორჯ დიუკმა თქვა, ახალგაზრდებმა ისეთი ამბავი გამართეს, თავი ბრითნი

ეს აარი. 2002



დანა როსტონი. 2003



*INTERJAZZ Tbilisi 1989  
FREDDIE HUBBARD  
QUINTET*





პეის ბრაუნი. 1999 წლი.

სპირსი მეგონა. ჩემს კოლეგებს რეკო-  
მენდაციას ვაძლევ, თბილისში ჩასვლის  
შანსი ხელიდან არ გაუშვანო.

ჩვენში დახვენილ კულტურას ხედა-  
ვენ. მაგალითად, ჯონ მაკლაფინს სხვა-  
დასხვა ქვეყანაში გასტროლების შე-  
სახებ დაწვრილებით ეკითხებოდნენ.  
იქ ჯაზმენებს ასე არ ხვდებიან, მაიკლ  
ჯექსონზე კივიან. ჯაზი ელიტური მუ-  
სიკა გახდა. სუპერმარკეტებში ჯექსო-  
ნია ჩართული, „კარტიესა“ და „როლს  
როისის“ მაღაზიაში ელა ფიცჟერალდს,  
მაილს დევისს ან ბილი ჰოლიდეის უს-  
მენენ.

„ჩვენთან ჯაზი ისეა, როგორც იქ  
პოპ მუსიკა. დღენახევრით ჩამოსუ-

ლები იმდენ კარგს ხედავენ, ჰგონიათ,  
მთელი ქვეყანა ასეთია. ერთ-ერთ ფეს-  
ტივალზე, სტუმრებმა ქალაქში გავრ-  
ცელებულ ბილბორდებს რომ მოჰკრეს  
თვალი, გაოგნება ვერ დაფარეს, გატა-  
ცებული ბიზნესმენების ფოტოები და  
ნარჩერა: KIDNAPPED შენიშვნეს. ეს რა  
ხდება, თქვენთან ხალხს იტაცებენ?  
შემინდნენ. მასპინძლებმა უპასუხეს,  
რას ამბობთ, ეს ახალი დეტექტიური  
სერიალის რეკლამაა, მალე გამოდის  
და მთელი ქალაქი ამას უცდისო. ისე  
დაინტერესდნენ, დღემდე ელოდებიან  
კასეტებს.


უკან დაბრუნებულები, ჭორებს და  
ინფორმაციას ცვლიან. ხმა ადვილად

ვრცელდება, რადგან სხვადასხვა ჯგუ-  
ფებში უკრავენ. იმას ჰყვებიან, რაც გა-  
ნიცადეს.

„გვყავს მაყურებელი, რომელიც ხა-  
რისხიან მუსიკას ირჩევს. დარბაზის  
განწყობას მუსიკოსები შესანიშნავად  
გრძნობენ. როგორც წესი, კონტრაქტში  
მითითებულია კონცერტის ხანგრძლი-  
ვობა. იმ შემთხვევაში კი, თუ მუსიკოსსა  
და დარბაზს შორის ემოციური მუხტი  
დამყარდა, მუსიკოსი დაგეგმილ დროს  
გადააცილებს. ჩვენს შემთხვევაში, გა-  
მონაკლისის გარეშე, სულ ირლვევა  
პირობა და აღფრთოვანებული ჯაზმე-  
ნები დროს ხშირად აჭარბებენ ხოლმე.  
თავიდან კონცერტებზე 300–400 კაცი  
იჯდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე უკვე  
ის ნდობა დავიმსახურეთ, რომ რადგან  
ესა თუ ის მუსიკოსი ჩამოგვყავს, კონ-  
ცერტზე დასწრება ლირს. საჩვენებელი  
მაგალითი საქსოფონისტი კენი გარეტი  
იყო. მისი შემოქმედების შესახებ ბევრ-  
მა არ იცოდა და არც ისე მსუბუქი მუ-  
სიკის მიუხედავად, დარბაზი ემოციით  
სავსე იყო და აღფრთოვანებას ვერ ფა-  
რავდა“.

ევროპის ტურნეებისა და უკვე ნამ-  
ყოფი ვარსკვლავების სიის წყალბით,  
დღეს მათი მოწვევებს პრობლემა არ  
არსებობს. არის გამოხმაურება, რომ  
ჩამოსვლა სურთ, რაც ბევრს ნიშნავს.  
„ახლაც, რამდენიმე დღის წინ, ლოს  
ანჯელესში მცხოვრებ ჩვენს მეგო-  
ბარს, სერგი ნაკაიძეს ველაპარაკე. ჩიკ  
კორეას კონცერტზე ვიყავი და ყველა  
ჯაზმენი თბილისზე ლაპარაკობდათ.“

„სულ რისკზე მივდიოდით: ხან ბებია-  
ჩემის სახლი იყო ჩადებული, ხან „MS



მაილ ფრანსი. 2004



პრის ბოტი და მონა გაფრინდაშვილი. 2004

ლაითის“ აპარატურა. ხშირ შემთხვევაში ვაგებდით, მაგრამ აზარტის ამბავია, სპორტსმენები ვართ და როცა აგებ, ყველაფერს აკეთებ მოგებისთვის, ეს სისხლში გვაქვს. მაიკლ ფრენქსი სამი წელი ჩამოგვყავდა. გეგმები სულ იშლებოდა, მაგრამ არ მოვეშვით და ბოლოს მაინც ჩამოვიყვანეთ.

ჩვენი ქვეყანა ყველაფრისგან შორს არის. ამერიკიდან პირდაპირ არავინ ჩამოვა. ეს არ არის გერმანია, სადაც ათ ქალაქში ერთმანეთის მიყოლებით ჩაატარებ კონცერტს და ავტობუსით შემოივლი ნახევარ ქვეყანას. საქართველოში ასეთი ტურნე მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ბათუმი, თბილისი, ბაქო და ერევანი – ეს გზა რეალური გახდება. ის 2000 კაცი, რაც ფილარმონიაში ეტევა, ერთ კლუბად იქცა და საერთო გემოვნება ჩამოყალიბდა.“



სისი როვერსი. 2003 წლი.

## ჩე დიეზი – ამბობდეთ...

მაყურებელი კრიტიკულია. ჯაზ-ფესტივალების შემთხვევაში, ხან ტანია მარიას „თვალზე ჩამოსულ ტუშზე საუბრობდნენ“, ხან ლოს ანჯელესიდან ჩამოყანილ ბრაზილიელ მოცეკვავებს უნივერსალურ ფიზიკურ მონაცემებს. ამბობდნენ, ჯეიმს ბრაუნი ბებერია და თან / FEEL GOOD არ იმღერა, „იხალტურაო“. როდესაც ორგანიზატორებმა ჯეიმს ბრაუნს კულისებში ჰკითხეს, / FEEL GOOD რატომ არ იმღერეთო, მან გაკვირვებულმა ამოიხედა და თქვა: 1500 ჰიტი მაქვს დაწერილი, საუკეთესო სიმღერები შევასრულე და“...

კონცერტის დროს, მოულოდნელად

აუზში გადამხტარი ჯეიმს ბრაუნი – კრიტიკულ მსმენელს არც ეს საოცარი სანახაობა დარჩენია ყურადღების მიღმა. მერე მაქფერინზეც გამოითქვა პრეტენზიები: აუ, მარტო დაუკრავსო?! მაქფერინის მთელი ხიბლი კი იმაშია, რომ ოცდახუთი წელია, მარტო ატარებს კონცერტებს, დასარტყამი ინსტრუმენტიც თვითონ არის და ბას-გიტარაც. ეს სამი პროცენტის მოსაზრებაა, თუმცა ხმა მალე ვრცელდება ხოლმე და რომ არა ნალდად ხელისშემშლელი პირობები, ისეთი, როგორიც იყო მაიკალ ფრენქ-სის შემთხვევა – 11 სექტემბრის გამო ჩაშლილი კონცერტი; რომ არა Gipsy Kings-ის თვითფრინავში აღმოჩენილი

ასაფეთქებელი საშუალება და შედეგად – გადადებული კონცერტი; ასევე ბენ-სონის შესახებ მოსკოვთან შექმნილი, გახმაურებული პრობლემები, – მაყურებელი მართლაც ფიქრობდა, რომ ეს ცნობილი სახელები მხოლოდ ცრუ განგაში იყო.

მალე მითქმა-მოთქმა შეწყდა. საზოგადოება მიხვდა, რომ თბილისის პატარა ჯაზ-ფესტივალიც მსოფლიო მასშტაბის, გლობალური მოვლენაა და იმასაც მიხვდენენ, რომ ასაკოვანი ჯაზმენები ჩამოჰყავთ არა იმიტომ, რომ ისინი დაბერდნენ და წასასვლელი არსად აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ლეგენდები არიან.



## მი – ჩა... ჩა... ჩა...

მიშა გიორგაძის საყვარელი ამბავი: როცა გაიხსნა საზღვრები და უცხოელებმა მისვლა-მოსვლა იწყეს, 80-იანი წლებში მოსკოვში პირველად *BONEY M* ჩავიდა. მათ „ტექნიკურ რაიდერში“ მითითებული ჰქონდათ, რომ რევერბერატორი სჭირდებოდათ. მისი ფუნქცია არავინ იცოდა. ხმის შემოწმების დრო რომ დადგა, რევერბერატორი ადგილზე არ აღმოჩნდა. ატყდა სკანდალი, *BONEY M* კონცერტს ჩაშლიდა, თუ რევერბერატორი ადგილზე არ გაჩნდებოდა. როგორც თარჯიმანმა ახსნა, ეს ექის გამომცემი დეტალი ყოფილა: ვთქვათ, მიკროფონში ამბობ *ჩა... ჩა... ჩა* ის გამოსცემს ექის: *ჩა... ჩა... ჩა* მათ ეს რევერბერატორი სიმღერა *Sunny*-სთვის უნდოდათ. სხვა რა გზა იყო. მოიძიეს დარბაზში კაცი, რომელსაც ყველაფერი ეხერხებოდა. თარჯიმანმა აუხსნა, რომ საჭიროა ისეთი მოწყობილობა, რომელიც მიკროფონში ნათქვამ სიტყვას გადაამრავლებს და ექიდ გამოსცემს, მაგალითად *ჩა... შუადლე იყო, საღამოს კი – დანიშნული კონცერტი უნდა ჩატარებულიყო.* ორ სათში გავაკეთებო, თქვა ოსტატმა და სადღაც სამ საათში, სამუშაო დაამთავრა. შემოწმება ვერ მოასწრეს, მაგრამ სტუმრები დაარწმუნეს, რომ რევერბერატორი მზადაა. დაიწყო კონცერტი. *Sunny*-ს შესრულების დროც დადგა.

მომღერლებმა რევერბერატორი ჩართეს და მთელ დარბაზში გაისმა: *ჩა... ჩა... ჩა...*

## მი ბეოლი – HELLO JAY KAY

ტრომბონისტმა დენის როლინსმა, რომლის სახელიც თბილისელი მსმენელისთვის აბსოლუტურად უცნობი იყო, მაყურებელში დიდი მოწონება დაიმსახურა, რამაც ორგანიზატორები ყველაზე მეტად გაახარა. მცხეთაში მოწყობილ სადილზე, დენის როლინსმა საუბრისას აღნიშნა, რომ ის ჯეი ქეის და ჯგუფ *JAMIROQUAI* მეგობარია. კახა კანდელაკმა ტრაბახში ჩაუთვალა, გადამოწმება დაუპირა და უთხრა: ჩვენთან ძმაკაცობა ასე არის, რომ ნებისმიერ დროს აიღებ ტელეფონს და დაურეკავ, არ აქვს მნიშვნელობა, რა დროა და სად ხარო. მომეცით ტელეფონი და დაუგურეკავო, მშვიდად უპასუხა ტრომბონისტმა. კახამ ტელეფონი გაუწოდა, დენისმა დარეკა და კახა კანდელაკი ჯეი ქეის მცხეთიდან ასაუბრა.

## ფა – ფავორიტები?

უჭირთ იმ შემსრულებლების ჩამოთვლა, ვისი ჩამოყვანის სურვილიც ყველაზე მეტად აქვთ, მაგრამ მაინც: *Earth Wind and Fire*, ჰერბი ჰენრიკი, ჩიკ კორეა, ქეით ჯარეტი, პეტ მეტენი, სტენლი კლარკი, მარკუს მილერი. აქაც ერ-

თსულოვნებაა.

დაიმახსოვრეთ ეს სახელები და დაელოდეთ, როგორც ერთ დროს ცოცხალ ლეგენდებს: *Manhattan Transfer*-ს, *TAKE SIX*-ს, ელ ჯეროს თუ ბობი მაკფერინს ელოდით.

## ფა ლიზი – „გმირობაზე“

### არასოდეს გვიცისას

თბილისის ჯაზ-ფესტივალი ევროპის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალების კალენდარშია შესული.

მუსიკა, რომელსაც წყალბურთელები ერთ დროს ვარჯიშის შემდეგ ისმენდნენ, დღევანდელ რეალობაში ყოველ ივნისს ქართული საზოგადოებისთვის ცოცხალი შესრულებით ისმის. მართალია, ბევრი მიზეზის გამო, ჯაზ-ფესტივალზე დასწრება ამ ეტაპზე მთელი საქართველოსთვის ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ ყველაფერი ასრულებას ექვემდებარება! ჯაზ-ფესტივალი ჯერ მხოლოდ ცხრა წლის გახლავთ და ისევე როგორც კახა კანდელაკს ბავშვობაში ფირფიტაზე ცოცხალი მუსიკის მოსმენისას აინტერესებდა, ნეტავი იქ რახდებაო, და ბოლოს ამის თვითმხილველიც გახდა, მალე მთელი *SWEET GEORGIA* გაიგებს ბგერებს ნიუ ორლეანიდან. თითს რევერბერატორის ლილაკს აჭერდა: *JAZZ JAZZ JAZZ...*





**INVESTBANK** PRESENTS

13.04.2005 20:00

თბილისის ოპერისა და ბალეტის თაئატრი

TBILISI OPERA HOUSE

JOE ZAWINUL & THE ZAWINUL SYNDICATE

JOE ZAWINUL

JOE ZAWINUL & THE ZAWINUL SYNDICATE

JOE ZAWINUL & THE ZAWINUL SYNDICATE

JOE ZAWINUL - keyboards

JORGE BEZERRA - percussions

CLOVIS NUNES CORREA - guitar

JAQUES LOUIS LINLEY MARTHE - bass

NATHANIEL TOWNSLEY - drums

SABINE KABONGO - vocal



**Orient Logic**

Official Sponsor

Austrian



**GEONET**

24 Looom

FOR INFORMATION & TICKET RESERVATION CALL: 990 599 [www.easternpromotion.com](http://www.easternpromotion.com)

Designed by: David Janashvili



# 30ათაშობთ თბილისობანას

**აკა მორჩილაძე**

სირიალი

ილუსტრაცია: სოფიო რეზვიაშვილი

გაგრძელება

„მივსალმებოდი მაინც,“ გაიფიქრა თათუნამ. „რა უხერხულია.“

ის ვიღაცა კიდევ, უკვე კიბიდან ჩამოდიოდა.

საშუალო სიმაღლის იყო, ინტელიგენტური იერის (ასე ეთქმის), გვარიანად შეღატაკებული.

ოცდათი წლის ნამდვილად იქნებოდა, ეგებ ცოტა მეტი საც. ხმა მოქეიფე ქალაქელი ჯეილისა ამოსდიოდა, იერი კი საერთოდ არა ჰქონდა მოქეიფე ჯეილისა.

ხელსაწყოები კიბის საფეხურზე დაალაგა და თათუნასკენ წამოვიდა.

— წერილი უნდა მიგვეღო და... — შესთხოვა თათუნამ. — არ ვიცი... ამ ყუთებს რას გაუგებ? ჩვენ ახალი გადმოსულებით.

— ვიცი, მეოთხეზე... ზურა არა, თქვენი ქმარი? — თავი განზე განია და დაახველა.

— ღიას...

— რა ნომერია? — ჰკითხა მეზობელმა თათუნას. — თუმცა, აქ აღარ ეტყობა ნომრები...

— ორმოცდათორმეტი, ჟურული, — უიმედოდ თქვა თათუნამ. თუმცალა იგრძნო, რომ ამ ყოვლისმცოდნე მეზობელის სადარბაზოულ გამოცდილებას მთლიანად მიენდო — „კაბელებში ერკვევა, ესე იგი საფოსტო ყუთებშიც...“

— იცით, რა? — კვლავ დაახველა მეზობელმა. — აქ ყუთები ძირითადად ღია... რომლებიც დაკეტილია, იმათში უნდა მოვძებნოთ. ან...

— გასაღებიც არა მაქვს...

— ეგ დანა იმიტომ წამოილეთ? — თითქოს ჩაეცინაო.

— ხო... რა ვიცი.

— აი, ეს ჩემი ყუთია, — იხრინწებოდა ბიჭი. გაციებული იყო და არა ნაქეიფარი. — ჩვენი ბინა ორმოცდაოთხია... ღიააა... ეს ვისია, არ ვიცი... ღია... აი, დავთვალოთ. მეორე რიგში... აი, ეს არის... ცარიელია... ნამდვილად უნდა მოსულიყო თქვენი წერილი?

— კი, უნდა იყოს, — ამოიხრა თათუნამ.

— აი, აქ ვნახოთ, — დაკეტილ ყუთს მიადგა მეზობელი და ხველა აუტყდა. — ეს ყუთი, მგონი, ათი წელია არ გაუღიათ. თავისუფლად შეილება, სხვისიც იყოს და თქვენიც... — და კვლავ ხველა დაეწყო.

„გაციებულია ეს უბედური. გრიპი არ გადამდოს,“ — და ახლალა გაახსენდა, რომ წერილში ყური უნდა ყოფილიყო.

მეზობელმა კი საფოსტო ყუთის ლარში თითები ჩააკვეტა, ერთხანს იწვალა და ბოლოს კმაყოფილმა თქვა:

— რაღაც კი არი... ოღონდ ვერ ვწვდები...

თათუნამ დანა გაუწოდა, მაგრამ იმან თავი გააქნია, თავისი გასაშლელი კიბისკენ წავიდა, თბილისურ ენაზე რომ ვთქვათ, პლასკაგუბცი აიღო. მერე ეს პლასკაგუბცი ყუთის კარს დაუნანებლად მოსდო და ასწია.

— სხვა გზა არ არის, — თითქოს ბოდიში მოიხადაო. — ამას როგორლაც გავასწორებ... გამონგრევას ჯობია. აი, კონვერტი გამოიღეთ.

ოჳ, დაცეცხლა თათუნას... ოჳ, დაცეცხლა... მგონი წამოწითლდა კიდეც. თუ წამომწვანდა... ბოლოს მაინც მოახერხა და ყუთიდან გამოაძრო. კიდე ჩამოეხა კიდეც.

— გაიხა? — შიშით იკითხა მეზობელმა. — სქელია და იმიტომ.

— არა, არა უშავს, — ჩაილაპარაკა თათუნამ. — მაინც უნდა გაიხეს...

უხეში ქაღალდის უმარკო კონვერტი იყო, თამბაქოსფერი. ზედ უბრალოდ ეწერა: „ქ-ნ თამარს.“

მეზობელს, მგონი, არც შეუმჩნევია.

თათუნა კიბისკენ წავიდა.

კაი სქელი კონვერტი იყო, თითებს სწვავდა. ჭუჭყიანივით იყო, მოკლედ.

„ვაიმე, დედა,“ მერე თათუნას გულში გაფრთხილებულ ამ სიტყვებზე ეცინებოდა.

მადლობთ...

— რის მადლობა... — გაციების ხრინწი იყო. ამ იერის ბიჭებს ასეთი ხმა არ აქვთ.

— თქვენ რომ არა, ვერც მივაგნებდი...

იმან კი, უკვე კაბელებთან ამძვრალმა, თითქოს გაიცინაო:

— მე აქ პირველზე ვცხოვრობ... თუ რამე დაგჭირდეთ... დათო. დათო იყითხეთ... დედაჩემი სულ სახლშია. ეხლა სინათლე დაიწყებს წასვლას და ან მეორე ხაზი... ან, რა ვიცი. თუ დაახმარება დაგჭირდეთ, — და ისევ დაახველა.

სულ ახველებდა.

— ხო, ზამთარი მოვა და შუქი წავა, დიდი მადლობა, მართლა... — თქვა თათუნამ.

— დათო, — შეახსენა მეზობელმა.

— დავიმახსოვრე, — გაეცინა თათუნას.

მეზობელსაც გაეღიმა:

— არ არი ძნელი დასამახსოვრებელი.

თათუნა კიბეს აუყვა.

და უცებ გადაწყვიტა, რომ კონვერტი აქვე, ამ კაბელებში გახლართული ბიჭის შორიახლოს გაეხსნა. ასე უფრო არ შეეშინდებოდა.

თუ იმ დეგნერატმა მართლა რაღაც საშინელება... ბუნკერი აქვეა.



თუ სადმე ახლოსაა ჩასაფრებული, მაშინ ეს ხრინწიანი მეზობელი მომექმარება.

თათუნამ, კიდე, გაგლეჯილ კონვერტში დანა შეყო და მთელი ძალით აუსვა.

„ავფატრავ“ – აი, რა გაახსენდა. „აი, ავფატრე...“  
წელაპ!

„ემილი დიკინსონი. ლექსები.“

მეტი არაფერი. აი, რა დაეცა კიბეზე.

რბილყდინი, ინგლისურ ენაზე.

თათუნამ კონვერტი დაჭმუჭნა და იქვე მიაგდო.

მერე კი ფრთხილად აიღო წიგნი.

მერე სწრაფად, ალბათ სასაცილოდ აირბინა კიბე და სახლში შევარდა.

ტელეფონიც წამსვე აწკრიალდა.

მანიაკი იყო.

– ის ვინ იყო, სადარბაზოში თავს რომ დაგტრიალებდათ, ქალბატონო თამარ?

## თავი მევასე, სალაშ ცყლება გამაჟლი თხრობა და იცყება ამგები ცყლეთელ ზახოდას დაუცერალი მემუარებილან, კოხტა ეაიგრაფებით

„ერთხელ მიველი ღამე სახში. მთვრალი. დამკვრელები მი-  
ვიყვანე, დავაყენე ეზოში და დავაი... გავაღვიძე სუსველა.  
აბა, მოდი მთელი უბანი გარეთა და ავაცეკვე... სულ ძალათ  
გამოვალვიძე. ბებრებიც ვაცეკვე. სონია, მარო, ალაპას ქალი  
და გალუანთ გალუა თავისი ჯოხით. კაი დრო იყო, ფული  
მქონდა. ყველას დახსომდა, როგორ გვაცეკვეო.“ (წყნეთელ  
შამილას ტკბილი გახსენება)

ერთხელ ღამეა და მეცხრე კლასში ვარ... დავითვერი მა-  
გრათ, კლასელის ბიძასთან. მაღლა ცხოვრობს. ზამთარია,  
თოვლია. წამოვედი ბარბაცით და რო ჩამოვედი დაბლა, აღარ  
მახსოვეს.

გამომელვიძა დილაზე, ვუყურეფ, სადა ვარ? ლენინის ძე-  
გლი ხო იცი, რო იყო, საცა ეხლა მაია წყნეთელის ძეგლია.  
იმ ლენინზე ვარ მიყუდებული, სულ სველი, გარშემო კიდე  
მუხლამდე თოვლა. გაუკელავი.

ვინ გაკვალავდა? ახალი წლებია და დილა. დილა არც  
არი, ერთი ექვსი საათი იქნება. დილაა ზაფხულისთვის, რო  
ძროხები გადეხონ. ეხლა კიდე ღამეა, ძროხები გომშია, თივას  
ჭამენ. ვინ გაკვალავს? დამძინებია იქა და დაუთოვლია ზედ.

ვინ გაკვალავს და მე.

თავი მაქ, პლასტელინის ჩაწებება რო იცოდენ თმაში სკო-  
ლაში, ზუსტათ ეგრე. მთელ თავზე ვითომ პლასტელინები  
მაქ.

მიველი, როგორც იყო, შევიპარე და დავწექი, ვითომ მძი-  
ნავს. მაციებს, მაცხელებს. ხუთი დღე ვერ ავდექი. რაც დე-  
დაჩემმა მწყევლა და მასვა წამლები... თელი ზამთარი გამყვა,  
რო ვითომ თავზე პლასტელინი მაქ.

აი, ეგე დამემართა, ეხლა რო იყო, ისა. პლასტელინები  
დამემართა. დამიჭირეს და მერე ისა...

დავჯდები, განა არ დავჯდები?

მარა მამჩემმა რამდენი მაწვნები კიდე უნდ გაყიდოს, რო  
მერე კიდე იქ შემინახოს? თორე დავჯდები.

ადრე ძალათაც მინდოდა, ბიჭი რო ვიყავი. ვეძებდი სროკ-  
სა. ეხლა კიდე ისა და, ბარიგას დაგაჭრინებ-მეთქი, უთხარი

და მოოვტყყდი.

სულ წაგება-წაგებაზე მივდივარ.

რო მოვტყყდი, ისაც წაგებაზეა, მა რა.

ერთი ვიფიქრე, წავალ, დავჯდები-მეთქი. იქ რო თავის  
ფეხით მისასვლელი იყოს, პაბეგს კი არავინ მოიგონებდა.

იქედან რო მოვტყყდი და მეთქი, რა ვენა. სანამ იმათ შევი-  
რიგეფ, დრო უნდა. მარშუტკით მოვტყყდი.

იქ მივიდე, იქ მივიდე, სად მივიდე, რო დაგრეუო და ბიჭებს  
გავაგებიო, რო პრაკოლზე ვარ და იჩალიჩეთ, ვინმე ნახეთ,  
რო მოვრიგდეთ, – უარესი არი, იმიტო რო მაგრა მოვატყუე  
ის ძალები.

ავდექი და მიველი ზურას ოფისში.

ზურა არ მენახა... ერთხელ ვნახე წელსა, ქუჩაში, მანქანა  
გამიჩერა.

მარა ზურა ძმა არი.

ბავშვობაში რო ავდიოდით მაღლა, სხვა მინისტრის შვილე-  
ბივით კი არ იყო. სხვა თბილისლებივით არ იყო. იქედან ძმე-  
ბი ვართ. ერთათ ვიპარებოდით ოჩიგავების ბასეინში. მერე  
კიდე არაფერი არ დევნინებოდა.

რამდენი ერთათ გვიჩეუბია და მაგათ მეორე სახში, დაკე-  
ტილი რო ქონდათ, აი, ეს სახლი როა ეხლა, რამდენი პროს-  
ტამც ქალები მიგვიყვანია და წამალიც გამიკეთებია კიდე  
მანდა. მერე კიდე ხო იცი, როგორც არი, დედა მიეწერა ამ  
ქვეყანას და ეგეც მაღლა ან ვეღარ ამოდიოდა, მე კიდე ეგრე,  
ტუდა და სუდა. ხოდა. წაველი.

სადაც არ მოვეძებნე, ზურასთან ვინ მომძებნიდა.

ვინ იცის, რო ჩემი ძმა არი?

მივედი. ის ოფისი ადრე მითხრა. ოფისი რა არი, საწყობია,  
წყლის გასათფობლები აქთ.

ეგა და ძმაცაცებია მაგის. იქეთაც ოთახებია. ადრე მითხრა,  
მეტროზე რო ამოხვალ, მარცხენა მხარეს საწყობებიან და იქ  
იყითხავო, ანდა დიდზე ანერია “ამიგო“ და იქა ვარო.

იჯდენ, ტელევიზორს უყურებდენ. დილაა რა, თორმეტზე  
მოვახდინე ეგ ამბავი. მეთქი ეგრეა, ეგრეა.

თან მიტყდებოდა, რავი, ეგება ის სახლი სულაც გაყიდეს.  
მე რავი? მერე სად დავიმალები?

კიო, ეგ არიო, რო აქ დაჯექი, ტელევიზორს უყურე, საღა-  
მომდე გასასვლელი ვარო.

იქ ერთ ახლობელს უთხრა, ეს აქ იჯდებაო და წავიდა.

იმათ დაჟე მაჭამეს.

საბურთალოელი იყო ერთი და მეორე ვაკელი, ცოტა  
გზროსალი. მითხრეს, დაჟე დაერით, რო ზურა დაიგვიანებ-  
სო და შენ აქ იჯექიო, ჩვენ წავალთ და მოვაო. მე დასარეკე-  
ბი დავრეკე და მარტო ვიჯექი.

ზურა მოვიდა, დავჯექით წავედით. საკაიფო მანქანა ყავ-  
და.


გზაში მითხრა, ჩემ ცოლს გაგაცნოფო. მე ვაფშე არ ვიცო-  
დი, რო ცოლი მოიყვანა და მაგრათ გამიტყდა. რო მოიყვანა,  
გამისწონდა. გამიტყდა, რო სახში მივყავარ და უხერხულია  
ეხლა მაგის ცოლთან.

ზურამ ხო გაკაიფება იცის და მაგრა გამეკაიფა, ეხლა  
უცხოებთან რო იქცევი, ისე მოიქცევი ჩემ ცოლთანო. საჭ-  
მელს რო ნელა ჭამ უცხოებთანო, ზდილობა რო გომია, თუ  
დიდხანს შეჭამ და ცოტასო და რო გაჩუმდები.

მე კიდე მაგრათ გამიტყდა. სოფელი ხო არ არი, რო სტუ-  
მარივით არ იყო.

უბორნიაში ხო უნდა შეხვიდე და ტეხავს. ცოლია, რა.

ადრე რო მცოდნოდა, არ მივიდოდა. ამაზეც ბევრი გაიკაიფა.



ზურა ისე იყო, რო თითონ თუ ცუდზე ფიქრობდა, ვერ გაიგებდი. სულ გაგიცინებდა, მარა თუ გასატრაკებელს დაინახავდა, გატრაკებას ვერ მოასწრებდი. იმიტო, ერთი ხანი ხო დარბოდა იარაღებით, დავაი... მარა იქედანაც დაადო, რო დაინახა, რო ქსივიანი ყაჩალობა წავიდა. თუ არ იყავი ეგეთი, მაინც შენზე ამბობდენ და ადრე მიუხვდა, რო ეგრე იქნება. ზურას რა ქონდა საყაჩალო?

დაადო, გამოვიდა და სწორეც ქნა.

რამე რო ყოფილიყო, გრეხებით არ დაჯდებოდა.

მარა ზურა რატო დაჯდებოდა? მაგარი ჭკვიანია.

ძმები ვართ მე და ზურა. ბავშვობიდან რამდენი ერთათ გვიჩალიჩია. თავიანთ დაჩაზე, ზემოთ, ძმასავით შევდიოდი.

ეხლა კიდე, ცოლი და ისა... აღარ გამიშვებდა, თორე არ წავყვებოდი.

იქ ვნახე პირველათ თამრიკო. ზურას ცოლის სახელია თა-მრიკო.

კაი გოგო იყო. მაგარი ნასწავლი.

ჩემი ბრალი ნალდი არ იყო. მე ძმურ ამბავში. მეტი არა-ფერი. რატო მოხდება ხოლმე კიდე ეგრე, არ ვიცი... არ მო-ვიყვან ცოლს.

**ხელვილე თავი, სალაშ ზახოლა აგრძელებს განსპას სხოვრების რაობის შესახებ, ოლოლე რას იყო, შორეულ ნასულება ჟრანს**

„ეგა არი დამწერი. გავაჩერე ერთხელ მაგათ კართანა და ქლიავი უდგია, ტოტები გარეთ არი. ზის თითონაც იქ, სკა-მეიკაზე და მაიტა-მეთქი, ერთი ქლიავი მამიწყვიტე, პირი გა-ვისველო, მთელი დღე ძალლსავით რულზე ხელი არ გამიშვია. ადგა ჰა, ძლივას, დეენანა. მოსწყვიტა ერთი, კენჭისტოლა და მეუნება: აე, რო ხარ მატრაკვეცაო, ამ ერთმა ქლიავმა მაგ-სისქე კაცს რა უნდა გიყოსო. შენც კიდე მამიწყვიტე-მეთქი, უთხარი...“ (წყნეთელ გეუას ანეკდოტებიდან)

ზურას რა ფული ქონდა, რო? ის საწყობი ქონდათ და აბა, რამდენი იყენებ? აპტავოს რამეს თუ გარტყამდენ და ხო მოხსნიდენ რაღაცას. ისე კიდე, ტილაცა იყო. მოვა ვინმე, ნაიღებს ბაკა. ჰა, რამდენი უნდა დაგრჩეს?

რაღაცა ხო იყო და ცხოვრობდენ. მამამისისგან პადდერ-ჟკაც, იასნია. მერაბა კიდე მაგის ძმა, თავისას მიეხმარებო-და. ეგ რა ჩემი დასათვლელია. მაგრა მიტყდებოდა იქ ყოფ-ნა იმ ამბავში, რო ჭამე, სულ სახში იყავი, ჩაკეტილი, მარა



ზარს ხო ველოდებოდი და პოონტია, რო იქედან გავსულიყავი. მაგრა უხერხულში ვიყავი. ვიწექი სულა და ტელევიზორს უყურებდი. მოაკაკუნებდა თამრიკო, საჭმელი! გამოვიდოდი. მაგრათ მცხვენოდა. ზურა მოვიდოდა, დავაი! კონიაკებს მალეინებდა.

რაც იქ ვიყავი, სიგარეტი სულ მოქონდა. რავი... ძმობაც ეგ არი ალბათ. ჩემი პალაჟენის კაცის და მაგის პალაჟენის კაცის ნამდვილი ძმობა ეგ არი. თან ერთი რამე რა არი, რო ოჯახში ხო მაინც ხედავ, რო ნიტოა შენ ამბავში, ან თავის ამბავში, მარა იკიდეფ, იასნია. ეგეები თუ იფიქრე პაბეგში და... არ იყო. რას დავინუყებდი ეგეების ფიქრს.

მე იმიტო გამიტყდა მერე, რო როგორც გუგულები.

ეს თამრიკო კიდე მეუნება, წიგნები წაიკითხეო.

სკრომნათ, თავისითვის ვარ.

იზმენებში ვარ, რო აპა, რა გამოვა ჩემ საქმეზე.

ვინმე მოაზარუნებს, დავაი, შედი ოთახში. ჩაიკეტე შიგნიდან. ოჯახია. ხან ვინ მოვა, ხან ვინ მოვა.

წამალი მქონდა. ის წამალი, გამოყოლილი. კი არ გადავაგდე, წიგნებში დავმალე. აი, აზზე ხარ, რო წამალი გაქერთი დღე, ორი დღე, სამი დღე, ერთი კვირა და არ იკეთეფ?

თამრიკო რო წავიდოდა, კი შეილებოდა, ერთ შპრიცს ვეტყოდი ზურას, მარა თამრიკოსთან მიტყდებოდა. სახში იყო. თუ წავიდა, ხო. ეგეთ გოგოსთან მიტეხავდა.

არ მინახია ეგეთი გოგო. მე არ მინახია, თორე იქნება კიდე. ზურას როგორ პატივსა სცემდა. ეს თუ რამეს ისე იტყოდა, — სხვა რამეზე, განა თამრიკოზე, — ხმას არ გასცემდა. განა გაბუტვით. ისე არ გასცემდა, რო მაგარი საცოდავი ხდებოდა.

კაი გოგო იყო.

ერთხელ, შარშან მაგრა დავლიეთ. ზაფხულში.

მარტო იყო დაჩაზე და მარტო ავედი, ესენი კი არ ამიყრია. რძალი იყო მაგისი, მაგისი ძმის ცოლი და კუხნაში დავვეჯით. ბედზე არ ამოუარა ვინმემ და ტელეფონზე კიდე დაიმალა.

ოთხი ბოთლი არაყი ავიტანე და დავლიეთ ბოლომდი. მერე კიდე, ვისკი ჰქონია სახში. მეჯავრება, მარა რალას გამრჩევი ვიყავი. ჩავიხოცენით კომკავშირლებივით წინა რიგში. თითონა თქვა ეგრე.

ისაც დავლიეთ, ნახევარზე მეტი იყო ლიტრიან ბოთლში. ორ-ორ პოლლიტრაში ისედაც ვიყავით და კინალამ არ დემეძინა იქა?!

მე უთხარი, ძმურ ლაპარაკში უნდა გითხრა-მეთქი და არ

გაგიტყდეს. თუ გაგიტყდა, ჩემ თავზე მსროლელი ვარ-მე-თქი.

ხო უნდა გაიკაიფოს და გაიკაიფა, მეო რაღა უნდა გა-მიტყდეს, მეო ცხოვრებაში აღარაფერი არ მიტყდებაო და შენგან ხო საერთოთაცო.

და მე უთხარი. რაც ხუთი წელი ვერ უთხარი, რო ცოდვა მაქს.

კაცი მოკალი, შეჩემაო? ისაც მაგარი ბუხოი იყო.

მე კაცს არ მოვკლავ, თუ კაცია და თუ ბოზია, კაცი არი.

არა, მე უთხარი, მე ვარ დამნაშავე, რო შენ ეგეთი გემრიე-ლი ოჯახი გქონდა და აღარა გაქს. ჩემი ცოდვა არი-მეთქი, ჩემი ბრალია.

ლამის თითო ორჯერ მოვიჭერი. აი, ნაჯახი ორჯელ ხელში მეჭირა, საცა ქათამსა კლას დედაჩემი, იქა. ორჯერ, რო რაღაცა მოვიძრო და დავისვენო.

ეგ კი არ უთხარი. მე უთხარი, ღმერთმა ძლეთის ძალა მომცეს და შენთან ეგ მაპატიებიოს.

მოვრალი რო ვარ, გიუ ვარ.

ეგ არც მოვრალია, არც გიუი. ისეა, ხანდახან.

და ამდენი უთხარი და იცი რა მითხრა?

დაიკიდეო.

თითონ დაიკიდა?

ვაბშე იმ სახში ხო ველარ შევიდა, ხო გაყიდეს.

ვაბშე ხო შეჯდა. მერე გადააგდო. მერე შეჯდა. ერთათ დავრბოდით.

თითონ რა, ვერ იზამდა? არა ქნა.

და რო არა ქნა, მე კინალამ თითო მოვიჭერი.

ზურა არი ძმა.

მე ხო ველარ ვნახულობდი, მარა იმის მერე სულ აქ იყო, მაღლა და მთელი ბავშობა მოგვიტრიალდა. მაგარი ძმა არი. თბილისლებში ეგეთი ორი იქნება საერთოთაც. ორიც არა. ერთი და ეგ ერთიც ეგ არი.

დაიკიდეო.

მე უნდა მეთქვა, აბა ძმობა რა არი? ოჯახში ეგრეა, რო ვიღაცა თუ ანუხებს ქალს, ქმარმა უნდა იცოდეს. პროსტო თამრიკომ...

რანაირი გოგო იყო, ვერ გავიგე.

და თან რა საკაიფო დღე იყო, რო გაიასნდა: ამ ფულს დავაპრუნევ, ვიქნები სახში საკაიფოთ, ჩემთვის. გაიჩითება - გაიჩითება, არა - არა. იმხელა ხალხით მომიგვარეს ესა. დაჩინიკი იყო ჩეგნი ძველი, გიორგობიანები, იმან გამიკეთა, კოლიამ, რესპუბლიკის ის არი, რა ქვია და ამ დროს, რო უკვე უნდა გამოვიდე და უთხრა, თამრიკო, სპასიბა, აი, პროსტო ნავედით, ზურა შემოვიდა და ისაო, არ ნახვიდე, დარჩიო...

## თავი მირვა, საღას ზახოლა სელისშემვრეც ისტორიის რჩიოდ გასალაბ შემობთავაზებს

„აი, არჩილა ხო იცი, არჩილა. მეხანიკია. სახინკლის დაბლა რო ცხოვრობს. გაშტერდება უცბათ, აილებს ქალალდის ნახევს და სწერამს ზედ ლექსებსა. ისე კოხტათ გამოუდის, გაზეთში მისცემდი. უცბათ გაშტერდება და გამოუდის. მთელი ცხოვრება კაპოტში აქ ჩაყოფილი თავი, ხელები სულ შავი აქს. ერთი მაღლა არ აუხედია, როგორ გამოუდის, არ ვიცი. ერთხელ ქელებშიაც სთქვა, უცბათ გამოუვიდა. კინაღამ ცრემლი მამივიდა.“ (წყნეთელ სერგუას ლაპარაკებიდან)

ეგეთ კაცს მეტი უნდა, რაც მერე ქნა, მარა ზურამ არ გაინძრა და მე ხო არ ავტებდი.

ზურა იმიტო არ გაინძრა, რო ზურაა და თან კიდე მაშინ მაგისთვის ხმაური რა იყო? მედრიონი ხარ და დავაი... ვინ-ლა გაარჩევდა, რო როდის იყო, აღარ ახსოვდა. მარა ზურას ეგ არ გააჩერებდა.

მე ის მიხვდი, რო ზურა მიხვდა, მორჩა, ვსოოო, წაგე-ბულია და იმ გაგების არ არი, რო თუ წერულია, ძალათი მოატრიალოს.

ეგ მიხვდა, რო სხვაგან არი და ის კიდე სხვაგან.

ჩემთან რო შემოვიდა, ჩემთან რა, თავისი სახლი იყო და თავისთან შემოვიდა, წიგნებიან ოთახში, მე საცას ვიყავი და გეხვენები, არ ნახვიდეო. მეთქი, რაღაცა ემ წუთში დერხა და მაგრა ვჭირდები.

მე გამეცინა გულში, რო რა ბედი მაქ, შარი შარზე მოდის. ერთი გავათავე, მეორე დაიწყო.

თურმე რა არი, რო მომიყვა.

ეგ არი, რო ახვარი რო ხარ, დამალული. რეკავ და ქალს აშინევ.

თან ცვეტნოს ეუნება, ესა ხარ, ისა ხარ, აქა ხარ, იქა ხარ.

მკვლელი ვარ, წინდაწინ ტელევიზორს უყვება.

ეს, იასნია, სადაცას ახლოში ტრიალებს, უყურებს სახლს. ზურა არ არი, რეკავს.

ზურამ ტელეფონიც მოიტანა, ზედ რო ენერება ვინ რეკა-ვს. მერე მე ორჯერ დავწვი, იმ ნაბოზარმა რო დარეკა და თამრიკომ არა თქვა.

თამრიკოს რა ვერ გავიგე:

რა იყო, რო ეგრე ეცოდებოდა, ზურამ რამე არ დამართო-სო. ამიტო არ ამბობდა. ანდა რო დამართავს, მერე ზურას არ დამართონო? არ ვიცი. სხვა რამე კი გამოვიდა და...

ის რო რეკავდა, ანვალებდა. რაღაცებს ეტყოდა, ეს კიდე ვითომ არ ყოფილა. თავიდან ამბობდა თურმე და მე რო ვი-ყავი, აღარ.

როგორ ატირა. ის გამჩენალლი. მე დევესწარი შემთხვე-ვით. მაშინ გავხვერეტავდი, ახლოს რო ყოფილიყო. ზედ კი არა მქონდა იარაღი, მარა რო მქონიყო, ვესროდი, ახლოს რო ყოფილიყო.

გოგოს ეგრე საცოდავი ტირილი არ მინახია.

თან რო ძან გეშინია, თან რო ვერ იკავეფ და თან რო სხვამ არ დაინახოს.

თან თამრიკო ისეთი გოგო იყო. ეხლა ზურასთან ხო არ დაეინტერეს მაგის ლაპარაკას და კი ცუდი მოხდა, მარა მე თა-მრიკოს პატივისცემა მაქ დღემდი. ვერ მოვიცილე. არ მინდო-და, რო მქონდა. მაინცა მაქ. სადა ვნახულოვ, მარა მაქ.

ვარიანტი არ არი, რო ზურას არ ქონდეს დარჩენილი გულ-ში; რო არ უყვარდეს. ეხლა მაგების ლაპარაკი ჩემგან...

დავჯეექით ის ღამე და რა იყო? ზურა მიუხვდა, რო ახლოში ტრიალებს ის ვიღაცა ახვარი.

თითონ ხო არ გამოეკიდება, იცნობს. იმან კიდე, არ იცის, რო მე აქა ვარ. ხოდა, მე რო შევხედო.

აი, ბაითი რო გააქტ, ნაკოლი რო მოვა, რო ეს ბაითია და ხო უყურებენ: მიდი, მოდი, მეზობელი, პადიეზდი, შუქები, კარები, ბალკონი... ხო უნდა უყურო.

იმან არ იცის, მე რო აქ ვარ. ღამე არ მომიყვნა ზურამ?

დავინტერეს მაგაზე ჩალიჩი მეორე დღიდან.

თამრიკოს დავყვებოდი უკან. ან რო ნავიღოდა, უბანში და-ვდიოდი. დავამუღამე, იქ როგორ უყურო მაგათ პადიეზდს. იმდენი კორპუსებია კლდეებზე და იპოდრომს უყურებს. ტე-

ლეფონზე სუ ვიცოდი როდის დარეკა, მარა აღარ უთხარი ზურას იმიტო, რო თამრიკომ არ უთხრა, და მე ვიფიქრე, ნეტა ის დარეკვაც არ მეტქა, პირველათ რო უთხარი.

იმან წერილი მოსწერა. ეგეც არ უთხარი და დღემდე არ მითქვია. დღეს რაღა უთხრა. თამრიკომ კონვერტი მოქმუჭნა და რო დააგდო, მე ავიღე. წინა დღის ლაპარაკის აზრე ვიყავი და ვითომ დილაზე ზურას გავყევი. ოლონდაც ზურასაც არ ვეუნებოდი, რო ესეები ვიცი. უყურეფ-მეტქი, ვეუნებოდი.

უცხო იქ არ ჩანდა. ია-სნია, რო უცხო არ იყო და გარედან თუ უყურებდა დურბინდით, ეგეთი მარტო კინოშია. იქ იმდენი კორპუსებია, რო დურბინდიანს მეც დანახული ვეყოლებოდი.

არა ვყავდი დანახული.

ზურა სულ ისეთი თვალებით შემომხედავდა, რო მოვიდოდა, რო აბა, რა არი.

თამრიკომ ერთხელ უთხრა, დარეკაო და ნომერიც უთხრა და ზურას სპრავორნიში უთხრეს, ავტომატია კოსტავას ქუჩაზე, კინოს გვერძეო.

მე ხო მივხვდი, რო როცა სხვა ნომრიდან დარეკა, ის არ უთხრა. ბინების ნომრებიდან არ უთხრა. თითონ იცოდა ყველა ნომრები იმისი და იმისთვისაც ნათქვამი ქონდა, რო ნომრების ნამკითხავი აქ.

თავიდან ხო ისე იყო, რო ატირებდა. მერე აღარ ატირებდა. თუ ეს არა ტიროდა, არ ვიცი.

დიდი ნაბოზარი იყო. ჯერ შესაშინებლათ შეუყვანდა და მერე გაუშვებდა ტყბილებს. სკოლის დროს იცოდენ ეგრე ვზროსლებმა, მერვეკლასელი, მეცხრეკლასელი გოგო რო შეუყვარდებოდათ... ჯერ აშინებდენ, მერე თან ხო უყვარდათ და ბლატაობდენ, ვზდიო. სიმღერაც ხო იყო, მერვეკლასელო, მარა იქ კაი პონტშია გამოყვანილი, და ეგრე არ იყო. ტანჯავდენ გოგოებს, სკოლასთან იდგენ სულა. მე რატო ვერ შემიყვარდა ვერავინ. კი შემიყვარდა, მარა დავტანჯავდი და გავანებე თავი. ის ხო არა ვარ, რო მაინცდამაინც ცოლი... ხო...

უყურე, უყურე და დავიჭირე.

ახ, შე ბოზო, შენა ხარ... ზახოდა ვარ...

რაზე დავიჭირე და ყვავილებზე. ხაია წაუვიდა.

რათ უნდოდა ის ყვავილები? თამრიკოს ხო მაინც უნდა გადეეგდო. იქამდე მე გადავაგდე და არ მითქვია ზურასთვის ყვავილების ამბავი.

რამდენი რამე არ უთხარი...

არ დამალა თავისი თავი. არ ეტყვი და იყავი ეგრე. რო მე-თქვა, ხო ეგება ერთი ჩხუბი მოუხდებოდათ და ეხლა კარგათ ყოფილიყვნენ.

მე სულ მეგონა, რო ბოზობაში ფეხი მედგა. არ იყო. ძმაკაცის მიხმარება იყო, მარა მაინც ეგრე მეგონა.

## თავი მისხრე და კვლავას ზახოლას მოულლასი, არარსებული კალამი

„ერთხელაც კოჯორზე მოვდივარ და მაღამდება. შემხვდა სიმამრიშვილი, აბა, წამო ჩვენსა, აბა, წამო ჩვენსაო. მიღა-მდება. განა რამეო, ორი ჭიქა დავლიოთო და წადიო, მარტოს ნუ მაჭმევ პურსაო.

გადავყევი. მიღამდება. ერთი ჭიქა დავლიეთ, და მაიტანეს ტაფამწვარი. დავლიე მეორე ჭიქა და ავდექი, ხო ორზე მოვრიგდით და მიღამდება, მეგლი შემჭამს-მეტქი.

დასცხეს ყივილი, ლუქმა არ გიჭამიაო, რამე მაინც გაა-ყოლე ქალოო. რა უნდა გამოეყოლებინათ, ერბოკვერცხი ჰქონდათ, მეტი არაფერი. რო ატყდა ჭიდაობა და ავიღე ეს ტაფამწვარი, გავკეცე პლატოკივით და ჩავიგდე ჯიბეში, აპა მეტქი, გავიყოლე. იცინეს, რა იცინეს. მოველი შინა, უკვე ლამება და ქალს უთხარი, შენმა ძმაშ პლატოკი გამომატანა შენთან-მეტქი და დაუდე წინ ეს ერბოკვერცხი. პლაში მეცვა და იმის ჯიბეში მქონდა.“ (წყნეთელ ჩიტა ალექსას ოხუნ-ჯობებიდან)

გაჩვეული იყო რეკვას.

თამრიკოც ისე მიება სახში, ძროხასავით.

ერთი იასნი იყო: შეხედავს – არ არი ზურას მანქანა, რეკავს.

ზურას უთხარი, მოდი, მე დავჯდები, ქვემოთ ჩავიყვან მანქანას, შენ სახში იყავი, ეგება უფრო დავწვათ. არაო, ის რო დაწვასო, რო შენ ხარ რულზეო?

ბევრი უკვე მოფიქრებული მქონდა და ვიცი, რო ახლოში ტრიალებს. თამრიკო კიდე, ისეა ზურასთან, რო ოღონცა და-აწყნაროს.

არაფერი არა ხდება, არ რეკავს.

ერთხელ დარეკა მარტო.

ზურა კიდე იმას ფიქრობს, რო ეს თამრიკოს აღარ აწვა-ლებს და მე რაც ვხვდები, წყნარი ლაპარაკები აქს. ზურა ფი-ქრობს, რო რაღაცა თითონ ზურაზეა მიწოლა. რაღაცა ძვე-ლი ამბების გულიზე ვიღაცა ბოზურათ უტრაკებს და ცოლს აწვალებს.

მე ხო არ მეტყვის ეგრე?

ერთიც არი და, ვიღაცამ არ დარეკა?

ჩემი თახის კარები ორი თითოს დადებაზე მქონდა ლია, რო მაინც... თამრიკომ რო ლაპარაკები დაუწყო, მე ვერ გა-ვიგე; ვიფიქრე, არც ის იყო-მეტქი, მერე უცბათ დაუკიდა და ნავიდა შემოსასვლელში.

გამოვედი და კარს აღებს. ხო მშვიდობაა-მეტქი, თამრი. უხერხულობაში ვარ, სხვისი ოჯახის საქმეს უყურეფ. მარა ეს არი, რო გულით უყურეფ და ჩემი ხმა გაიგო და ესევი გაშეშდა. ფერი არა ჰქონდა და ისე საწყლათ, ისე საწყლათ მიყურეფს, რო მოვევდი იმ საწყალი შეხედვით.

იმდენი წიგნები აქს და არ იცის, ზურამ რატო დამტოვა აქა?

მიხვედრილია და დაიწყო ტირილი.

თავისით მოსდის ცრემლები და რა უთხრა?

ჩემი ნდობა არა აქს. იცის, ყველა ვარიანტში ზურას მხა-რეზე ვარ.

თამრიკო-მეტქი, შეუზე გავჭრი, ხერხით გავჭრი, ვინც გა-ტირებს, დრუჟბით.

თურმე, რა პალაჟენიაც არი გარშემო, ის ატირებს. ყვე-ლაფერი დადებულია ერთმანეთზე. ეს ეხლა ვფიქროფ. მე ვერ მეზობა. რამდენი ვიცი და ჩემ მეტი მაინც არავინ არი რო ენდოს. სამართველოში რო ვეგდე ფაქტით, იმას შუტკით გაიხსენეფ, მარა ამას რო ვერ ვიხსენეფ შუტკაობით?

გეხვეწები, კარი გააღეო.

გავხსენი კარი და ფეხსაცმელების გასაწმენდავზე დევს ყვავილები. ყვითელი ყვავილები იყო. ეს ტირის.

ავიღე ეს ყვავილები. ძვირიანი არ იყო, ლამაზი კი იყო. შეხედავდა ქალი. ეხლა დამტოეკაო, რო შენი კარის წინ ყვა-ვილები დევსო,

აგერ არი. თან აშინებს და აწვალებს, თან ყვავილები მოაქს.



დავაი-მეთქი, რა უყოთ ამას, ზურამ არა ნახოს. ეს რო ვთქვი და როგორ შემომხედა. რო ჩემს მეტი იმ წუთში მომხ-მარე არა ყავს ქვეყანაზე.

დავაი ბუნკერშიო, ვერც შეხედა წესივრათ იმ ყვავილებს, გავაქანე და ჩაუჭვი.

ყავა დავდგი, მეტი რაღა გინდა. იმის შემხედვარე ყავა დავდგი. და რატო ვარ ეგეთი ძალლიშვილი? ზუსტათ ვიცი: ან ეხლა გათქმევიეფ ყველაფერს, ან როდისლა იტყვი? თა-მრიკო-მეთქი, შენ შემოგევლე, ზურას რო არ ეუნები, რო რეკავს, შენი ტირილი ლირს? სულ სხვადასხვა ნომრიდან რე-კავს?

უყურეფ, დაბმული ყავს გოგო. რაღაცეებით. მე არ ვიცი, რითა.

მეშინიაო, ზურა მოძებნის და მოკლავსო. ყველა ნაბიჯი იცის ჩვენიო.

მე ვკითხე, ზურასი პატივისცემა რო გაქ, მე ეგეთი არ მი-ნახია და შიში რისი გაქ ზურასი. რო გადაირევაო, მე ვკვდე-ბიო და ვინმე რო ვინმეს ეჩიუბება, ვკვდებიო. ეგეთი გაზდი-ლია და რას უზავ? ნამუსა უნახავს იმ ნაბოზარს. იმანაც იცის, ჭკვიანია და დაიხვია ხელზე.

შეხვედრასა მთხოვსო. აშინებს. ხვალე შევხვდეთო.

არ გახვიდე-მეთქი სახლიდან, ვაფშე და აქ რო მოვიდეს, აქ არა ვარ?

სულ მეხვენება, ზურას არ უთხრა, ზურას არ უთხრა. ამდენი ვის უხვენია ჩემთვის? ნუ მეხვენები-მეთქი, თორე ეხლა მოვკვდები, უხერხულში ვარ.



არ ვეტყვი და ხო უნდა მორჩეს ეს ამბავი?  
ძალლიშვილი ვარ.

მე უთხარი, ხვალ ადექი და ზურას არ გააყვანინო თავი,  
შენით გადი. აქამდის არ შეგიმჩნევია, რო შენით რო გახვალ,  
მოგყვები ხოლმე? შენი ტელახრანიტელი ვარ. ხვალაც, გადი  
და მოგყვები.

და უთხარი მაშინ: ვიპოვი-მეთქი და ზახოდამ არ გაიხაროს,  
თუ იმან კიდე დაგირეკოს და ზურაც არაფერს დამართებს,  
რო შენ შეგეშინდეს.

რატო უთხარი?

იმიტო რო, უკვე ვიცი – არიფია. აბოლებს თამრიკოს.  
მკვლელი არ მინახია, ყვავილები მოჰქონდეს. კინო ხო არ

არი. აქამდე ასწვდენ. ანდა სულ უნდა დამალული იყვეს.  
ახლოში ტრიალებს.

ხვალ თუ ქუჩაში შენ გვერდე დამინახო, არ შეიმჩნიო.  
ტიროდა. არიფია. არიფობას რო დაწვავ, გაკეთებულია,  
ვსიოოოოოო. ოღონდაც, უნდა გამოარკვიო, რომელი არი-  
ფია. არიფები ბევრია. ეს ახლოში ტრიალებდა. ზურას კიდე,  
არ უთხარი. ბოლოს ველაპარაკე.

ძალიან პატივსა ვცემ თამრიკოს ეხლაც...

(დასასრული იქნება)



ამინო + Pro-V კომპლექსი



PANTENE PRO-V®

ძლიერი თმის ძირითადი ელემენტი



## ცორაპლი ნასიძე


მაღალი მოღის კვირაული.  
რენოს ატელიე, შაზეალიზე, კარიზი.  
2005 წ. 26 იანვარი.


















# 60 წელი

ავტორი: თამარ ბაბუაძე

## ევროპაში რა მინდოდა



ნუგზარ შატაიძე

გამომცემლობა „არეტე“

2004 წ.

ევროპაში რა უნდოდა? ბოლოს ირკვევა, რომ მაინც უნდოდა. მკითხველი კი, როცა ბატონ ნურგზარ შატაიძის ამ კრებულს წაიკითხავს, ნამდვილად არ ინანებს - შატაიძესთან რა მინდოდა.

ვენეციის სიახლოეს, მესტრეში ერთი ბარი და ერთი რიგითი იტალიური დილა ისეთი დეტალით აღნიერა, იმ დილის სიგრილე და სიმშეიდე წიგნის ფურცლიდან მეც მაგრძნობინა:

„მახლობელ ბარში ორი კათა ლუდი დავლიე. ჯერ დილის ცხრა სასათიც არ იქნებოდა და ამიტომ ბარი თითქმის ცარიელი იყო. შორეულ კუთხეში მარტო ერთი ჩემსავით სახემოქამული კაცი იჯდა და ისიც ლუდს შეეცეოდა. კარი გაიღო და ვიღაც მოტოციკლეტისტის ჩაფუტიანმა ბიჭმა ხის ბადით ფუნთუშები შემოიტნა. ბარმენმა ქალმა მას ფული გადაუხადა, მერე ერთმანეთს რაღაც უთხრეს და გაიცინეს. ბიჭი წავიდა. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბარი იყო, მაგრამ რატომდაც გაიცინებოდა, აქაურობა სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება-მეოქი“...

იუმორი, ქართველი „პერეგონმიჩევენი“, სევდიანი ლაზები — ყველგან რომ გურჯებს ექცენტ, ჯულიეტა კაპულეტის ძუძუზე ხელნავლებული უხამსი ბერიკაცი, ვენეცია — როგორც პრეისტორიული, მომაკვდავი დროზავრი და ამ შთაბეჭდილებების ფონზე გახსენებული: თბილისის სამოქალაქო ომი და დამწვარი სახლი, ჭაბუა ამირეჯაბი და წიგნის ფასი, სულხან-საბა ორბელიანი და მისი ევროპული შთაბეჭდილებები; დაბოლოს, ერთი მნარე აღმოჩენაც: „პირველი-ვე თურქულ სოფელში ვნახე ის, რასაც მთელ ევროპაში ამაოდ ვეძედი. ეს იყო ფუნა — ყველა სახლის წინ მშობლიური ნეხვის უზარმაზარი გორები იდგა!“

...ნუგზარ შატაიძეს კრიტიკოსები თანამედროვე ქართული წიგნის სატატს უწოდებენ. ახალ კრებულში ეს კიდევ ერთხელ მტკიცდება.

ასე რომ, თუ ნუგზარ შატაიძის შარშან დასტამბული მოთხოვთათა კრებული „წოემბრის წიგმა“ უკვე წაიკითხეთ, „ევროპაში რა მინდოდა“ მშვენიერი გაგრძელება იქნება. აუცილებლად ნახეთ.

## ასალი თარგმანები 2005 აღმანახი



მთავარი რედაქტორი: ბესო ხვედელიძე  
გამომცემლობა: „დიოგენე“

2005 წ.

თებერვალში „დიოგენემ“ დაპირებული პრეზენტაცია გამართა და წიგნის თარგმაზე თარგმანების მორიგი აღმანახი გაჩნდა. მორიგი იმიტომ, რომ მსგავს კრებულებს, უკვე წლებია, სულ ადგენენ. სხვა საქმეა მათი ხარისხი და აქტუალობა...

პოლიგრაფიული სარისხი „დიოგენეს“ გამომცემას მშვენიერი აქვს. უბრალოდ, ნამდვილად შეიძლებოდა მეტი ახალი ავტორის შერჩევა. თუმცა, თუ წარსულის გახსენება გრძებავთ, აქ ჯორჯ ბაირონიდან მოყოლებული, ბევრ ძველ სახელს იპოვთ, თანაც — მშობლიურ ენაზე.

უილიამ სარიიანის, პერმან პესეს, ბულატ ოკუჯავს თუ კარლ გუსტავ იუნგის გვერდით, რამდენიმე საინტერესო სიახლეც გველის: თუ ჯერაც არ გაცნობისართ ჯიბრან ხალილ ჯიბრანს, აღმანახში წაიკითხავთ ნაწყვეტის გიორგი ლობეკანიძის მიერ თარგმნილი „ყარიბიდან“ და „სიტყვებიდან“ და მერე სხვანაირად არ გამოვა — აუცილებლად ჯიბრანის სრულ ტექსტებს მოსთხოვთ წიგნის მაღაზიას.

სარჩევში, 81-ე გვერდზე გამწესებული ვუდი ალენიც უთუოდ მოგჭრით თვალს და 205-ე გვერდზე დასახლებული რუბენ გალიეგოც. აბა, ხაზგასმით წიუ იორკელი, ხაზგასმით კარგი და ხაზგასმით იორნიული რეჟისორის წაველა ხომ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ? რუბენ გალიეგო კი ცალკე წიგნადაც მოიძებნება.

და თუ მაინც ვერ შევძელი თქვენი დაინტერესება, კიდევ ერთხელ ვცდი ბედს და 247-ე გვერდზე მოჰსენ მახმალბაფსაც ვერვევი — გახმაურებულ, ვეტერან ირანელ რეჟისორს, რომელმაც კინორეჟისორების მთელი თაობა აღზარდა — თავისი შვილების სახით და რომლის მოთხოვთაც „მაკოცე“ აღმანახში მთარგმნელობითი კონკურსის გამო მოხვდა.

ასე რომ, კიდევ ერთი აღმოჩენა — აღმანახში გამომცდილ მთარგმნელებს ახალბედებიც ენაცვლებიან. ავტორებიდან კი ასევე წაიკითხავთ: პაულ ცელანს, ანდრე შედიდს, სურგეი ავერინცევს (გოეთესა და პუშკინის შესახებ), რენე ბელეტოს და სხვებს.

## ქართული ზარგონის ლექსიკონი

მეორე გამოცემა

შემდგენელი: ლევან ბრეგაძე

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ 2005 წ.



თუ არ იცოდით, ახლა იცოდეთ — პირველი უკვე არსებობს. ამ წიგნის შედგენის იდეა დაბინძურებულ მშობლიურ ენაზე ატეხილმა კამათმა წარმოშვა. დინებები ხომ ყველა მხრიდან გახსნილია: ქართულის გამდიდრებაზე ყველა თავისებურად ზრუნავს — ქუჩის ცხოვრებაც, გლობალიზაციაც, ინტერნეტიც, ქალაქური რეალობაც, პოლიტიკაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, საპატრულო პოლიციაც კი. ასეთ ფონზე, უარგონის ლექსიკონი ნამდვილი მისწრებაა ენათმეცნიერთაფისი, რიგითი ინტელექტუალი მკითხველისთვის კი — გართობის მშვენიერი წყაროც.

მეორე შეესტული გამოცემა უკვე 1000-ზე მეტ უარგონულ სიტყვას განმარტავს. გარდა ამისა, წიგნი სავსეა კონკრეტული მაგალითებითაც, რომელთაც შემდგენელი ქართველი მწერლების ნანარმობებიდან მოუხმობს. სქემა დაახლოებით ასეთია: „უცხო სიტყვა“, შემდეგ განმარტება და შემდეგ მაგალითი რომანიდან, ან მოთხოვთან. სწორედ ასეთი აგებულების გამო, ლექსიკონი უდავოდ აჭარბებს თავის ძირულ ფუნქციას და წიგნის ფურცელად „დამონტაჟული“, „გამიქსული“ მსატვრული ტექსტის კითხვას ემსახურება.

მაღაზიებში ეს გამოცემა თვის ბოლოდან გამოჩენდება. გადაათვალიერებ, გაერთოთ და ქართული ენის სიმბიონიდან ჩაფიქრდით.

# ფილმები

ავტორი: სალომე კიკალეიშვილი




**სად:** კინოთეატრი „რუსთაველი“  
**რა:** „გოგონა მილიონ დოლარად“  
**რეჟისორი:** ქლინთ ისტვუდი  
**როდის:** აპრილი

ჩემზე კარგად იცით, რომ ამ პატარა წერილს სულაც არ აქვს თქვენთვის დიდი მნიშვნელობა, უფრო სწორად იმას – გირჩევთ თუ არა კინოში წასვლას და ქლინთი ისტვუდის ფილმის წახვას. იმიტომ, რომ ამას ისედაც გააკეთებთ. სხვა თუ არაფერი, ამ ფილმმა საწყალ სკორსეზეს ცხვირნინ ააცალა „ოსკარები“ და 70-იანელთა „მამას“ „ტიტანიკის“ რეკორდის მოხსნა თუ არა, დანევა მაინც ისევ სამომავლოდ გადაატანინა. სანამ ეს უკანასკნელი მედგრად აგრძელებს მუშაობას და სწორედ ახლა, ლეონარდო დი კაპრიოსთან, მეთ დეიმონთან და ჯეკ ნიკოლსონთან ერთად ახალი ფილმის სტრატეგიაზე მუშაობს, მილიონ დოლარად შეფასებული გოგონა მსოფლიო კინოთეატრების და კრიტიკოსთა ჯილდოების დაპყრობას აგრძელებს. ყოველ შემთხვევაში, შეერთებულ შტატებში თუკი რაიმე ფესტივალი და თუ გნებავთ უბრალიდ, რაიმე სახის შეკრება ჩატარდა, ყველა დაუზოგავად დახასიათებულ „კოვბოის“ და მის რიგით ოცდამეტუთე ფილმს „გოგონა მილიონ დოლარად“ ყოვლად უანგაროდ ჩუქნის პრიზს.

თუ რუსულ კინო-საიტებს დავესესხებით, რომელთა მომხმარებელსაც ფილმის წახვის საშუალება უკვე ჰქონდათ... ზოგმა თქვა – „ამ ფილმმა ცხოვრებაზე დამაფიქრაო“, ზოგმა „ეს როკი + საპნის ოპერაო, თუმცა რეჟისურა ძან მაგარიაო“, ზოგმა კი – „რა აგიუებს ამ ლამაზ ჰილარიის, მთელი ფილმის მანძილზე დასისხლიანებულ-დასიებული ცხვირპირით რომ დადის ფილმშიო“. აი ასე.

მოკლედ, მძაფრი სანახაობა რომ გელოდებათ წინ, ფაქტია.



**სად:** დარბაზი „ამარკორდი“  
**(კინოთეატრ „ამირანში“)**  
**რა:** „რომი“  
**რეჟისორი:** ფედერიკო ფელინი  
**როდის:** აპრილი

ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ძალიან იბრევი და არ იცი, საიდან დაიწყო! არამარტო იმტომი, რომ საქმე მასესტრო ფელინის და მის „რომის“ ეხება, არამედ იმ საინტერესო რეპერტუარის გამოც, რასაც გენიალური ფილმის – „ამარკორდის“ სახელის მატარებელი კინოდარბაზი გვთავაზობს.


ალბათ იმასაც მიხვდით, რომ ეს ადგილი მათ-თვისაა, ვინც ამერიკული, დაღეჭილი, ბანალური ნახევარფეხბრივატების ტვინში ჩატენის გარდა, ისეთი კინოთიც ინტერესება, რასაც ჩვენში ნამდვილ, ინტელექტუალურ კინოს უწოდებენ.

ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც მე ყველაზე ნაკლები უნდა ვილაპარაკო, თქვენ კი თუ ჯერ კიდევ არ გაქვთ ნანახი „რომი“, აუცილებლად უნდა გამოასმოროდ შეცდომა.

ის ხომ ყველასთვისაა!  
 ის ხომ უზომოდ გასიამოვნებთ!  
 ყველაფერი ხომ ძალიან მარტივადაა – ეს ფელინია!

– „კინო ყოველთვის ატარებდა საპაზრო, ბალაგანური სანახაობის ხასიათს. ის დღემდე ასე რჩება ჩემთვის; რაღაც საშუალოა მეგობრულ პიკნიკს, საცირკო ატრაქციონსა და ირეალურში მოგზაურობას შორის“ – ნერდა იტალიის ერთ-ერთი პროვინციაში – რიმინიში დაადებული ფედერიკო, უფრო სწორად ფეფური, როგორც მას ხშირად მეგობრები ეძახდნენ.

ასე რომ, ხომ ხედავთ, ვერა და ვერ დავ-მალე ჩემი სუბიექტური განცდები იტალიელი ფეფურის მიმართ, და სანამ მთლად „გადა-ვმტკარვარ“, წადით, ნახეთ, ისამოვნეთ!



**სად:** დარბაზი „ამარკორდი“  
**(კინოთეატრ „ამირანში“)**  
**რა:** „სარაბანდა“  
**რეჟისორი:** ინგრამ ბერგმანი  
**როდის:** აპრილი

აქ, მთელი ბერგმანია.

საჩუქარი, რომელიც 86 წლის შვედმა კლასიკობმა, სულ რაღაც, ორიოდე წლის წინ უბობა მთელს სამყაროს. მის ძველ ფილმებში აგორებული პატარ-პატარა გზავნილები, რომელიც უეცრად ერთ უზარმაზარ ტალღად გადაიქცა; ტალღა სახელად „სარაბანდა“ – სიყვარულის, ტკივილის, მარტოობის გიგანტურ მასად, ემოციის უკიდეგანო ოქეანედ, სიყვარულის და შეუწყნარებლობის ზღაპრულ მითად იქცა.

ჯერ კიდევ მაშინ, შორეულ 80-იანებში რეჟისორის განცხადება, რომ იგი აღარასოდეს მიუბრუნდებოდა კინოს და დარჩენილ ცხოვრებას თეატრალურ დადგმებს შესწირავდა, მის ფილმებზე უზომოდ შეკვარებული თაყვანის მცემლებისათვის ნამდვილი სასკელი იყო. ბერგმანის სამყარო ყოველთვის ასოცირდებოდა რაღაც ახლის, უზომოდ საინტერესოს შემეცნებასთან, რისი პროცესიც, აუტანელი სიამოვნების და ცნობისმოყვარეობის მომგვრელი იყო.

ასეა ახლაც. თუნდაც მაშინ, როცა საქმე ბევრჯერ „გადალეჭილ“ ბერგმანისეულ თემას – ოჯახური დრამას ეხება. ფილმი, სადაც მისი ძველი მსახიობების – ლივ ულმანის, ერლანდ იოზენის, თუ განსაკუთრებით, ბერიე ოლსტედ-ტის შესრულება სამსახიობი ხელოვნების მაქსიმუმს აღწევს; სადაც ბახისა და ბრამსის მუსიკა განსაკუთრებულ ხმოვანებას იძენს...

აქ, მთელი ბერგმანია, რომელსაც რეჟისორი მის უკანასკნელ ფილმად ასახელებს.

ZVERABOY-ლინკები.



## არტი

[WWW.ATTITUDES.CH](http://WWW.ATTITUDES.CH)

[WWW.ABSURD.ORG](http://WWW.ABSURD.ORG)

## გუსიკა

[WWW.CUMBOGROUP.COM](http://WWW.CUMBOGROUP.COM)

[WWW.MAX-ERNST.DE](http://WWW.MAX-ERNST.DE)

[WWW.LABORATORYINSTINCT.COM](http://WWW.LABORATORYINSTINCT.COM)

## ფოტო

[WWW.KUNSTGREEP95.COM](http://WWW.KUNSTGREEP95.COM)

[WWW.HELNWEIN.COM](http://WWW.HELNWEIN.COM)

[WWW.RICHARDAVEDON.COM](http://WWW.RICHARDAVEDON.COM)

[WWW.FOTOMUSEUM.BE](http://WWW.FOTOMUSEUM.BE)

## არქიტექტურა

[WWW.CALATRAVA.COM](http://WWW.CALATRAVA.COM)

[WWW.DIGIT-ALL.NET](http://WWW.DIGIT-ALL.NET)

[WWW.BAUHAUS.DE](http://WWW.BAUHAUS.DE)

## ლიტერატურა

[WWW.ZIGOTA.NET](http://WWW.ZIGOTA.NET)

[WWW.POETRY.COM](http://WWW.POETRY.COM)

[WWW.ONLINE-LITERATURE.COM](http://WWW.ONLINE-LITERATURE.COM)

## მოდა

[WWW.WALTERVANBEIRENDONCK.COM](http://WWW.WALTERVANBEIRENDONCK.COM)

[WWW.COLETTEMEETSCOMMEDESGARCONS.COM](http://WWW.COLETTEMEETSCOMMEDESGARCONS.COM)

[WWW.THE-ARTISTS.ORG/ARTIST/CHALAYAN\\_HUSSEIN.CFM](http://WWW.THE-ARTISTS.ORG/ARTIST/CHALAYAN_HUSSEIN.CFM)

## ავტო

[WWW.BUGATTI-CARS.DE](http://WWW.BUGATTI-CARS.DE)

[WWW.BENTLEYMOTORS.COM](http://WWW.BENTLEYMOTORS.COM)

[WWW.ASTONMARTINS.COM](http://WWW.ASTONMARTINS.COM)


## სახელი


[WWW.TURUX.ORG](http://WWW.TURUX.ORG)

[WWW.EASYLIFE.ORG](http://WWW.EASYLIFE.ORG)

[WWW.RE-MOVE.ORG](http://WWW.RE-MOVE.ORG)

[WWW.RAINDI.GE](http://WWW.RAINDI.GE)





ກົມບວລ  
GEOCELL



# VAKE SWIMMING POOL & FITNESS CLUB

ვაკის  
საბურაო აუზი  
*your*  
ოილნეს კლუბი



25 25 75

ჭავჭავაძე 49 ბ  
[www.vakefitness.ge](http://www.vakefitness.ge)